CMYK

# საერთო გაზეთი

№36 (165) ● 14.09-20.09, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათობით ● www.saertogazeti.net; e-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## `Tqven rom icodeT, saakaSvili megrelobs da, Tu dasWirda, arc samegrelosa da dasavleT saqarTvelos gamoyofazeityvis uars...~



vis interesebSia samegrelos damoukideblobis e.w. gegma da sad iwereba qveynis dayofa-daqucmacebis sabediswero scenarebi?

## mweralTa kavSirSi axali skandali mwifdeba



რატომ ვერ შოულობს მწერალთა კავშირი 6000 ლარს, რომ 300 000 ლარი დაიბრუნოს?

## evropis apokalifsi



## muslimTa saZmoebi aWaraSi da beClamazas mama beClamaz-2, igive guram varSalomiZe

## etyoba, ugulavas meriaSi mtrebi hyavs, romlebic Segnebulad ufuWeben saxels, Torem TviTon ugulavas xalxis ase wameba ratom unda undodes?!

## cxvris xmaze apetelebuli mglebi da Tavmosulelebuli sazogadoeba

## radgan samarTali ver vipove, gadavwyvite, Cemi dis cxedari prezidentis rezidenciasTan damesvenebina

## saqarTvelo _ somxuri da azerbaijanuli kadrebis samWedlo



### ნოდარ ხადური:

„ნუ დაგვავიწყდება, რომ სერიოზული ბიზნესმენი ფულს ჩემოდნებით არ ატარებს. ანუ ფულმა საფულე „დაკარგა“, საფულეში დევს ბარათი. ეს კანონი კი თანხის ხელით ტარებას გულისხმობს, რაც დღეს მსოფლიოში უკვე უკუგდებულია.“



### კობა არაბული:

„ხევსურებისა და სამურაების ცნობილი შეტაკება (რუსეთ-იაპონიის ომის დროს), სამურაების სასტიკი მარცხით დასრულდა, როგორც ირკვევა, სამურაების მარცხი განპირობებული იყო ხევსურთა (ფხოველთა), „ფარის ფარების ვირტუოზული ხელოვნებით“.



### თემურ ქორიძე:

„აბსურდითაა აღსავსე დღეს ქართული პოლიტიკური თეატრი, სადაც ყველანი ერთმანეთს მხოლოდ სიცრუესა და თაღლითობაში ეჯიბრებიან. თუმცა არც ესაა გასაკვირი, მაგალითად, ვიქტორ ჰიუგოს „პოლიტიკოსი“ და „თაღლითი“ სინონიმურ ცნებებად მიაჩნდა.“

### xalxis azriT

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ პრეზიდენტობის კანდიდატად შესაძლოა, დავით ბაქრაძე დაასახელოს . აბა, თავი დაიცავით ქართველებო, ჩანგლებით, კოვზებით, დანებით, ერთი სიტყვით რითიც შეგიძლიათ...“

# who is who anu Strixebi portretisaTvis

„საერთო გაზეთში“ დაბეჭდილი სერგო საჯაიას სამი ოპუსი იმ მოცულობის ინტერესს ნამდვილად არ იმსახურებს, რომ აუცილებლად გაეცეს პასუხი. თუმცა არსებობს ზოგიერთი გარემოება, რომელიც დღის წესრიგში ჩემი მხრიდან რეაგირების საკითხს აყენებს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ს.საჯაიას მის პირმშო პასკვილებში მთავარ მოქმედ გმირად ვყავარ გამოყვანილი. უფრო იმიტომაც, რომ შევეცადო მკითხველს ვაჩვენო მორალურ-ზნეობრივი დეგრადაციის გზაზე შემდგარი კაცის სურათი შავ-თეთრ ფერებში. ამ მიზნით ჭ.ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ გმირებს დავესესხები, რადგან ამ პასკვილების წაკითხვის შემდეგ ჩემს გონებაში მყისიერად გაცოცხლდება სეთურის სახე, რამეთუ სწორედ ამირეჯიბისეული სეთურის ცხოვრების წესებისა და პრინციპების რეანიმირება მოინდომა ჩემმა ოპონენტმა. სრულყოფილ სეთურამდე ჩამოყალიბების გზის გავლას ს.საჯაიას თვეები კი არა, წლებიც დასჭირდა, მისთვის მთავარი ხომ „პრინციპებისადმი“ ერთგულებაა, რომელსაც პირობითად „სეთურიზმს“ დავარქმევდი. სერგო საჯაიას სეთურის ამპლუაში ყოფნა რეალური ასინეთას დამსახურებაა, რომელიც ჯერჯერობით ჩრდილშია და საზოგადოებისთვისაც უხილავი, სეთურის ქურქში მყოფმა სერგომ მიზნად დაისახა ჩაენერგა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, განსაკუთრებით დეპუტატებს შორის ქიშპი, გაუტანლობა, ეჭვი, უნდობლობა, ხოლო მიზნის მიღწევის საშუალებებს რა გამოლევდა. ათასი ჯურის ავანტიურისტის პრაქტიკაც გამოიყენა. სატანის წყალობით დღეს არჩევანი იმდენად მრავალფეროვანია, რომ, ნუ ქნას ეშმაკმა და, შეიძლება დაიბნე კიდევაც კაცი, უფრო სწორად, არაკაცი. სწორედ დაბნევის თავიდან ასაცილებლად ჭორის მეშვეობით „ჩორტები“-ს ჩაგდებაზე შეაჩერა ყურადღება სერგომ. გაიარა რა შესაბამისი კონსულტაციები პარტნიორთან, გამოკვეთა ფუნა-ლაფით შესათითხნი პერსონები. ჭორების ერთ-ერთ პირველწყაროდაც მე „აღმომაჩინა“ და ამოძრავდა ბილწი ზრახვებით შეპყობილი. მერე რა, რომ მავანი ანზორ წოწონავას მოჰკითხავს, საალბათოდ მამაკაცური წესითაც, ღირს კი ამგვარი წვრილმანებით ნათელი გონების შეწუხება? რა თქმა უნდა, არა და თუ კი ანზორი და მისგან პასუხის მომთხოვნი ერთმანეთს დაერევიან, განა მიზანი მიღწეული არ იქნება?!



ის, რომ სერგო საჯაია აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში გარკვეული მისიით იყო ჩანერგილი, მისი კულუარული თუ ღია განცხადებებიდან ჩანს. მას არაერთხელ უთქვამს –„მე ავზილავ უმაღლეს საბჭოს და დავამტკიცებ, ვინ ვარ მე“ (ვინ არის სერგო, მეტსახელად „გრეკი“, კიდევ ერთხელ კარგად გამოჩნდა მის მიერ გამოქვეყნებულ პასკვილებში). ნათლად ჩანს, რომ სუბიექტი აქტიურად შეუდგა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის დავალების შესრულებას – შეიტანოს დევნილობაში მყოფ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოში, და საერთოდ, ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებაში, რომელიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობისათვის, განხეთქილება და დაპირისპირება, პიროვნებათა დისკრედიტაცია და ამ მიზნით მისაღწევად ეფექტურადაა სამუშაოს სიცრუის მანქანა.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყველა ის სიბინძურე, რომელიც ჩემი კოლეგების, მათ შორის თ. ხუბუას ოჯახის, დ.გვაძაბიას, ე.გვაზავასა და სხვების მიმართ გაავრცელა ს. საჯაიამ, უშუალოდ მისი მონაჩმახია. მხოლოდ იმის გამო, რომ ს. საჯაიას სამარცხვინო ქმედებები პრესაში ამხილეს ჩემმა კოლეგებმა გ. ფაცაციამ და ნ. მგალობლიშვილმა, მან ყოვლად უსაფუძვლო და ბინძური ბრალდებებით უპასუხა მათ. რაც შეეხება ჩემით აპელირებას. ეს მისი მხრიდან მხოლოდ კაგებეს ქსელში აპრობირებული მეთოდია. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ჩემთვის უცხოა და უზნეობადაც მიმაჩნია ის, თუნდაც ჩემი ახლობელი ადამიანის პირად ცხოვრებაში ქექვა. მადლობა ღმერთს, რომ აფხაზეთის საზოგადოება მაინც მიცნობს.

გვერდს ვერ ვუვლი აფხაზეთის ტრაგედიის იმ მონაკვეთს, რაზედაც თავის ერთ-ერთ პასკვილში წერს ს. საჯაია და ბრალს სდებს ბატონ დავით გვაძაბიას 1993 წელს გულირიფშის რაიონიდან ხალხის ევაკუაციის არგანხორციელებაში, რაც სრული სიცრუეა. მეტიც, იმ ქარცეცხლიან დღეებში დ.გვაძაბია ყველაზე აქტიურად მოუწოდებდა ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს დაეტოვებინათ საკუთარი ადგილსამყოფელი და გახიზნულიყვნენ, ამით მან მრგვალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. მაგალითისათვის შორს წასვლა კი ნამდვილად არ დამჭირდება. ჩემს მშობლებს რომ ამ მოწოდებისათვის დაეჯერებინათ. დღეს შესაძლებელია ცოცხლებიც კი ყოფილიყვნენ (ისინი 1993 წლის 11 ოქტომბერს გადამთიელმა ბოევიკმა კანიბალებმა სასტიკად აწამეს და მოკლეს).

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს ის, რომ ჩემი უბადრუკი ოპონენტი თავისივე ცოდვებს და ხრიკებს აბრალებს სხვებს და მათ შორის მეც.

იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ ის, რასაც ამგვარი მონდომებითა და რუდუნებით აკეთებს სერგო, ჩვენს სამშობლოს, ერის კეთილდღეობას გამოადგება? ამ კითხვაზე ყველას პასუხიც ერთმნიშვნელონად უარყოფითი იქნება, მაგრამ ისიც სათქმელია, მარტო მისი დადანაშაულება მთლად არ არის მართებული, რადგანაც ის ჩაიყოლია იმ პოლიტიკურმა გარემომ, სადაც ერთს ფიქრობდნენ, მეორეს ამბობდნენ და მესამეს – აკეთებდნენ. ფაქტია, რომ მაშინ გამოიკვეთა ზოგიერთი ახალგაზრდის რომანტიკული, გარკვეულწილად ავადმყოფური ოცნება – ოღონდაც გამხდარიყო ხალხისთვის ცნობილი, თუნდაც ქურდული სამყაროს ნათელი სახე, ახალგაზრდობის ასაკში ვერც ს. საჯაიამ გაუძლო ამ ცდუნებას. ენერგიულად შეუდგა ქურდული მენტალიტეტის ათვისებასა და მის მაღალ დონეზე „დამუღამებას“. ამას რომ პრაქტიკული საქმიანობისა და სათანადო ვარჯიშის გარეშე ვერ დაეუფლებოდა, საყოველთაოდაა ცნობილი და დაუწყია კიდევაც ხელმრუდობა სკოლაში. სამეზობლოში, ბაზარში... მისი მახვილი თვალი ყველაფერს ამჩნევდა, რაც „ცუდად“ იდო. თავის გასამართლებლად ასეთ „საშურ მოღვაწეობას“ სამშობლოს თავისუფლების თემას უკავშირებდა. ვითომდა სამშობლოს თავისუფლების დაუოკებელმა სურვილმა მიიყვანა სერგო მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდში, სადაც იმ ოდენობის ფინანსები მაინც იდო. რომლიდანაც გარკვეული წილის ამოკრება ქაჯეთის ციხის ტყვეობაში მყოფი საქართველოს გამოხსნის ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოდგებოდა. კიდევაც ამოკრიბა ხელმრუდმა სერგომ ეს თანხები, მათი გარკვეული ნაწილი... საკუთარი ჯიბისთვისაც. ამის შესახებ ომამდე იცოდა აფხაზეთის საზოგადოებამ და დღესაც ბევრს ახსოვს მისი მანიპულაციები ფონდის მიერ კერძო სახლების შესყიდვასთან დაკავშირებით. მაგრამ არც მაშინ, იმ არეულობის ფონზე და არც მერე ამ საქციელზე პასუხი მისთვის არავის მოუთხოვია. უკვე ჩამოყალიბებულ ასაკში თავის მაღალ პროფესიონალურ დონეზე ინტრიგანობასა და მზაკვრობას ამართლებდა იმით, რომ ყოველივე ამას აკეთებდა საქართველოს საკეთილდღეოდ.

დევნილობის პერიოდში კორუფციაში ფაქტიურად მხილებული ს. საჯაია გამალებით შეუდგა შემდგომში „პრემირებული ნაშრომების“ გამოცემას, სადაც სხვების კორუფციაში დადანაშაულებით და არარსებული „ცოდვების“ სხვებზე მიწერით შეეცადა საკუთარი „დამსახურებების“ წარმოჩენას. მისი უხამსი სიცრუებით გაჟღენთილი ოპუსები, მიმართული იყო ძირითადად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების დისკრედიტაციისაკენ და როდესაც ცოცხლები შემოელია, გარდაცვლილებსაც გადაწვდა, მათ შორის ისეთ პიროვნებებს, როგორც ა.წ. განსვენებული თ. ნადარეიშვილი, აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული გ. ადამია და სხვები იყვნენ. ამით მან, თავისდა უნებურად, არა მხოლოდ საკუთარი თავი წამოაჩინა, სხვებიც აიძულა მისი დეგრადირებული პორტრეტი უფრო სრულყოფილად დაეხატა.

უფრო მძიმე თემა და ცალკე განხილვის საგანი გახლავთ ს. საჯაიას პედგოგიური „მოღვაწეობა“ სოხუმის რაიონის სკოლებში, თუმცა ამჟამად ამით თავს არ შევაწყენთ...

**ანზორ წოწონავა,**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

---

***ამ ცოტა ხნის წინ „საერთო გაზეთში“ დაიბეჭდა მკურნალისა და ნათელმხილველის, ტატიანა ვოროშილოვას, იგივე ალტაელი ვანგას წინასწარმეტყველება. იწინასწარმეტყველა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს წინასწარმეტყველება 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ გავრცელდა, დღემდე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსულ ინტერნეტ-საიტებზე და კომენტარ-განსჯებიც ყოველდღიურად მიდის მის გარშემო. ამიტომ ვაგრძელებთ თემას და ვესაუბრებით ექსტრასენს სიმა ხითარიშვილს.***

**– ქალბატონო სიმა, თქვენ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდით მოსკოვში. რა ინფორმაცია გაგაჩნიათ ამ ეგრეთწოდებული ალტაელი ვანგას შესახებ?**

– მოსკოვში და საერთოდ, რუსეთში ძალიან ბევრნი არიან ისეთები, თავიანთ თავს წინასწარმეტყველებს ან ნათელმხილველებს რომ უწოდებენ, იშველიებენ ფანტაზიებს და ისეთ რალაცებს ლაპარაკობენ, თვითონაც რომ არ სჯერათ. ტატიანა ვოროშილოვაც ასეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის. ვანგა კი დაირქვა, მაგრამ ვინმე რომ პირადად ეწვიოს და სთხოვოს მომავალზე რაიმე მითხარიო, ვერაფერს ეტყვის. რაც მან იწინასწარმეტყველა, ტყუილია, ასეთი რამ არასდროს მოხდება.



**– თავიდან ვიეჭვე, სულაც გამოგონილი პიროვნება ხომ არ არის-მეთქი, ანუ არსებობს, ასეთი ადამიანი და მართლაც მისი მოსაზრება გავრცელებულია ინტერნეტით.**

# `ruseTSi bevri naTelmxilveli uwodebs Tavis Tavs vangas~

– კი, არსებობს ასეთი პიროვნება, მისნაირებიც ბევრნი არიან. ბევრი უწოდებს თავის თავს ვანგას.

**– რა აუცილებელია ნათელმხილველმა მაინცდამაინც ვანგა უწოდოს თავის თავს?**

– არ არის აუცილებელი, რა თქმა უნდა. მთავარია, საქმით ივარგო, რა მნიშვნელობა აქვს სახელს. ზოგი მიიჩნევს, რომ ვანგას დარქმევით ავტორიტეტს იმაღლებს. ამასთან, კიდევ, აგვისტოს ომის შემდეგ სამი წელი გავიდა, ახდა რაიმე იმის ნათქვამიდან? სააკაშვილს რომ მოწამლავენ, ვოროშილოვამ და მისნაიერებმა ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციის დროს დაიწყეს მაზე ლაპარაკი. არც მოუწამლავთ, არც დაუჭრიათ. არავინ დაჭრის და არც მოწამლავს, სანამ პრეზიდენტი იქნება. ცოდვები მიეწევა მას მერე, რაც დატოვებს თავის პოსტს და გაიქცევა სხვა ქვეყანაში. პირველ რიგში, ფსიქოლოგიურად დაიტანჯება, მას ხომ განდიდების მანია აქვს, პოსტიდან წასვლას ვერ გაუძლებს.

**– ჩვენი პირველი ინტერვიუ თებერვლის ბოლოს შედგა, მაშინ თქვენ აღნიშნეთ, მაისის თვე არ მომწონს, არეულობას, ცუდ ამბავს ვხედავო მოხდა ტრაგედია 26 მაისის ღამეს. ახლა გაქვთ ახლო მომავლის პროგნოზი?**

– ახლო მომავალში არეულობას ვერ ვხედავ, 2012 წლის თებერვალ-მარტში იქნება პატარა დესტაბილიზაცია, ოღონდ ოპოზიციის ლიდერები კი არ გამოიყვანენ ხალხს, თვითონ ხალხი გამოვა. მაგრამ სააკაშვილი თავის პოსტს 2013 წლამდე შეინარჩუნებს, მაგრამ გეტყვით იმასაც, რომ მას სიკვდილი მაისის თვეში უწერია, რომელ წელს, ვერ გეტყვით.

ახლო მომავალში სააკაშვილი წამოიწყებს ომს ტერიტორიების დაბრუნების მიზნით, მაგრამ გაგრძელება არ ექნება ამ ომს და არც არაფერი გამოვა, იმიტომ რომ ინსცენირებული იქნება. მას ხომ სინამდვილეში ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთთან. რუსეთსაც აწყობს მისი სათავეში ყოფნა.



**– ორიოდე სიტყვით რუსეთის თემას დავუბრუნდეთ, ყოფილა შემთხვევები, რომ თაღლითი ნათელმხილველები გამოუვლენიათ?**

– იყო რამდენიმე ასეთი შემთხვევა. არის ერთი, გვარად გრაბავოი. ირწმუნებოდა, მკვდრის გაცოცხლება შემიძლიაო ოსეთში, ბესლანში ბავშვები რომ დახოცეს, იმათ მშობლებს შეჰპირდა, შვილებს გაგიცოცხლებთო. ბევრმა დაიჯერა, მისცეს ფული და ისიც გაიქცა.

**– უცნაურია, როგორ დაუჯერეს...**

– ამათმა კი რა, ჯუნამაც კი დაიჯერა. ხომ იცით, ცნობილი ბიოველით მკურნალი ჯუნა. მას შვილი მოუკვდა, ნარკოტიკების მომხმარებელი იყო და ამით დაიღუპა. მისი სიკვდილის შემდეგ ჯუნა ხალხს აღარ იღებს, ფაქტობრივად იზოლირებულია სამყაროსგან. გრაბავოიმ დააჯერა, შვილს გაგიცოცხლებო და ფული წაართვა ახლა დაჭერილია, 15 წელი მისცეს.

**თამუნა ქადაგიძე**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# cxvris xmaze apetelebuli mglebi da Tavmosulelebuli sazogadoeba






ქართული ოპოზიციური სპექტრი თავმოსულელებულებით არის სავსე, რომლებსაც ჰქონიათ, რომ სხვებსაც ისე ადვილად გაასულელებენ, როგორც თვითონ ისულელებენ თავს.

ოპოზიციონერ თავმოსულელებულთა უმრავლესობა თავგამოდებით ამტკიცებს, რომ 2003 წლის ნოემბრამდე ანუ ვარდების რევოლუციამდე სულელები იყვნენ და ვერ ხვდებოდნენ, ვინ იყო სააკაშვილი და მხოლოდ მოგვიანებით მოვიდნენ გონს.

გონს მოსვლის მტანჯველი პროცესი ზოგს ერთი წელი გაუგრძელდა, ზოგს ორი, ზოგსაც, ნინო ბურჯანაძესავით, მთელი ხუთი წელი.

რაც შეეხება ერასტი კიწმარიშვილს, ვარდების რევოლუციის მთავარ იდეოლოგს, ის მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა მილიონები აახიეს და „პაშოლ ვონ"-ო, უთხრეს.

თუმცა ბატონი ერასტი, როგორც ამბობენ, ბოლომდე მაინც ვერ მოსწყდა სააკაშვილ-მერაბიშვილის მადლიან კალთას და აგერ ახლახან, 2011 წლის მაისის თვეშიც, ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ძველ ყონაღებს.

სხვების გასასულელებლად თავის მოსულელება ძნელი საქმე არ არის, მაგრამ, ეტყობა, სააკაშვილისგან გაქცევა ძნელია მათთვის, ვინც მასთან ერთად მოვიდა ხელისუფლებაში და მასთან ერთად ქმნიდა იმ მაფიოზურ-კრიმინალურ ქსელს, რომელშიც მთელი ქვეყანაა დღეს გახლართულ-გაბლანდული.

ამ ქსელიდან გაქცევა, ამ ქსელიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელია.

ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსანთა ოპოზიციაში გადასვლა და იქ მშვიდობიანად და უვნებლად არსებობა იმის დასტურია, რომ ეს ადამიანები სინამდვილეში ისევ იქ არიან, საიდანაც წამოვიდნენ, ოღონდ სხვა ფორმით და სხვა ფუნქციით.

ეს გაქცევა კი არ არის, გაქცევის იმიტაციაა.

ნინო ბურჯანაძე სახელისუფლებო გუნდიდან წამოსვლის პირველივე დღეებიდან ხაზგასმული სიმკაცრით და კატეგორიულობით ამბობს: — არ ამალაპარაკონ, თორემ ისეთ რაღაცეებს ვიტყვი, ვილაცებს დიდი დისკომფორტი შეექმნებათო.

სამი წელია ასე იქადნება ქალბატონი ნინო, მაგრამ ვერა და ვერ ამოალაგა მამხილებელი დოკუმენტებით გაძეძგილი თავისი საიდუმლო სკივრიდან ის სკანდალური კომპრომატები, რომლებიც თურმე საბედისწერო როლს ითამაშებს მავანთა და მავანთა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ვერც ამოალაგებს, რადგან სხვისი მამხილებელი ეს კომპრომატები რომ ამოალაგოს, მათ საკუთრივ მისი მამხილებელი კომპრომატებიც თან ამოჰყვება, რადგან ყველაფერი ერთ ძაფზეა ასხმული...



ვერც ოქრუაშვილი ამოგლეჯს ამ ასხმულადან მისი შავბნელი საქმიანობის ამსახველ დოსიეებს, ვერც ნოღაიდელი, ვერც კიწმარიშვილი, ვერც ვინმე სხვა.

ისინი ჯერჯერობით ხელისუფლებაში დარჩენილ თავის ყოფილ თანაპარტიელებთან და თანამოაზრეებთან ერთად ერთ ჯაჭვში არიან ჩაბმულნი და ეს ჯაჭვი ისე მტკიცედაა ნაჭედი, იქიდან ცალკეული რგოლების ამოგლეჯა შეუძლებელია.

რაც შეეხება თავმოსულელებას, ვერავინ ვერაფერს გახდება, თუ საზოგადოება თავად არ მოისულელებს თავს და მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო არ დაიჯერებს, რომ მგლის ცხვრად გადაკეთება ადვილი საქმეა — გუშინდელი მგელი ცხვარივით აპეტელდება და მორჩა, უკვე მგელი არ არის.

ცხვრის ხმით აპეტელებული მგლების გეშინოდეთ, ხალხო!




# `is urCevnia mamulsa...~

ქუთაისში, „ველორბოლაზე" პატარა ნიკა სააკაშვილი გზის ერთ მონაკვეთზე წინ გაიჭრა და ყველა უკან ჩამოიტოვა, მათ შორის მამამისი მიხეილ სააკაშვილი.

ეს როგორ გამიბედა ამ ლლაპმაო და დააწვა პედალს მარა რა დააწვა გაბრაზებული მამა მიხეილი, პატარა ნიკას ჯერ დაეწია და მერე გაუსწრო კიდევაც.

ეხ, ბატონო მიხეილ, ბატონო მიხეილ, შეიძლება პატარა კაცის ასე დაჩაგვრა?

ათას სპორტულ ღონისძიებაში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტი ხართ, ნიკას კი არც თანამდებობა აქვს, არც თქვენოდენა სახელი და ავტორიტეტი, არ შეიძლება ქუთეისის „ჩემპიონატში" მაინც გაამარჯვებინოთ, რომ ბავშვურად გაიხაროს და იამაყოს?

ყველგან და ყოველთვის თქვენ უნდა იყოთ პირველი, მათ შორის ბავშვებთან შეჯიბრების დროსაც?

# riT hgavs korea da saqarTvelo erTmaneTs?

კორეელმა ფეხბურთელებმა პირველი ბურთი შეუგდეს ბრაზილია, რომლებმაც საპასუხოდ სამი ბურთი გაუტანეს კორეელებს და თამაში 3:1-ით მოიგეს, თუმცა კორეა მთელი ორი დღე ზეიმობდა გამარჯვებს.

საქმე ის არის, რომ კორეულმა ტელევიზიამ ისე დაამონტაჟა მატჩის რეპორტაჟის ვიდეოჩანაწერი, რომ ბრაზილიელთა საპასუხო გოლები საერთოდ არ უჩვენებიათ.

როგორც ვთქვით, კორეა ორი დღე ზეიმობდა „გამარჯვებას", დიდი დიპლიპიტო და დიდი ტაშფანდურა ჰქონდათ, რომელიც საყოველთაო სახალხო ზეიმად იქცა.

ეს, საქართველო, საქართველო, კორეელებისა რა გიკვირთ, როცა რუსეთთან წაგებულ ომს ორი დღე კი არა უკვე სამი წელიწადია ვზეიმობთ და დიდ ეროვნულ გამარჯვებად ვასაღებთ.

ასე რომ კორეა და საქართველო ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, განსხვავება ისაა, რომ მათი პრეზიდენტი სულ მეტრანახევარია, ჩვენი კი ორ მეტრამდე ურტყამს.

სხვათაშორის, ერთსაც და მეორესაც ძალიან იზიდავთ რეჟისორობა და ორივე გრანდიოზულ დღესასწაულებს დგამს ხოლმე, ტრანსლაციებსაც ორივე იქ წყვეტს, სადაც ანგარიში 1:0-ია მათ სასარგებლოდ.




თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# etyoba, ugulavas meriaSi mtrebi hyavs, romlebic Segnebulad ufuWeben saxels, Torem TviTon ugulavas xalxis ase wameba ratom unda undodes?!

***„საერთო გაზეთის“ რედაქციას „ნაცმოძრაობის“ კოორდინატორი, ქალბატონი ლუიზა ჩუბინიძე დაუკავშირდა და თავისი გულისტკივილის სახალხოდ გაცხადება გვთხოვა.***

— ჩემს საკუთარ სახლზე მანსარდის გაკეთება გადავწყვიტე და რა თქმა უნდა, პროექტის გასაკეთებლად და ნებართვისთვის მერიაში მივედი. მეორე სართულზე, №7 ოთახში რამდენიმე იყვნენ, ამდენად, ვისაც ველაპარაკე, იმ არქიტექტორის გვარი არ ვიცი. აი, წერილები, რომლებშიც სიტყვიერად მეფერებიან და განმარტავენ, რომ თუ მათი თანადგომა მჭირდება, რა ნიხრებია დაწესებული, — ერთ დღეში შესრულებულ სამუშაოში 300 ლარი, 3-4 დღეში 100 ლარი, ერთ საათში 1000 ლარი. ეს გასაგებია, მაგრამ გოგო, რომელსაც ვესაუბრებოდი, თავიდანვე ვუთხარი, რომ ვცხოვრობ ვაშლიჯვარში, გოძიაშვილის ქ №14-ში, არ მეუბნება იმას, რომ თურმე მე-6 ზონაში ვცხოვრობ და საბუთები არ გავამზადო. პირიქით, მომთხოვა საბუთები, ამონაწერები, სიტუაციური გეგმები, მოკლედ, ყველაფერი, რაც მე თანხა დამიჯდა და როცა უკვე მივიტანე რაც მომთხოვა, პასუხი მომივიდა, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ეს არის მე-6 განვითარების ზონა და არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ განვითარებას, მიშენება-დაშენებას და სხვა მსგავს სამუშაოებს. კიდევ კარგი, პროექტი არ შევადგინე, 1500 დოლარი მომთხოვეს მის შედგენაში. ხომ წარმოგიდგენიათ, ჯერ ის თანხა დამეკარგა, ახლა ესეც დაემატებოდა, — ფულს აღარავინ დაგიბრუნებს უკან და ბოლო-ბოლო დავანებე თავი და სხვა მიმართულებით დავიწყე მოძრაობა.

მე თვითონ ვარ ამათი კოორდინატორი და რა თქმა უნდა, ამათი ამომრჩეველი. მე დამავალა ჩემმა უბანმა, რომ შეცვლილიყო ჩვენი ზონის ნომერი.

**— თბილისი რომ ზონებადაა დაყოფილი, ვიცი, მაგრამ რაღაცებს თუ კრძალავდა, ნამდვილად არ ვიცოდი, ბოლო-ბოლო, სად ქრება მე-6 ზონაში საკუთრების უფლება. რა დაადგინეთ, რას ითვალისწინებს მე-6 ზონაო.**

— თვითონ ითვალისწინებენ, რომ კორპუსები უნდა აშენდეს, თორემ ჩვენ, აქ მცხოვრებლებმა არაფერი ვიცოდით. 30 ოჯახის ხელმოწერილი წერილით მივმართე ჩვენს დეპუტატ ნინო თევდორაძეს. რა თქმა უნდა, ქალბატონი ნინო დაგვეხმარა, თუმცა, თავდაპირველად მანაც არ იცოდა, რა მე-6 ზონაზე იყო საუბარი. ახლა მომივიდა პასუხი, რომ მე-6 ზონა შეცვლილია მე-5 ზონით, მაგრამ ახლა ეს აღარ ვიცი რას ითვალისწინებს. ხომ უნდა იყოს სადმე მითითებული მაქვს თუ არა ინდივიდუალური მშენებლობის უფლება, რომ, ვთქვათ, დავაშენო ჩემს სახლს მანსარდი, 60 კვმ პროექტის გარეშე ავაშენო, როგორც ეს კანონში წერია. საინტერესოა, — მე მე-5 ზონაში ვარ, ჩემი მეზობელი, ერთ-ერთი ხელისმომწერი მე-2-ში, გვერდიგვერდ ვცხოვრობთ და რა გაუგებრობაა ეს კიდევ, არ ვიცით.



ახლა, ჩემი მეზობელი გვერდზე მიშენებს კორპუსს და მოვინდომე არესი ბოჭოიძესთან შესვლა. აი, წერილი, (თბილისის არქიტექტურა №12199126 10. 08. 2011) სადაც მწერენ, რომ არ არის საჭირო სადმე შესვლა, ჩვენ ყველაფერი განგიმარტეთ და თუ პრეტენზია გაქვთ რამე, საჩივარი დაწერეთ მერიის სახელზეო. მერიის სახელზე რა საჩივარი უნდა დავწერო, უნდა მოვიდნენ და შეამოწმონ. 26 მეტრი კედელი იმ მეზობელთან მაქვს მომიჯნავე, — ჩემს სახლს არაფერი დაემართოს, მე უნდა ვამოწმო? მათ რომ პროექტი მომყიდეს, ის პროექტი არის ტყუილი პროექტი.

პროექტში, რომელიც მე მომყიდეს, ჩემი სახლი საერთოდ არაა ნაჩვენები.

**— „მომყიდეს“ რას ჰქვია, ოფიციალურად იყიდება გარეშე პირებზე სხვათა პროექტები?**

— აბა? მერიაში, სალაროში გადავიხადე ფული და ვიყიდე, მაგრამ როგორც გითხარით, სხვა პროექტი მომყიდეს, პირველი. მერე კახა ნიაურთან მოვითხოვე შესვლა, წერილი იყო მისი. მოვიდნენ, გაგესაუბრებითო. ეს გასაუბრება კი არა, ჩემი დაკითხვა იყო, სულ თითები მიქნიეს, — აზრი ის იდო, რომ არ მოეწონათ პროექტის გაცნობა რომ მოვითხოვე. ნახეთ, სურათი რანაირადაა, თითქოს ჩემი მეზობლის გარშემო არანაირი სახლი არ არსებობს, მინდორია. ჩემს კედელზე მოაშენა მეზობელმა თავისი სახლი და ახლა საერთო კედელი გამოგვდის, რომ მოანგრევენ, ხომ გამოჩნდება ვისია კედელი. კანონის მიხედვით ასე ყოფილა, მაშინვე რომ არ დავუშალე, ახლა საერთო დარჩა.

**— კანონის წინააღმდეგ თუ მიდის „თბილისის არქიტექტურა“ და ერთ სუბიექტს უკანონობაში უჭერს მხარს, საეჭვოდ გეჩვენებათ, ამის თქმა გინდათ?**

— ალბათ, მათი ინტერესიც დევს, აბა, რა ვიცი, როგორ დავამტკიცებ ეს რომ ვთქვა...

აი, სიტუაციური რუკა, სწორი ხაზით აღნიშნულია ღობე, წყვეტილით — კანალიზაცია, კუბიკით — დროებითი შენობა, მიხვდით რა გამოდის? — სახლი კი არა, დროებითი შენობა მქონია. ამას თან ერთვის ისიც, რომ მისამართიც საეჭვოდაა მინიშნებული. პროექტს აწერია, „მრავალსართულიანი ბინის მშენებლობა გოძიაშვილის №12-14-ში“. №12 არის მისი, №14 — ჩემი, ე.ი ჩემს ეზოშიც შენდება სახლი? დროებით ნაგებობად ხომ არის ნაჩვენები ჩემი სახლი, თითქოს ეს არ კმარა, ერთ-ერთ პუნქტში წერია „არსებული ძველი შენობის დანგრევა-გატანა“ ე.ი ჩემი სახლი უნდა დაინგრეს და გაიტანონ?

აქ ისეთი უბანია, დასანგრევ სახლს ვერ ნახავთ, ყველა კაპიტალურად აშენებულია, ვის უნდა კორპუსში ცხოვრება. ნახეთ, იქამდე მივა საქმე, საკუთარეზოიანი სახლების მაცხოვრებლებს ისეთ გადასახადებს დაგვიწესებენ მიწაზე, რომ იძულებული გავხდებით ამ აყვავებულ ხეხილიან ეზოებს გამოვემშვიდობოთ.

**— ე. ი თქვენ უჩივით ქალაქის არქიტექტურას, — მთავარი არქიტექტორი ვინ არის ახლა, არესი ბოჭოიძე?**

— რა თქმა უნდა, სხვასთან რა საქმე მაქვს, მაგრამ არ მიშვებენ იქამდე, თუ რამე გინდა, მერიას უჩივლეო. მე ჩივილი კი არა, საქმე მინდა. აგერ, ოთხ დღეში ვნახავ როგორ გაასწორეს ხარვეზები, თუ კიდევ სხვა პროექტი არ მომცეს...

**— კიდევ უნდა იყიდოთ?**

— აბა, ისე ვინ მომცემს! იტყვი, საქმეს სჭირდება, ფული ჯანდაბასო, მაგრამ ასეც რომ არაა? მე რომ მეთქვა ერთ დღეში მჭირდება, ერთ საათშიო, ხომ ქარს გატანებული იქნებოდა 1000 ლარი, მეორე დღეს რომ მეტყოდნენ მე-6 ზონააო. იქ რომ სხედან და ხედავენ მისამართს, ხომ უნდა მითხრან, არა, გენაცვალე, მე-6 ზონაა და არ გაქვთ უფლებაო, — ჯერ ფულს მახარჯვინებენ და მერე მეუბნებიან, ბოდიშიო... ამდენი საბუთები მაქვს და ყველგან ხელს აწერს მოვალეობის შემსრულებელი, არსად და არაფერს უფროსი არ ჰყავს?

**— „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი ხართ, მათი კოორდინატორი, თქვენ რომ არაფრად გაგდებენ, სხვას რას უზამენ, — რატომ არ სთხოვთ დახმარებას თქვენივე პარტიას?**



— ვთხოვე ნინო თევდორაძეს და დაგვეხმარა, ახლა ისევ მასთან უნდა მივიდე. მე ასე ვხედავ, არ არის მერიაში საქმე ისე აწყობილი, რომ ყველა კეთილმოსურნედ იყოს. შევხედავ ახლა რა პროექტს მომცემენ და მერიაში კი არ ვიჩივლებ, მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო, ისე გამოვა პროკურატურაში და დაიბაროს ვინც უნდა. მე რომ შევალ ბოჭოიძესთან და ის რომ მეტყვის ამათსავით რაღაცას, მერე ვიჩივლებ.

**— არ გიშვებენ და როგორ შეხვალთ?**

— შევალ, ნახეთ, თუ არ შევიდე!... აქ კიდევ რამ წამოყო თავი, — ვირბინე, ავიღე ჩემს მისამართზე საბუთი და შიგ წერია: გოძიაშვილის II შესახვევი №14 უნდა იყოს გოძიაშვილის II ჩიხი №14 კიდევ გასარკვევია, ჩიხი და შესახვევი სხვადასხვა რამაა. ყველაფერში ფულს იხდი, — რაღაც რომ შეასწორონ 50 ლარია გადასახდელი და 1 ლარი საკომისიო. 50 თეთრი რომ გქონდეს გადასახდელი, 1 ლარს იხდი, ანუ 1,50 გამოგდის...

საბუთებზე რომ მივედი, 50 თეთრი გაქვთ გადასახდელი, ერთი ფურცლისა დაემატაო. რამე დოკუმენტს უფროსი ხომ დააწერს ტექსტის ბოლოში დიდ ძ-ს, დაარტამს ბეჭედს და აწერს ხელს, ასე კი არ აკეთებენ, ტექსტი რომ დამთავრდა, მთელი გვერდია დარჩენილი, იქ კი არ მოაწერა, ახალ ფურცელზეა ხელმოწერილი, რომელზეც არაფერი წერია და გადავიხადე 1 ლარი, იმიტომ რომ უნდა გადამეხადა 50 თეთრი, — ამაზე არ ატეხავ ამბავს, მაგრამ რას ჰგავს ეს! დღეში რამდენი ასეთი ფურცელი იყიდება, ხომ წარმოგიდგენიათ...

**— ქალბატონო ლუიზა, რისი იმედი გაქვთ, ან გაზეთს რომ შესჩივით, როგორ იქნება თქვენი ამბავი. რომ გითხრან, პატივცემულო ლუიზა, გაზეთში რა მიგარბენინებდათო, ამაზე არ გიფიქრიათ? რას ეტყვით...**

— რა შუაშია გაზეთი? გაზეთში მირბენამდე მოვირბინე მერიაში.

რასაც მაგენი შემპირდნენ და როგორც მე დავრბივარ და მაგენს მხარს ვუჭერ, დიდი წინააღმდეგობა შემხვდა მაგათ საწინააღმდეგოდ. მე დავიცვა მარტო უგულავა? — გაყარონ ის ხალხი იქიდან, რომლებიც სახელს უტეხენ მერიას და იმუშაონ ისე, როგორც ითხოვს უგულავა და ბოჭოიძე! რა იცის უგულავამ რეებს აფუჭებენ მისი სახელის გაფუჭებისთვის, თორემ, უგულავას კი არ უნდა ხალხი აწვალოს...

**მაია ჭელიძე**



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# inf l aciis maRa l i maCvenebe l i qveyanaSi a r aswo r i ekonomikur i po l itikiT a r is gamowveu l i

*ჩვენს ქვეყანაში სადაც ინფლაციის დონემ ნებისმიერ დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა, ახალი ეკონომიკური კანონები ამოქმედდა. ესენია: ახალი საგადასახადო კანონი, კანონი – „ეკონოიკური თავისუფლების შესახებ“, პილოტური პროგრამა ბიზნეს ორგანიზაციების ინსპექტირების შესახებ და სხვა.*

*რამდენად დაეხმარება ეს ახალი კანონები მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ეკონომიკურ ექსპერტს, პროფესორ* ***ნოდარ ხადურს.***

**– ბატონო ნოდარ, რა სიკეთეს მოუტანს ქვეყანას ახალი კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომელშიც ჩადებულია ის აზრი, რომ ქვეყნიდან ნებისმიერ მოქალაქეს ექნება საშუალება, ნებისმიერი თანხა გაიტანოს შემოტანით კი ვერ შემოიტანს?**

– ეს კანონი მიმართულია იქითკენ, რომ ქვყანაში არ მოხვდეს „შავი ფული“, დანარჩენი თუ ადამიანს ლეგალური ფული აქვს, ის დაადასტურებს მის წარმომავლობას და ჩვეულებრივ შემოიტანს, რაც შეეხება ნებისმიერი თანხის ქვეყნიდან გატანას, ამით იმას ადასტურებენ კანონის შემქმნელები, რომ ქვეყანაში არ არის „შავი ფული“, ყველა ფული დეკლარირებულია და შესაბამისად მისი გატანა პრობლემას აღარ წარმოადგენს. ამ კანონის იდეა არის ეს, მაგრამ რამდენად და როგორ განხორციელება ის, ამას დრო გვიჩვენებს. ვფიქრობ, არც ჩვენი ქვეყანა და არც სხვა სახელმწიფოები არ არიან ჯერჯეობით განთავისუფლებული ჩრდილოვანი ეკონომიკისაგან, ამიტომ რამდენად განხორციელებადია კანონი, ეს კიდევ საკითხავია. ნუ დაგვავიწყდება, რომ დღეს მაღალ დონეზეა განვითარებული ნარკობიზნესი, კრიმინალური კაპიტალი და სხვა, სადაც ძალიან დიდი ფული ტრიალებს.

ისე, ნებისმიერი ქვეყნისათვის იდეალური ვარიანტი იქნება, თუ ის გააკონტროლებს თანხების წარმოშობის წყაროს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

ასევე, ნუ დაგვავიწყდება, რომ სერიოზული ბიზნესმენი ფულს ჩემოდნებით არ ატარებს. ანუ ფულმა საფულე „დაკარგა“, საფულეში დევს ბარათი. ეს კანონი კი თანხის ხელით ტარებას გულისხმობს, რაც დღეს მსოფლიოში უკვე უკუგდებულია. ბიზნესი კი საკმაოდ სერიოზული საქმეა და მის ნებისმიერ მფლობელს, ეცოდინება როგორ გადაიტანოს ერთი ქვეყნიდან მეორეში უსაფრთხოდ თანხა. სულ მცირე, მანქანის საყიდლად ვინც დადის უცხოეთში, მასაც კი არ მიაქვს ხელზე თანხა და სერიოზული ბიზნესმენი ატარებს?

ნურავის დაავიწყდება, რომ დღეს ტექნიკურად მრავალი საშუალება არსებობს იმისა, რომ ბანკების მეშვეობით მოხდეს თანხების გადარიცხვა და ამით არავინ არ დაზარალდეს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ამ კანონის მიღებას უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს ვიდრე რეალური. ალბათ ეშინიათ იმისი, რომ „ჩემოდნით“ შემოტანილი ფული პოლიტიკურ აქტივობას არ მოხმარდეს და მეტი არაფერი.

**– ფიქრობთ რომ საქართველოში ინვესტიციების რაოდენობა გაიზარდა?**

– შარშანდელ პერიოდთან შედარებით წელს ინვესტიციების რაოდენობა 3 მილიონი დოლარით არის მხოლოდ გაზრდილი. ეს გახლავთ 0,8 პროცენტი, მაგრამ თუ გავითვალისწინეთ იმას, რომ ინფლაცია ამერიკასა და ევროპაშიც იყო, მის ფონზე შეიძლება ითქვას, რომ რეალურად ინვესტიციები ჩვენთანაც, ისე როგორც სხვაგან, შემცირდა. 0,8 პროცენტი აღარ არის დიდი მაჩვენებელი. ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ ამ ინვესტიციების 0,9 პროცენტია ჩადებული სოფლის მეურნეობის დარგში მხოლოდ, ეს კი ამ დარგს უმძიმეს პირობებში ჩააყენებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შემცირებულია ნათესის ფართობები, პირუტყვის რაოდენობა შარშანდელთან შედარებით, ეს ჩვენს სოფლის მეურნეობის მძიმე შედეგებს უქადის. პრაქტიკულად საყოველთაო სიღარიბემ მოიცვა სოფელი.




**– ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ საქართველო ფასების ზრდის მიხედვით არის ლიდერი მთელ მსოფლიოში?**

– ფასების ზრდას ყოველთვის აბრალებდნენ საგარეო ფაქტორს, თუმცა, მერე დაიდო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მასალა, საიდანაც გაირკვა, რომ ჩვენზე ცუდი ინფლაცია, ჰქონდა მხოლოდ 18 ქვეყანას, ანუ ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა იყო მსოფლიოს 164 ქვეყანაში. ამის შემდეგ საგარეო ფაქტორი გამოირიცხა.

რაც შეეხება სინამდვილეს, მიმაჩნია რომ ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი ქვეყანაში არის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით გამოწვეული. მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა იყო გაზრდილი, რამაც ასეთ შედეგებამდე მიგვიყვანა. ასევე, საბიუჯეტო პოლიტიკა არის ჩვენთან დეფიციტური – ესეც ინფლაციის წყაროა. ასე რომ როგორც საგარეო, ისე საშინაო მდგომარეობამ მიგვიყვანა ინფლაციის მაღალ მაჩვენებლამდე. შარშან ამ დროს დაიწყო ინფლაცია ჩვენთან და იყო ის 10 პროცენტი მაჩვენებლით, მაისში 14 პროცენტით იყო, სურსათი კი დაახლოებით 30 პროცენტით არის გაძვირებული. ეს ძალიან მძიმე მაჩვენებელია. როდესაც აცხადებენ, რომ შემოდგომაზე ინფლაცია დაიკლებს და ის 8 პროცენტი გახდება, ეს არ გვაძლევს დამშვიდების იმედს. 8 პროცენტიანი ინფლაციაც საკმაოდ დიდია. თუ ზოგიერთ პროდუქტზე დღეს ფასმა ოდნავ დაიკლო, ეს მხოლოდ იმით არის გამოწვეული რომ შემოდგომაა და მოსავალი მოვიდა. აბა ნახეთ კარტოფილი დღეს 1 ლარი ღირს, რამდენი ეღირება ზამთარში? რა თქმა უნდა უფრო მეტი. 8 პროცენტიანი ინფლაცია ისე აიწევს მაღლა, რომ ვერც კი დავინახავთ. ასე რომ, ეს მონაცემი დამშვიდების საბაბს არ გვაძლევს.

**– ქვეყანაში სადაც სახელმწიფო ვალუტა ლარშია, ყველაფრის ყიდვა-გაყიდვა ხდება დოლარში რატომ?**



– იმიტომ, რომ ლარის მიმართ ნდობა დაბალია. 2009 წელს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გამოვიდა ინიციატივით, რომ ლარიზაცია დაწყებულიყო ქვეყანაში და ბანკის სესხები თუ ნებისმიერი ოპერაცია, მომხდარიყო ლარში. სამწუხაროდ, ბაზარმა ეროვნული ბანკის ამ ინიციატივას, მხარი არ დაუჭირა და ის ვერ განხორციელდა. ჯერჯერობით, საქართველოში დოლარიზაცია ისევ მაღალია.

**– რამდენად უკეთესია ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც 2011 წლიდან შევიდა ძალაში?**

– ჩვენ საგადასახადო კოდექსის პრინციპები არ შეგვიცვლია, უბრალოდ გაერთიანდა საგადასახადო და საბაჟო კოდექსები, ადმინისტრირების გზით არის კიდევ მასში გამკაცრებები და ასე შემდეგ, გადასახადების რაოდენობა არ შემცირებულა მისი ადმინისტრირება – არ გამარტივებულია. ასე რომ დღეს მე ვერ ვიტყვი, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი უკეთესია. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ საადასახადო კანონში ცვლილებები არ უნდა შედიოდეს მისი ამოქმედების წინა დღეს, როგორც ეს მოხდა და რამაც ქაოსი გამოიწვია.

**– ახალი კანონის თუ წესის შესაბამისად ქუჩაში გამოჩნდნენ ინსპექტორები, რომელთაც ბიზნეს ორგანიზაციების, მაღაზიების შემოწმება და დაჯარიმება ევალებათ, ეს კონტროლის ახალი ფორმაა, რას ემსახურება ის?**

– პრეზიდენტმა თქვა ასეთი რამ, რომ „საგადასახადო ინსპექტორი გაიშნიკივით ჩასაფრებული არ უნდა იყოსო“. ეს ინსპექტორები კი რომლებიც მაღაზიებსა თუ სხვა ორგანიზაიებს შეამოწმებენ დაინტერესებუნი არიან იმით, რომ ვინმე დააჯარიმონ, იმიტომ რომ ისინი ამ ჯარიმიდან იღებენ პროცენტს. ამიტომ ისინი პრევენციით სულ არ არიან დაინტერესებულნი ან დახმარებით როგორც ეს წინასწარ თქვეს. დაჯარიმება არ არის დახმარება, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში დაჯარიმების მრავალფეროვანი სისტემაა შექმნილი, ეს ერთიც მათ მიემატა. შეიძლება 500 ლარით იმ ადამიანის დაჯარიმება, ვინც მთელი დღის განმავლობაში პურის ფულს ძლივს შოულობს?

სამწუხაროდ, ვიმეორებ, ქვეყანას ძალიან ბევრი დამაჯარიმებელი ჰყავს!

**– პრევენციას რა გამოიწვევდა, რომელი მეთოდი სჯობს, რომ დაჯარიმება შეიცვალოს?**

– უკეთესი იქნებოდა ის, რომ კონკრეტულად მიეთითებინათ, ვის არ სჭირდება სალარო აპარატი და რატომ. წარმოიდგინეთ თუ მზესუმზირის გამყიდველი ამასთან ერთად სალეჭ რეზინას გაყიდის, ის ჯარიმდება 500 ლარით. ეს სწორია? ვფიქრობ, რომ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ – ეს არაეთიკურია! კანონი უნდა დაიხვეწოს და გახდეს ჰუმანური და ლიბერალური, მას ადამიანური სახე უნდა ჰქონდეს. დღეს იმდენი ტექნიკური საშუალებები არსებობს, იმდენი სათვალთვალო კამერა თუ საერთო სერვერში ჩართული სალარო აპარატი ამოქმედდება, რომ ასეთი დამაჯარიმებელი ორგანოს შემოღება ჩვენს ქვეყანაში სრულიად მიუღებელია.

**– საგარეო ვალის ზრდასთან დაკავშირებით, რას იტყვით?**

– საგარეო ვალი ჩვენ გაგვეზარდა აპრილში, როდესაც საქართველოს მთავრობამ გამოუშვა ევროობლიგაციები, მაშინ ის 500 მილიონი სულ არ დაფარულა, ამიტომ ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალი სულ უფრო და უფრო – იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ვალის აღების საჭიროებას, მე ვერ ვხედავ. თუმცა ამ საჭიროებას ალბათ ხედავენ ისინი, ვინც ვალს იღებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი ვალის აღება გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფო ხარჯავს იმაზე მეტ თანხას, ვიდრე საჭიროა რომ დაიხარჯოს, ამიტომ უნდა „შემოიჭირონ ქამრები“ და ვალების აღებას მოერიდონ. სამწუხაროდ, პირიქით ხდება. ნუ დაავიწყდბათ რომ ამ ვალმა ჩააგდო მძიმე კრიზისში დიდი ქვეყნები, როგორიცაა ამერიკა, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი. ხვალ ან ზეგ ამ ვალს ხომ გადახდა უნდა?

**– საარსებო მინიმუმი თუ არის 158,8 ლარი ხოლო გაპიარებული პენსია 100 ლარი, ეს ხომ არის სრული შეუსაბამობა, მაშ რატომ აყვედრის მთავრობა პენსიონერებს 10 ლარის მომატებას?**

– ეს მხოლოდ პოლიტიკური ნაბიჯია. 2003 წელს საარსებო მინიმუმი იყო 115 ლარი მას შემდეგ ფასებმა 100 პროცენტით მოიმატა ე.ი. საარსებო მინიმუმი უნდა იყოს 200 ლარზე მეტი. თუმცა 158 აცხადებენ, ეს იმიტომ რომ მოხდა საარსებო მინიმუმის გადაანგარიშება, ანუ ანგარიშის წესი შეიცვალა, ვალდბულებები არის შემცირებული. მიუხედავად ამისა, ეს გაზრდილი პენსია ვერ აკმაყოფილებს საარსებო მინიმუმს. პენსიას უნდა ჰქონდეს ფუნქცია, მან უნდა უზრუნველყოს პენსიონერი, მისი არსებობა მაინც.

სტატისტიკის სამმართველო, რომელიც ასეთ ციფრს აწესებს მინიმუმზე, შუაში არ არის. მას ჯანდაცვის სამინისტრო აწვდის მონაცემს, რის საფუძველზეც გამოიანგარიშებენ სამომხარებლო კალათის თანხას. ამიტომ ჯანდაცვის სისტემამ უფრო უკეთ უნდა იანგარიშოს, რეალური ციფრები დადოს და მოუწოდოს ვისაც ესეხება, რომ 100 ლარს და თუნცა 158,8 ლარს შორის დიდი სხვაობაა და პენსიონერი ვერ შეძლებს ამ თანხით არსებობას.

**– ზამთარში მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებას ელიან, რამდენად იმოქმედებს ის ჩვენ ქვეყანაზე?**

– ხელისუფლებამ დროზე უნდა გააცნობიეროსის, რომ ფასების ასეთი ზრდა და შემოსავლების არაადეკვატური მიმართება, შეიძლება მძიმე შდეგებით დამთავრდეს. ღმერთმა ქნას, რომის არ გადაიზარდოს სოციალურ აფეთქებაში.

ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა უახლოეს პერიოდში ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. მსოფლიო სავალუტო ფონდის ახალი ხელმძღვანელი ქალბატონი ლაგრანი უკვე აცხადებს, რომ მსოფლიო ახალ ეკონომიკურ კრიზისში შედის. მითუმეტეს დღეს, როდესაც 2008 წელი არ არის და აგვისტოს ომის დახმარება აღარ გველოდება. დღეს ამის რესურსი აღარ არის, ქვეყანას მხოლოდ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა გადაარჩენს.

**ᲔᲗᲔᲠ ᲙᲐᲡᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

## Temur SaSiaSvili:

# Tqven rom icodeT, saakaSvili megrelobs da, Tu dasWirda, arc samegrelosa da dasavleT saqarTvelos gamoyofaze ityvis uars...



*„სააკაშვილი ქვეყნის სათავეში ხანგრძლივად ყოფნას ვერ ელევა და არც როდესმე დათმობს.*

*არ არის გამორიცხული სამეგრელოს დანარჩენ საქართველოსგან გამოყოფის ე.წ. გეგმასაც შეგნებულად არ შეეწინააღმდეგოს,ანუ, ის შეეცდება ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს და ძალაუფლებით ტკბობა გაიხანგრძლივოს“ — აცხადებს „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი.*

*საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, ვის ინტერესებშია ამ მზაკვრული გეგმის განხორციელება? როდის არის მოსალოდნელი ქვეყნის საბოლოოდ დაქცევა, სამეგრელოს საქართველოსგან გამოყოფის ე.წ. გეგმის საფუძველზე? „საერთო გაზეთი“ სკანდალური და ამასთანავე საფრთხის შემცველი განაცხადის კვალდაკვალ* ***თემურ შაშიაშვილს*** *ესაუბრა:*

**— ბატონო თემურ, სამეგრელოს საქართველოსგან გამოყოფის ე.წ. თემა რატომ ხდება დრო და დრო „აქტუალური“?**

— ქვეყნის შიგნით ისეთი სისტემაა შექმნილი, რომ ყველა მოელის ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს და საკუთარი სურვილების უკეთ შესრულებაზე იფიქროს. აქ ლაპარაკი არ არის სამეგრელოზე, ამ რეგიონს, რომ საქართველოს გარდა არაფერი უნდა, ჩემთვისაც ცნობილია. საუბარია ცალკეულ პიროვნებებზე, იმისდა მიხედვით, თუ ვინ ვის სამსახურშია.

დღეს, მხოლოდ სააკაშვილს ჰგონია, რომ საქართველო ძლიერია. რეალურად, ქვეყანა დასუსტებულია. 2 მლნ. ჩვენი თანამოქალაქე ქვეყნის გარეთ არის გასული, საქართველოში უკვე გაჩნდა ჩინური უბნები, ინდური უბნები, თურქული უბნები.

**ქვეყნის შიგნით ძალიან რთული მდგომარეობაა შექმნილი. როცა მეგრელი კაცი მარტვილში მთებს იქეთ გაიშვერს ხელს და გეუბნება, იქ ჩინეთიო. ეს ხომ საშინელებაა?**

**დიახ. წალენჯიხის ტყეები და სხვა ბუნებრივი საფარი ჩინელების ხელშია, ხოლო მეგრელმა კაცმა იქიდან ფიჩხი, რომ გამოიტანოს, ჩინელისგან უნდა აიღოს ნებართვა...როდესაც ნახა, რომ უკვე ყველაფერი სხვამ იყიდა... უკვე ძალიან ცუდი აზრები ეძლევა მას. ეს რეალობაა. ქვეყანა მიიყვანა ამ ხელისუფლებამ აქამდე, რომ...**

აი, თქვენ დააკვირდით, ამ ბოლო დროს თუნდაც საზღვარგარგარეთ, კერძოდ, იტალიაში, სოფლებმა დაიწყეს საუბარი, რომ გამოვეყოთ იტალიასო. ყველას ჰგონია, იტალია ძლიერია, თუმცა სინამდვილეში, ხალხი არ ითმენს იმას, რასაც ითმენს საქართველოში და იქ უკვე გამოყოფაზე გაისმის ულტიმატუმი .

**—თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად მოჰყევით, თორემ ახლა, თქვენ თუ მხედველობაში გაქვთ საბჭოთა პერიოდი, როცა თითოეული ქართველისთვის, ისევე როგორც საბჭოეთში მცხოვრები სხვა რესპუბლიკების მოქალაქეებისათვის, პრესტიჟის საკითხად ითვლებოდა რუსეთში სწავლა, მუშაობა და ამას მეგრელები საკმაოდ წარმატებით ართმევდნენ თავს, არგუმენტად ვერ ჩაითვლება.**



— რა თქმა უნდა, გეთანხმებით. პირადად, სტუდენტობის ორი წელი პეტერბურგში გავატარე. იქ ვხედავდი, რომ სამეგრელოდან ჩასულები იყვნენ ძალიან ძლიერად და დიდ ქართულ საქმეებსაც აკეთებდნენ. იმ პერიოდის პეტერბურგში პირველი სათვისტომო, რომ შეიქმნა, ბატონი ჭანია ხელმძღვანელობდა, ის იყო ძალიან ღირსეული და ძალიან კარგი პიროვნება, ჭეშმარიტად ქართულ საქმეს აკეთებდა. სხვათაშორის, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს კარგი ავტორიტეტი ჰქონდათ, რასაც დღევანდელ ვითარებაზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. დღეს უკვე ვხედავთ, რომ ქურდობისა და პროსტიტუციისთვის ყოველდღიურად საზღვრებს გარეთ ოთხ-ხუთ ჩვენს თანამოქალაქეს იჭერენ.

სააკაშვილს ეშინია ქვეყანაში არ მოხდეს იმ ადამიანების კონცენტრაცია, რომელთა შეერთებას შესაძლოა ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვეს ხელისუფლებისათვის, აი, ამიტომ არიან ესენი ქვეყნის გარეთ. აქედან გამომდინარე, პოლიტიკოსი, რომელიც ვერ იხარჯება საქართველოსათვის, აქ ვერ ჩამოდის... მას შეიძლება ათასი სხვა აზრიც მოუვიდეს ქვეყნის გარეთ. რამდენად პრაგმატულია მისი სურვილები, ეს უკვე სხვა საქმეა, არ გამოვირცხავ, გამოყოფის ამ ე.წ. გეგმას ქვეყნის გარეთაც ჰყავდეს თანამოაზრეები.

თუმცა ამავე ხელისუფლების მზაკვრობით, აშკარა ხდება ზოგიერთი პოლიტიკოსის გადაბირების თემაც. ასე მაგალითად, ხუბუტიას სააკაშვილი კარგა ხანია კატა-თაგვობანას ეთამაშება. ჯერ იყო და კეთილგანწყობას იჩენდა, მერე ძმა დაუჭირა და ხუბუტია უკვე იმ პერიოდში საბაკაშვილად მოიხსენიებდა, თუმცა ახლა გამოუშვა, ამ თემაზე მათ შორის გარიგება გერმანიაში მოხდა, ხუბუტიას ძმა გათავისუფლებულია, ახლა ეს ბიზნესმენი სააკაშვილს ვეღარ აგინებს. უცხოეთში შექმნილი ქართველთა ჯგუფები ცდილობენ კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ, როგორც საქართველოსთან, ასევე იმ ქვეყნის ხელისუფლებასთან. ამას ყველა ვერ ახერხებს. ასეთ დაბალანსებაში, პირადად, ცუდს ვერაფერს ვხედავ.

თუმცა არ მესმის ამ ბოლო დროს რუსეთის ხელისუფლების ლოგიკა, ვერ ვხვდები უკვე რას აკეთებს. არადა, ამ ბოლო დროს უფრო და უფრო ვრწმუნდები, კრემლი უჭერს მხარს სააკაშვილს. მას უბრალოდ სჭირდება სააკაშვილი საქართველოში.

თუნდაც ის თემა, რომ რუსეთს ვითომდა სურს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა ბლეფია. როცა ჩვენ 1997 წელს ამ საერთო ვაჭრობის სისტემაში შევედით, მაშინ დავიქეცით. თუმცა დღეს რუსეთი ღიად ვერ იტყვის, მსო გაწევრიანება ჩემს ინტერესებში არ შედისო და თამაშობს, ვითომდა, საქართველოს ხმა არ ჰყოფნის გასაწევრიანებლად.

პუტინი და სააკაშვილი ურთიერთსასარგებლო თამაშს თამაშობენ და ეს ფაქტია. ბურჯანაძე და ნოღაიდელი, რომ არ შეხვედროდნენ პუტინს, მათი გავლენა საქართველოში პოლიტიკაზე გაცილებით ქმედითუნარიანი იქნებოდა. აბა, ერთი ისიც ვთქვათ, თუ არის ხუბუტიას პერსონის მიმართ მძიმე დამოკიდებულება საქართველოში, ან თუნდაც რუსეთში? რასაკვირველია, არა. იქამდე, რომ მას რუსეთში იარაღის ბიზნესი აქვს. აბა, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ იარაღის ბიზნესი რუსეთში ქართველს? და თანაც, წითელ მოედანზე „გუმი“, „ცუმი“...ყველაფერი მისია.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, ბატონო თემურ, ოღონდ ახლა მე მაინტერესებს, თქვენ, პირადად თუ ხედავთ, იმის წინაპირობას, რომ დღევანდელი ვითარებით სამეგრელო გამოეყოს დანარჩენ საქართველოს?**

— ახლა, როცა თქვენ პირდაპირ მისვამთ კითხვას ამ საშიშროების წინაპირობებზე, მეც უშუალოდ გპასუხობთ, თუ ამ ხელისუფლების პოლიტიკა არ შეიცვალა...თუ ამ ჩინოვნიკების რიტორიკა გაგრძელდა, ეს საფრთხე გარდაუვალი იქნება.

თქვენ გგონიათ შემთხვევითია პარლამენტის ქუთაისში გადატანა, საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში, ზუგდიდში პრეზიდენტის რეზიდენციაა...



**მოკლედ, დასავლეთ საქართველოს თითქოს ცალკე სახელმწიფოდ ამზადებს სააკაშვილი — აღმოსავლეთ საქართველოში თუ პრობლემები შეიქმნება, გადავა და დასავლეთში დაჯდება „მეფედ“.**

უკვე მიდის მსჯელობა, აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რომ აღიაროს ევროპამ, რომ აღიაროს ამერიკამ, გაცილებით უკეთესია, რათა აფხაზეთი ჩამოვაცილოთ რუსეთს. ყველაზე მეტი ანალიტიკური სტატია ამ საკითხზე იწერება ამერიკაში. ვიღაცას ხვალ მოუვა აზრი, რომ ვთქვათ... აფხაზეთი და სამეგრელო ერთმანეთთან ახლოს არის. მერე ამ ორივე კუთხეს ერთად დავიბრუნებთო...აი, ესა აქვს გეგმაში ჩადებული. სხვათა შორის, რუსეთში და არა მხოლოდ რუსეთში ბევრს აწყობს ეს.

მე, პირადად, ბევრი ვინმე ვიცი, (ახლა გვარებს ვერ ვიტყვი,) ვინც დღეს საუბრობს იმაზე, რომ სამეგრელოში სწავლება მეგრულად უნდა იყოსო. სამწუხაროდ, ბევრია ასეთი და წერენ კიდეც ამაზე. გაზეთები აქვს საქართველოში ასეთ ხალხს. ისინი უცხოეთში ცხოვრობენ. თუ არ მენდობით, საიტებია, შედით და ნახავთ.

ასე რომ, ხვალ-ზეგ, ამის საშიშროება დადგება. სხვათა შორის, ძალიან ბევრი მეგრელი(ქართველი, რა თქმა უნდა, ქართველები ვართ ყველა) გაღიზიანებულია და ამბობს, არ მინდა ის სამეგრელო, რომელიც სააკაშვილს ეგება ფეხქვეშო. პირდაპირ ლაპარაკობს ამას, დააკვირდით და ნახავთ.

**აბა, მითხარით, დღეს სამეგრელოზე მეტად ვინ არის ამ ხელისუფლების საყრდენი? ამ ხელისუფლებამ ყველაზე მეტი დასაყრდენი სამეგრელოში გაიხადა, ყველაზე დიდ თამაშს იქ თამაშობს პრეზიდენტი სააკაშვილი. თქვენ არ იცით, მაგრამ სააკაშვილი კი არ სომხობს, მეგრელობს — დედა ჰყავს ალასანია და ამით სპეკულირებს. თავის ჰოლანდიელ ცოლს მეგრულად ამღერებს, მეგრელებს ეუბნება, ყველაზე ჭკვიანი და გონიერი ხალხი თქვენ ხართო. მან ვითომ გამოარჩია სამეგრელო და უპირატესობა მისცა მას, სინამდვილეში კი არ ემსახურება, პირიქით, ებრძვის ამ რეგიონს. აი, გვარების მიხედვით ჩამოვყვეთ და ყველაფერი ნათელი იქნება. აი, ვისაც ყველაზე მეტად ეყრდონა ხელისუფლებაში... ამას თავი დავანებოთ, ვინ ჩამოიყვანა უცხოეთიდან. ვის ჰქვია მთავარი მეფარმე საქართველოში? კობა ნაყოფიას. ის რუსეთის ინტერესების გამტარებელია. შარანგია- ვისია? რუსეთის. კრემლის კარზე გამდიდრდა. ხუბუტია, სიჭინავა, ძმები ფიფიები... მე, ეჭვი მეპარება, ამ ხალხს შინაგანად მოსწონდეთ სააკაშვილი.**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

რა ხდება დღეს? უკვე ყველა ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობს იმას, რომ ზუგდიდის მაფია დააჯდა თავზე იმერეთს. დღესდღეობით, გუბერნატორიდან დაწყებული, ირგვლივ ვინც კი თანამდებობაზეა, ჩამოიყვანეს ზუგდიდიდან. ეს ხომ საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ გააკეთეს? ხოლო იმერეთიდან სამეგრელოში პოლიციელები წაიყვანეს, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ „იმოქმედონ" . საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელები წაიყვანეს იმერეთიდან სამეგრელოში, მაგრამ იმერეთში ჩამოიყვანეს სამეგრელოდან. ეს ხალხი სამეგრელოს უტეხავს ავტორიტეტს იმერეთში და პირუკუ. შეგნებულად კი არადა, შეგნებულზე შეგნებულად გააკეთეს ეს. ხვალ-ზეგ შეიძლება ისე განვითარდეს მოვლენები, იმერეთმა ხმა ამოიღოს და თქვას, ეს რა ხდებაო. იმერეთში ერთ-ერთი ობიექტი რომ დაარბიეს, იქაურები ამბობდნენ, მეგრულად ლაპარაკობდნენ თავდამსხმელებიო, გული მომიკვდა. აი, რას აკეთებს ეს ხელისუფლება. მსგავსი ტენდენცია ღრმავდება, ღრმავდება...და საბოლოოდ, დაიყოფა საქართველო. იმერეთში იტყვიან, ბოლოს და ბოლოს, რა გახდა, არ გვინდა სამეგრელოდან გვატერორებდნენო.

ან კიდევ, ტვინით გატენილი ხალხია მეგრელები და ნუთუ საგასახადო იქაური, ანუ ადგილობრივი კადრებით ველარ შეივსებოდა? არა, მიზანმიმართულად ხდება ეს პროცესები. ხალხს გამოიწვევენ და მერე ვითარებას ქსენოფობიიის გამოვლინებად შეაფასებენ, არადა, ქსენოფობიის გზით წავიდა სწორედ ეს ხელისუფლება.



მე, ისეთი დაპირისპირება ვნახე ფოთელების ზუგდიდლების მიმართ, გავოცდი. ფოთში ხომ ყველგან ზუგდიდელებია, ნებისმიერ პოსტზე. ეს ნორმალურია? როგორ შეიძლება ასეთი რამე გააკეთო ქვეყანაში? შენ არ ენდობი ფოთელებს ფოთში? ზუგდიდლებს ზუგდიდში? ქუთაისელებს ქუთაისში? რა ხელისუფლება ხარ, ბოლოს და ბოლოს? რა მიზნები გამოძრავებს? ერთი რეგიონიდან ჩამოიყვანო პოლიციელი, რომ სხვაგან მაგრად სცემოს ხალხი და არ იცნონ?ეს ხომ ტრაგედია და აი, ეს არის ქვეყნის დანაწევრება.

**სააკაშვილმა ანაკლიაში მეგრელი და სამეგრელო გამოიყვანა განსაკუთრებულ რასად. ვის სჭირდება ეს? რას ჰგავს ეს? აბსოლუტურად არასერიოზული კაცის ნათქვამია,თორემ... ამას სხვა შეფასება არ აქვს. აი, ასეთი იაფფასიანი ქმედება, ფოჩიანი კანფეტის სროლა წამოიწყო და თანაც მას უნდა ამ ფოჩიანი კანფეტით მეგრელი კაცი მოისყიდოს?**

ეს პროცესები შიგნით ღვივდება და საბოლოოდ, შეიძლება ისე განვითარდეს მოვლენები- ხომ ამბობს სააკაშვილი ფოთი დამოუკიდებელი ეკონომიკური ზონა იქნებაო, გარწმუნებთ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ფოთი იტყვის, არ ვარ სამეგრელოო.

**—აბა, გურია ვარო?**

—არა. დამოუკიდებელი ვარო, იტყვის.

**—ბოლოს და ბოლოს, რა კომიტეტი შეიქმნა ვინც სამეგრელოს საქართველოსგან გაცალკევებას მოითხოვს? ვინ არიან ისინი? რა კატეგორიის ხალხია?**

— ისინი მხოლოდ საქართველოსთან დაკავშირებული ხალხია. არა მარტო რუსეთში მცხოვრებნი არიან და სხვათაშორის, პირველი შეკრება რუსეთში არ ჰქონიათ, მე მგონი, ევროპაში შეიკრიბნენ. ამიტომ ვამბობ, ეს მარტივი ჩანაფიქრი არ არის. შეიძლება ისეთი იდეოლოგია ჰქონდეთ, არ უნდა გაგვიკვირდეს, ამ ხელისუფლების იდეოლოგიის ფონზე, ბევრმა მოიწონოს. რასაც ხელისუფლება აკეთებს და როგორც იქცევა, იქედან გამომდინარე, შეიძლება კიდევ ბევრმა დაუჭიროს მხარი.



არ არის გამორიცხული ითქვას, მოდი, ამ ეტაპზე შევქმნათ სამეგრელოს და აფხაზეთის გაერთიანება, რომ მერე ადვილად დავბრუნდეთ საქართველოში. ვიღაცას ხომ მაინც დააჯერებენ? ეს არის სავალალო.

**— როგორც ვიცი, თქვენ სამეგრელოს დანარჩენი საქართველოსგან გამოყოფის ე.წ. თემა ექსპერტებმა გაგიმხილეს იმ პირობით, რომ მათ გვარებს არ დაასახელებდით. საინტერესოა, საქართველოს საბოლოოდ განადგურებას ელოდებიან?**

— არა. საბოლოოდ დაქცევას კი არ ელოდებიან, ისინი ელოდებიან უფრო დიდ ინფორმაციას. სხვათაშორის, პირად საუბრებში მითხრა არა ერთმა, არამედ რამდენიმე ექსპერტმა. ახლა ყოველ დღე ტელევიზიებში არ არიან ისინი, მაგრამ აქვთ ინფორმაცია და საკმაოდ სერიოზული კატეგორიაა.

## vis interesebSia samegrelos damoukideblobis e.w. gegma da sad iwereba qveynis dayofa-daqucmacebis sabediswero scenarebi?




**— როცა ამ „დიდ" ინფორმაციას მოიპოვებენ, მერე გვიანი არ იქნება?**

-არაფერიც არ იქნება გვიანი. ამიტომაც დავიწყე ამაზე საუბარი...

იმ მიზნით წამოვწიე ეს თემა, რომ ქვეყანა იყოს საქმის კურსში და კარგია, რომ ინტერვიუს იღებთ. საქართველო იმდენად დასუსტდა, რომ ამ გეგმაზე საუბარი ძალიან რეალური გახდა და დაიწყო კიდეც.

ამ ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად მივიღეთ დაძაბუნებული ქვეყანა.

სააკაშვილი ამ დასუსტებულ საქართველოში შოუებს მართავს და ამაში გრანდიოზულ თანხებს ყრის, მაშინ როცა, ქვეყანაში 300-400 ათასი დევნილი ბედის ანაბრად არის მიგდებული. ისიც ფაქტია, სააკაშვილი შეშინებულია და ძალა-უფლების შენარჩუნებისთვის არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე რეგიონის დამოუკიდებლად გამოცხადებაზე და იქ ხელმძღვანელად დადგომაზეც კი წავიდეს, აი, ასეთ ბინძურ პოლიტიკაზეც არ დაიხევს უკან.

**ნათია ნოდია**

# facebook

## xalxis azriT

რაღაც ეს ვიკილიქსი შემოდგომის დასაწყისში ძალიან გააქტიურდა საქართველოზე,ოპოზიცია გასაგებია,ახლა ხელისუფლების ამბებსაც ველოდებით.ჟულიან,ნუ იქნები ცალმხრივი!

ტყუილოპოზიციის, ანუ ''ოპოზიციის'' საყურადღებოდ! ტყუილად ნუ ვარდებით იზმენებში და შიშიანი ფობიები ნუ გაწუხებთ, მიშიკა-პრეზიდენტი თქვენს სანუკვარ ''არჩევნებს'' ვერ გამართავს(რააო, რატომო? იმიტომ, რომ ვერ მიაღწევს და მაგ დროისათვის შუშის გალიაში გვეჯდება უბან-უბან ჩამოსატარებლად!). ასეა ეს და ველარაფერს უშველით!!!

მიშიკომ და მერაბიშვილმა ციხეები გადააქციეს სადამსჯელო კანტორად, გვეწინაალმდეგები, ჩვენ, უზენაეს არსებებს პროტესტს გვიცხადებ, არ გვაძლევ ბიზნესს, არ გვითმობ საკუთრებას, არ ხოხავ მატლივით ჩვენს ფეხებთან ე.ი. შენი ადგილი ციხეშია, სადაც გაშიმშილებთ, ძვლებში გადაგტეხავთ შეგაგდებთ ჭლექიანებთან, დაგაავადებთ, შემდეგ გაწამებთ, ბოლოს გაგგუდავთ და გაგისტუმრებთ იმ ქვეყნად. კალმახელიძე გამოაცხადებს 32 წლის პატიმარი ხანდაზმულობით გარდაიცვალა. თუკი შენ, უმეცარო, გაბედავ და არ დაგვემორჩილები, აგიხდენთ ჩვენს მიერ დაწერილ ბედისწერას. გაიგეთ, გამოთავანებულო ქართველებო, რომ ჩვენ ვართ უზენაესი, ჩვენ ვწერთ თქვენს ბედისწერასაც და ჩვენვე გისრულებთ. პ.ს. აი ასეთი რეჟიმი სუფევს ჩვენს ქვეყანაში და ვინც ამას იტანს, ეგუება, სახლში ზის, გულზე მჯიღს ირტყამს, გარეთ კი ხმას ვერ იღებს, მეტის ღირსნი ვართ.

ერთი ამიხსენით, რატომ არ შეიძლება ნაცისტების მიერ დევნილი რობერტ სტურუა რომ რუსეთში წავიდეს? რას ერჩით რუსულ კულტურას? მივალთ ჩვენ დღეს მასთან ახლოს? რატომ უნდა მოვაკლოთ მას ქართული ელემენტი (რაც ყოველთვის ამშვენებდა ორივე კულტურას?) რატომ ავყევით ამ გარეწარი ნაცისტების პროპაგანდას და ლონდონში წასვლა რატომ უნდა იყოს უკეთესი, ვიდრე მოსკოვში?

აუ, რა პუტანკები მუშაობენ "იმედში" პროპაგანდისტებად? :))))))) ვისაც ეწყინება , ცივი წყალი დალიოს. ახლა ზომიერებაზე გადავიდნენ.ამიტომ ვეუბნებოდი მათი პარტიების წარმომადგენლებს რადიკალებთან კონფრონტაცია საჭირო არ იყო. დროა ყველამ სოლიდარულობა ვისწავლოთ, როცა სხვა პოლიტიკურ ძალის მიმართ რეჟიმი ასე იქცევა

ახლა დავფიქრდი. მიშამ რო მაყუთი გადაიხადოს და კოსმოსში გაფრინდეს, არ იქნება მაგარი? აფხაზეთი და ოსეთი ვერ დაიბრუნა, ნატოში ვერ შეგვიყვანა, დემოკრატია ვერ დააფუძნა და პირველი ქართველი კოსმონავტის სახელით რო შევიდეს ისტორიაში, არ მოუნდება ნეტა?

ბრიტანულმა ბანკმა HSBC-იმ საქართველო დატოვა...შვეიცარიული საათივით აწყობილ ეკონომიკურ-ფისკალურ პოლიტიკას ვერ შეეგუენ... ეტყობა...

მოქმედება და მოქმედება არის ქვეყნის სიცოცხლისა და ძალის მომცემი. ჩვენ ტბასავით ვდგავართ და შევყურებთ, როგორ გვეცლება მშობლიური მიწა დასამიწებელი ფეხებიდან(((

შევარდნაძე დღემდე ისე დავსვით კრწანისში, თითქოსდა დავით აღმაშენებელი იყოს. ვინმემ რამეზე პასუხი ვაგებინეთ და ვის ვაბრალებთ? არ გეშინიათ იგივე განმეორდეს? ყველა ფულზე იყიდება! იმიტომაც გვჭირს, რაც გვჭირს...

არ მოგწონთ ნაგვის გადასახადი? მაშინ იმოქმედეთ :) მშვენიერი იდეა მომაწოდეს: — "გამოვიტანოთ ნაგავი და დავყაროთ ქუჩაში მაინც ბევრს ვიხდით . ხო და ალაგონ მერე. ესე მოიქცეოდნენ აუცილებლად საფრანგეთში". მე გავაკეთებ!

აშშ-ს ხათრით და ნატოს იმედად არ ამოჟუჟა ბიჭები?!... სხვისი შვილების ბედს ასე ადვილად რომ განკარგავ, შენს შვილს თუ გაუშვებდი იქ საომრად?! ჩახოცა ამ ტვინგარეცხილმა ქართული საჯიშე ბიჭები! ბოიკოტი სხვის არაკანონიერ ომში წასვლაზედ. ნახეთ ჩემს დღევანდელ გვერდში, თუ რა ჯდება ყოველი დღის ომი. და მაინტერესებს, ვინ უხდის ფულს ჩვენებს და რამდენს ასეთი სიცოცხლის ფასად!!!

ჩვენი ზედამხედველები, ამჟამინდელი ბატონ-პატრონები, თავიანთ მზაკვრულ იდეოლოგიას გვინერგავენ და მრავალი ჩვენგანი გადაიბირეს სისასტიკით, ვერაგობით და დაპირებებით.

სარგებლობენ ჩვენი შვილების ახალგაზრდული გამოუცდელობით და ცდილობენ მათ გადაგვარებას...



# wignieri kaci cota xanSi wamlad iqneba saZebario, _ marTalia, wigni ukve iqca wamlad...

ორიოდე დღის წინ მშობლები დაგვიბარეს სკოლაში, მობრძანდით მშობელთა კრებაზე, იმ სახელმძღვანელოების ჩამონათვალს გაგაცნობთ, რომელიც თქვენს შვილებს დასჭირდებათ ახალი სასწავლო წლიდანო. რა თქმა უნდა, წინდაწინვე წელმოწყვეტილი წაველი, რადგან კარგად მახსოვს რეფორმირებულ-დეფორმირებული განათლების სისტემის დამტკიცებული, დაბალი დონის სწავლებისთვის განკუთვნილი სასკოლო სახელმძღვანელობის ფასები გასული წლებიდანაც. (შვიდი წელია გიჟს ვგავარ ამ გაუნათლებლობის შემხედვარე!)

არცერთი ახალი საგანი რომ არ იყო დამატებული, არ გამკვირვებია, 12 წელი რომ უნდა, ბოდიალოს ბავშვმა სკოლაში მინიმალური ცოდნის მისაღებად, რაღაცნაირად ხომ უნდა გაწელონ, მაგრამ 12 წელი რატომ უნდა ისმინოს, მუსიკისა და სახვითი გაკვეთილის კურსი გაძლიერებულად, მითუმეტეს, ყოველგვარი მუსიკისა და სახვითი ხელოვნების უკურსო კურსის გარეშე, ყოვლად გაუგებარია. პრინციპში, თუნდაც სულ დოლ-გარმონის თანხლებით ატარონ მუსიკის გაკვეთილები და არც სოლფეჯიო დააკლონ, შვილი მუსიკალურ სკოლაში ხომ არ დამყავს? თუ გაგიგიათ ვინმეს, ბავშვს კონკრეტული, ჩვენს შემთხვევაში პიანინო არ ჰქონდეს თვალწინ და ნოტების წერას და აღებას ასწავლიდნენ ზეპირად?

მოკლედ, გავიგეთ, რომ დემოკრატიული საქართველო ტაშ-ფანდურის მცოდნე მოსამსახურეების და მეძავების (სექსის სახელმძღვანელოების შემოტანას ჯერ ვერ ბედავენ, თორემ ისიც მზად აქვთ) საქართველოდ უნდა იქცეს, თუმცა, ვერ გავიგეთ, განათლების ამგვარი კურსის ამღები ქვეყნის პრეზიდენტს რატომ ეჩვენება აშშ ამგვარად. მან სწორედაც რომ ახლახანს ბრძანა, საქართველო აშშ-ის მსგავსი და მასზე „მაგარი" ქვეყანა უნდა გახდესო.



ამ სრულ უზნეობას ისიც ერთვის, რომ მასში ფულიც უნდა გადავიხადოთ თურმე, პირადად ჩემს შემთხვევაში 300 ლარი, ნახევარი ახლავე, მეორე ნახევარი თებერვალში, — არ მოგწონს? — წაიყვანე ბავშვი სხვაგან!... „სხვაგან წაიყვანე!" ისე იოლად ითქმება, თითქოს ერთი სკამიდან მეორეზე უნდა გადასვა, არც სკოლის ადგილ-მდებარეობას აქვს მნიშვნელობა და არც სხვა რამეს.

სკოლიდან გამოსულს ჩემსავით გულშემოყრილი მეზობელი ამემგზავრა, მე-2 კლასში ჰყავს ბავშვი, ჩვენ გუშინ გვქონდა კრება და არ ვიცი რა ვქნა, მათემატიკის წიგნის ფასი რომ ვიკითხე, კინაღამ გონება დავკარგე, 15 ლარი ღირს, ქართულის, სიმღერის და კიდევ რაღაცების კითხვა არც გამხსენებია, ისე გამოვლასლასდიო.

მეზობელს გამოვემშვიდობე და ახლა მე გავუყევი გზას სახელმძღვანელობის ფასების დასაზვერად. ერთი სახელმძღვანელოს რამდენიმე ავტორმა ხომ ცალკე ამირია გონება, ვეღარ ვარკვევდი, რომელი გვარები იყო მათი და რომელი პედაგოგის. რატომ სწავლობენ ბავშვები სხვადასხვა ავტორების წიგნებით, რა უბედურებაა ეს? — გამყიდველსღა უყვირა განერვიულებულმა მამაკაცმა. გამყიდველმა „დააკვალიანა", დაწერეთ თქვენც, გამოძებნეთ ვინმე „ისეთი" განათლების სამინისტროში, ჩაისვით წილში, გაიმარჯვებს თქვენი წარმოდგენილი წიგნის პროექტი და თქვენი სახელმძღვანელოც დაიდება აგეროთ...

48 ფურცლიანი რვეული ფასი — 1,50 თეთრი, 100 ფურცლიანის — 2 ლარი, ფანქრის პატარა სათლელის საშლელითურთ 1 ლარი, დიდის — 2 ლარიო რომ გავიგე, მივყევი და მივყევი, მხოლოდ ფასებს ვიწერდი, ანუ რა დამიჯდებოდა ამ წლის დასაწყისისთვის ბავშვის სასკოლოდ მომზადება, მითუმეტეს, რომ აუცილებლად თეთრი პერანგიც მოითხოვა ახალმა დირექტორმა. რომ დავიანგარიშე, ისე გადავახტი ამ თვეში 350 ლარს, მარტივი არითმეტიკის ცოდნაში ეჭვი შემეპარა და ახლიდან დავიანგარიშე.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემი ოჯახი ნამდვილად აღმოჩნდა სოციალურად დაუცველი. აფთიაქში წადით, აფთიაქშიო, — სიტყვა დაგვიგდო ფლომასტერების მყიდველმა ქალმა და გავიდა. ვიფიქრე, დასამშვიდებელი ან საგულე საშუალების გამო გვაგზავნიდა აფთიაქში და უკბილოდ იხუმრა, — ნურას უკაცრავად!

შინ მისულს რეკლამამ შემომანათა, ორი ზღარბი აფთიაქში შედის და მესამე ზღარბთან სასკოლო სახელმძღვანელოებს ყიდულობს: „ჯი-პი-სი" გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას და გთავაზობთ სიახლეს, — „ჯი-პი-სი" და „სითი-ფარმა" საუკეთესო ფასად! შეიძინეთ ან შეგვიკვეთეთ საჭირო სასკოლო წიგნები და ჩვენ მას გადმოგცემთ ზღარბი-საჩუქართან ერთად. დაზოგეთ თანხა „ჯი-პი-სის" აფთიაქებსა და „სითი-ფარმაში", დააგროვეთ ვაშლები და დასაჩუქრდით ზღარბისგან! „ჯი-პი-სი" — იზრუნეთ მომავალზე"!

აფთიაქში წიგნს რა უნდა? — უნდა, უნდა, „ჯი-პი-სიში" უნდა, რადგან იგი ისეთი კაცისაა, აფთიაქში კი არა, თურქულ კარტოფილთან, ვაქცინებთან და ონკოლოგიური დანიშნულების პრეპარატებთან ერთადაც რომ არ იყიდება, ის უნდა გაგვიკვირდეს. (დავით კილაძე არის ის „დაჩაგრული ჯი-პი-სიელი" ხელმძღვანელი, რომელსაც დღემდე შემოაქვს ეს პრეპარატები და რომლის ტენდერიდან „მოტეხვის" გამოც ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე კოკა ფრუიძე დღემდე ციხეშია, როგორც ამბობენ ძლიერ ნაწამები...)

გემახსოვრებათ, ასეთი გამოთქმა იყო, „ბოდიში" რომ წამალი იყოს, აფთიაქში გაიყიდებოდაო", ჰოდა, ცოტა ხანში მართლა გაიყიდება. რატომაც არა, შეფუთავენ ლამაზად, დაადებენ ფასს და შეიძენთ კვლავ „ჯი-პი-სის" აფთიაქებში, მაგალითად, ამგვარი შინაარსის ბოდიშს „საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო ბოდიშს გიხდით ტრანსპორტზე ფასების გაძვირების გამო" ან „საქართველოს ჯანდაცვის (და კიდევ ათასი „საიმასქნო საქმის") სამინისტრო ბოდიშს გიხდით მედიკამენტებზე ფასების მომატების გამო" და ა. შ შეიძენთ ბოდიშს და დაკმაყოფილდებით მორალურად.

დავინტერესდი, რას მეტყოდნენ წიგნის გამყიდველ აფთიაქებში, რომელთა რაოდენობა, ცხადია, საკმაოდ ვრცელია, აფთიაქები ხომ ყოველ ხის ძირშია გახსნილი. ჩემი უბნიდან მე დავიწყე და ქალაქის მეორე მხარეს ახლობელს ვთხოვე რამდენიმე აფთიაქსი შესვლა-გაბაასება. აფთიაქები: №2, №4, №8, №11, №13, №16, №20, №21, №48, №67 — კიდევ რამდენი „წიგნიერი" აფთიაქი დარჩა, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ პასუხი კითხვაზე, ვინ შეიტანა სახელმძღვანელოები აფთიაქებში, ყველგან აგდებული და ერთნაირი შინაარსის იყო: „მე რა ვიცი ვინ შემოიტანა, ჯანდაცვის სამინისტრომ თუ პაპაჩემის პაპამ", „მე რას მეკითხებით, მე მხოლოდ ვყიდი", „თუ ყიდულობთ, — იყიდეთ!" „საქმე არ გაქვს?" „ჯანდაცვის სამინისტრომ და განათლების სამინისტრომ ერთად თუ უერთმანეთოდ, თქვენ რა გინდათ?" „სააფთიაქო სამმართველო, სამინისტროები და ეგეთი რამეები ჩემი საქმე არ არის" და ა.შ. რა თქმა უნდა, არცერთ აფთიაქში ადგილზე არ არის ისეთი პასუხისმგებელი პირი, რომელიც დაგელაპარაკება, ყველა მაინც და მაინც იმ დროს არის რომელიმე ზემდგომთან წასული... კითხვაზე, რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნიათ ნებისმიერი პროდუქციის შეტანა იქ, სადაც წამლებია განთავსებული და იდეალური სისუფთავე უნდა იყოს დაცული, ყველგან მხრები აიჩეჩეს, რომელიც მე ასე „წავიკითხე", ჩვენ ვინ გვეკითხებაო....

„მადლობა თქვით რომ წიგნი საერთოდ არის! დიახ, წიგნი აფთიაქში უნდა იყიდებოდეს! თქვენ ასწავლეთ ახლა პრეზიდენტს, მოვლილი აქვს მსოფლიო!" — მიყვირა შუა ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე ე.წ „ავრორას" კართან საიდანღაც წამოწეულმა „ნაცმოყვარულმა" მოხუცმა კაცმა და კინაღამ ხელჯოხი დამკრა... რა უნდა მეთქვა მოხუცისთვის, მე სხვა თაობა ვარ, თანამედროვე „უნარ-ჩვევები" საჩემო არ არის...

**მაია ჭელიძე**

# vin gaitaca zviad yuSitaSvili da sad hyavdaT igi gamomwyvdeuli rva dRis ganmavlobaSi?



3 სექტემბერს „ქართველი ემიგრანტების'' ლიდერი ზვიად ყუშიტაშვილი თურქეთში მიემგზავრებოდა, თუმცა გამგზავრებამდე 3 საათით ადრე მისი მობილური ტელეფონი გაითიშა და თავადაც უკვალოდ გაქრა.

ზვიად ყუშიტაშვილი თითქმის ერთი კვირის შემდეგ გამოჩნდა და 12 სექტებერს სასტუმრო „სიმპატიაში'' ბრიფინგი გამართა. (ზვიადი თავადაც ემიგრანტი იყო, რამდენიმე წელი ესპანეთში ცხოვრობდა. მიხეილ სააკაშვილის ემიგრანტებისადმი ცნობილი მოწოდების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდით, ყველას დაგასაქმებთო, იგი სხვა მისნაირად მოტყუებულ ემიგრანტებთან ერთად დაბრუნდა, თუმცა მალევე მიხვდა, რომ ეს დაპირება ბლეფი იყო).

— ამ დღეს თურქეთში უნდა წავსულიყავი და იქიდან უნდა მეხელმძღვანელა ევროპის აქციებისთვის, რადგან აქედან შეუძლებელია ვინმეს დაუკავშირდე თუ საქმე ხელისუფლების საწინააღმდეგო რაიმე აქციას ეხება. ჩემს მეუღლეს შევხვდი, ერთად გავედით ქალაქში. შემდეგ ჩემს მეგობრებს დავურეკე და შევატყობინე, რომ „თეთრების'' ოფისში მივდიოდი, იქიდან უნდა გავეცილებინე ლევან კოჭლოშვილს („ივერიელების'' ლიდერი) და გიორგი ფარესიშვილს („თეთრების'' ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი) თურქეთის ავტობუსზე, რომელიც საღამოს 8 საათზე გადიოდა.

— მეტრო „მარჯანიშვილთან'' ტაქსი ავიყვანე და ვერაზე წავედი. სასტუმრო „საქართველოსთან'' ტაქსიდან რომ ჩამოვდიოდი „ბმვ''-ს მარკის ავტომანქანა წამოგვეწია, საიდანაც ორი ნიღბიანი და ერთიც სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირი გადმოვიდა, რომელმაც მკითხა, ზვიადი ხარო. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ჩანთა ჩამომართვეს და „ბმვ''-ში ჩამსვეს. მე წინააღმდეგობა არ გამიწევია. უკანა სალონში კიდევ ერთი პირი იჯდა და შუაში მომამწყვდიეს. თვალები ამიხვიეს, თავზეც ქსოვილი გადამაფარეს და გაურკვეველი მიმართულებით წამიყვანეს. რომელიღაც შენობაში შემიყვანეს და მომხსნეს ეს სახვევები. ექვსი დღე იქ ვყავდი გამომწყვდეული. დამიწყეს ლანძღვა-გინება, შენ ხარ რაღაც აქციებს რომ აწყობო... შემიყვანეს ოთახში, სადაც ორი ნიღბიანი და ერთი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირი დამხვდა, რომელმაც მითხრა რა აქციებს გეგმავ, რას ემდური ამ ხელისუფლებასო. ჩემს პასუხზე, რომ 26 მაისის დარბევას ვაპროტესტებდი, ერთ-ერთმა სახეში გამარტყა. ამბობდნენ ისე ვცემოთ, რომ სილურჯე არ დაეტყოსო და თან უშვერი სიტყვებით მლანძღავდნენ. ესენი რომ გავიდნენ, ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, რომელიც ადვოკატად გამეცნო. ისიც მეკითხებოდა რა პრეტენზია აქვს თქვენს ორგანიზაციას ამ ხელისუფლების მიმართო, თუმცა ის პირები მალევე შემობრუნდნენ და ამ გოგონას უთხრეს, დაგვტოვეო.

**— რას ითხოვდნენ თქვენგან?**

— იმ პირების ვინაობის და ტელეფონის ნომრების დასახელებას,

ვისაც ესპანეთში ვუკავშირდებოდი. მობილურ ტელეფონში მხოლოდ ორი ნომერი მქონდა და ამოიღეს. დანარჩენი ნომრებითაც დაინტერესდნენ, რომლებიც ჩემს ფოსტაში მაქვს, კომპიუტერიდან მარტო ეს ნომრები კი არა, ევროპიდან ჩვენი აქტივისტების მოწერილობები და ორგანიზაციის წერილის ის ბლანკებიც ამოიღეს, რომლითაც ევროპის ქვეყნების ადგილობრივ გუბერნიებს წერილებს ვუგზავნიდით თხოვნით, რომ აქციების ჩატარების უფლება მოეცათ. სხვათა შორის ყველამ დაგვრთო ნება. ცარიელ ბლანკზე ხელის მოწერა მომთხოვეს, როცა ვიკითხე ხელს რაზე მაწერინებდნენ, ერთმა მათგანმა კისერში ხელი ჩამავლო სიტყვებით, ჯერ მოაწერე და მერე გაიგებო. ასე იძულებით მომაწერინეს ხელი. მერე სხვა, ტექსტიანი ბლანკი მომიტანეს, რომ თითქოს პრეზიდენტ სააკაშვილს ვეხვეწებოდი შემხვედროდა და თურმე შსს-თან ვთანამშრომლობთ და მათი ორგანიზებით ვაწყობთ ამ აქციებს. როცა ეს გავაპროტესტე და ვკითხე ამას რატომ მიკეთებდნენ, ეს შენი საქმე არ არისო. შემდეგ ორი კომპიუტერი და რაღაცა მოწყობილობა შემოიტანეს და მითხრეს კითხვა-პასუხის რეჟიმში გვიპასუხებ, რასაც დაგავალებთო. უარი ვუთხარი, მაგრამ დამემუქრნენ, რომ ჩემს 13 წლის გოგონას ჩემს თვალწინ გააუპატიურებდნენ. ვერ წარმოვიდგენდი თუ ასეთ სიბინძურეს იკადრებდნენ და კვლავ ვიუარე. იმის დასამტკიცებლად, რომ არაფერს მოერიდებოდნენ გარკვეული დროის შემდეგ, ჩემს შვილთან დამალაპარაკეს, თუმცა ორი სიტყვის თქმა მოვასწარი. ჩემი გოგონა სოფელში იყო დედაჩემთან და იქ ჩაიკითხეს. დედაჩემმა მერემმითხრა შენი მეგობრები იყვნენ ჩამოსული და გვითხრეს, ტყუილია, რომ ზვიადი დააპატიმრესო.

დავრწმუნდი ყველაფერზე წამსვლელები იყვნენ, ამიტომ იძულებული გავხდი დავთანხმებოდი და მათთვის სასურველი პასუხები გამეცა. შემდეგ „სახალხო კრებაზე'' მელაპარაკნენ. ლევან კოჭლოშვილსა და გიორგი ფარესიშვილზე თქვეს, ესენი ძველი აქტივისტები არიან და მაგათ ცალკე მივხედავთო. მერე ზემოთ ამიყვანეს, სადაც შარვალ-კოსტუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი პირი დამხვდა, რომელმაც მითხრა, რომ გვარად ლორთქიფანიძეა, სახელი თუ არ ვცდები, გიორგი მითხრა (ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, გიორგი ლორთქიფანიძე ვანო მერაბიშვილის მოადგილეა, მანამდე კი მას ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის პოსტი ეკავა — მ.ს.). ისიც მეკითხებოდა რა პრეტენზია მქონდა ხელისუფლების მიმართ. ჩემმა პასუხმა ძალზე გააღიზიანა მისი თანმხლები პირი და ისეთი წიხლი ჩამარტყა მკერდის არეში, რომ სკამიდან გადავვარდი. იმ პერიოდში უკვე აქციებს მართავდნენ ჩემი მეგობრები, რითაც ესენი ძალზე უკმაყოფილო იყვნენ. ბიჭებს აგინებდნენ, ნახე რა ამბავი ატეხეს, ევროპაში რომ ჩატარებულიყო ეს აქციები რამხელა რეზონანსი მოყვებოდაო. ის პირები, რომლებმაც ჩემს ე.წ. საკანში ჩამიყვანეს ერთმანეთში საუბრობდნენ უნდა ჩაგვედო ამისთვის და ისე მოგვეყვანა, მაშინ ისწავლიდა ჭკუასო. ბოლო დღეს თვალები ამიხვიეს, ჩამსვეს მანქანაში და ელბაქიძის დაღმართის დასაწყისში დამტოვეს თანაც დამემუქრნენ ხმის ამოღება არ გაბედო, თორემ უარესი დაგემართებაო.



როგორც ზვიად ყუშიტაშვილი და ლევან კოჭლოშვილი აცხადებენ მუქარები და ზეწოლა კვლავ გრძელდება. ზვიადს დაურეკეს და დაემუქრნენ, არ გეყო რაც გაგიკეთეთ, ბრიფინგზე მისვლა არ გაბედო თორემ უარესი დაგემართებაო.

# absurdis Teatri

# თემურ ქორიძე: გაუბედურებულ საქართველოში ბედნიერი კაცები ბედნიერად ცხოვრობენ



*გვესაუბრება ცნობილი პუბლიცისტი* **თემურ ქორიძე**

**— ბატონო თემურ, მოგეხსენებათ, ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს ხელისუფლების იმედი უკვე აღარ აქვს, არც ოპოზიციისა, სხვათა შორის. არადა, იყო დრო, როცა ე.წ. კვალიფიციური პარტიების მხარდამჭერები ხელებს იტყავებდნენ ტაშით და ხმის ჩახლეჩვამდე ყვიროდნენ ამა თუ იმ ფსევდოოპოზიციონერის სახელს, როცა ხალხი მიტინგებზე „გუგუნებდა“ — გუბაზიგუბაზი, ხან შალვა-შალვა და ა.შ. თქვენ მათ შესაძლებლობებში ეჭვი შეგქონდათ.**

**დღეს უკვე ბევრი ხედავს, რომ თქვენი მაშინდელი შეხედულება სამუწახროდ რეალობა აღმოჩნდა...**

— რამდენადაც მახსოვს, სტენდალი ირონიულად შენიშნავდა, — „თუ კაცს მინისტრობა სურს, ის შეიძლება გახდეს მინისტრი და ეს იქნება მისი სასჯელიო“. დღეს სწორედ ასე „ისჯებიან“ ჩვენი პოლიტიკოსები, რომლებიც წლების განმავლობაში ფუჭი დაპირებებით კვებავდნენ საზოგადოებას და თვითდამკვიდრების მიზნით დღენიადაგ საკუთარი „იმიჯის“ განმტკიცებაზე ზრუნავდენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ცალკეული პარტიები და პოლიტიკოსები მუდამ თავად განიმზადებენ ხოლმე თავიანთ ბედს. დიდი შორსმჭვრტელობა ნამდვილად არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ მათი ცრუ საქმიანობა სრული კრახით დასრულდებოდა. არა მგონია, დღეს მათ ოპტიმიზმის თუნდაც მცირეოდენი საფუძველი ჰქონოდეთ. გახსოვთ, ალბათ, როგორი რიხით გამოდიოდნენ „წარმატებისგან თავბრუდახვეული“ „ფორუმელები“. ახლა ისინი ისე დაბნეულები არიან, რომ არც კი იციან, რა გზას დაადგნენ, კონკრეტული მაგალითი გნებავთ? კი, ბატონო!

მოდით, გავიხსენოთ, ერთი წლის წინანდელი ადგილობრივი არჩევნების წინააღმდეგ გაჩაღებული მათი დაუნდობელი კამპანია. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით ბ-ნი კახა შარტავა: „დაკარგული რეგიონების ფონზე, როცა შენ დანარჩენ რეგიონებში არჩევნების ჩატარებას თანმხდები, ეს ნიშნავს, რომ იმ დაკარგული ტერიტორიების ჩამოჭრას შეეგუები...

...აი, ეს გააკეთა ამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა. ამიტომაც არ მიიღო ამ არჩევნებში მონაწილეობა „ეროვნულმა ფორუმმა“, იხ. გაზ. „ასავალ-დასავალი“. 2010 წ. №23 (819). ახლა ფორუმელთა მეორე ლიდერს, ბ-ნ გუბაზ სანიკიძეს მოვუსმინოთ: „მიმაჩნია, რომ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის არმიღება შეცდომა იყო ჩვენი მხრიდან“ (იხ. გაზ. „ქრონიკა“, 2011 წ. №29. (499).

რა ხდება? თუკი ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა, ფაქტობრივად, „დაკარგული ტერიტორიების ჩამოჭრის შეგუებას ნიშნავს“, რის გამოც ერთი წლის წინათ „ფორუმმა“ გმირული ნაბიჯი გადადგა და უარი თქვა ამ ღალატში მონაწილეობაზე, — ერთი წლის შემდეგ კი „გმირობა“ შეცდომად რატომ ცხადდება? ან ლოგიკა სადაა, ან — ელემენტარული კეთილსინდისიერება? მსგავსი წინააღმდეგობები კი ამ პარტიის ისტორიაში ისე უხვადაა მიმობნეული, რომ წესით, მომავალ არჩევნებში საზოგადოებამ მას სრული უნდობლობა უნდა გამოუცხადოს. მიხედავად ამისა, ბ-ნი გუბაზ სანიკიძე, რატომღაც თავს მაინც ბედნიერ კაცად მიიჩნევს და ამის თაობაზე დაუფარავად გვესაუბრება: „ბედნიერად ვცხოვრობ, ბედნიერი კაცი ვარ, არაჩვეულებრივი სამშობლო მაქვს, არაჩვეულებრივი ოჯახი მყავს, მეგობრები, თანამოაზრეები, ძალიან ბევრ ადამიანს ვუყვარვარ“... (იხ. გაზ. „ალია“, 2010, №80 (2517). მადლობა ჩვენს მედიას, რომელიც ხშირად გვაწვდის ქართველ პოლიტიკოსთა მსგავს „მარგალიტებს“ და ამით დიდ დახმარებას უწევს ჩვენს საზოგადოებას, რომელმაც ბოლოს და ბოლოს, უნდა ისწავლოს ცრუპოლიტიკოსთა გამოცნობა. ამჯერად იქნებ იმაზეც დავფიქრდეთ, თუ რა საფრთხეს წარმოადგენენ ისეთი „მოღვაწეები“, რომლებიც გაუბედურებულ საქართველოში თავს ბედნიერად გრძნობენ და ხშირ-ხშირად დავით აღმაშენებლის ხსენებაც უყვართ. „არადა, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფემ ღრმა სინანული ჩაიტანა საფლავში... მართალია, მას გუბაზ-ბატონისგან განსხვავებით „დამოუკიდებლობის აქტზე“ ხელი არ მოუწერია, მაგრამ დიდგორის გამარჯვების შემდეგ ბედნიერების ერთი წუთი მაინც დარჩებოდა მოსაგონებლად...

აი, ასეთი აბსურდითაა აღსავსე დღეს ქართული პოლიტიკური თეატრი, სადაც ყველანი ერთმანეთს მხოლოდ სიცრუესა და თაღლითობაში ეჯიბრებიან. თუმცა არც ესაა გასაკვირი, მაგალითად, ვიქტორ ჰიუგოს „პოლიტიკოსი“ და „თაღლითი“ სინონიმურ ცნებებად მიაჩნდა.

**— დღეს ასეთი სურათი მივიღეთ — საზოგადოება გულგრილი და ინდიფერენტული გახდა. კრიზისული სიტუაციაა, დამეთანხმებით.**

— ყოველივე იმის გამო, რაც ზემოთ მოგახსენეთ, საზოგადოება დეპრესირებულია და აპათიითაა შეპყრობილი. ის თავს მოტყუებულად, გაბაიბურებულად და დამცირებულად გრძნობს. ამას დაუმატეთ უკიდურესი გაჭირვება, პერსპექტივის სრული



დაშრეტა, ხელმოცარულობის სინდრომი და ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა ღრმა და გამანადგურებელია ჩვენში მძვინვარე კრიზიის მასშტაბები. ოცი წელიწადია, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ხალხი მხოლოდ დამარცხებების, იმედგაცრუებებისა და ოცნებების მსხვრევის ატმოსფეროში აგრძელებს არსებობას... ქართველი კაცი ვერ ხარობს საქართველოს დამოუკიდებლობით, სამშობლო მისთვის ტვირთია და სასჯელად იქცა! ის გახდა უბრალო ნივთი, საგანი, რომლითაც უსირცხვილოდ მანიპულირებენ „მოხერხებული ადამიანები“, ანუ „პოლიტიკოსები, შეუძლებელია ასეთი რამ დიდხანს გაგრძელდეს. ჩვენ უარესიც გამოგვივლია, მაგრამ გადავრჩენილვართ და ფეხზე წამოვმდგარვართ. ეს დროც მალე დადგება, რადგან, როგორც წესი, „ყოველთვის ყველას მოტყუება შეუძლებელია“.

**— არჩევნები ახლოვდება. ასეთ მდგომარეობაში მყოფი საზოგადობა არაჯანსაღი ფსიქიკით, არასტაბილურ მდგომარეობაში მყოფი გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს?**

— მერწმუნეთ, როგორადაც უნდა შეიცვალოს საარჩევნო გარემო, როგორი სრულყოფილი კანონიც უნდა მიიღოს ხელისუფლებამ, — საზოგადოება დღესდღეობით არჩევნებისთვის მზად არ არის. კრიზისული ადამიანის მიერ გაკეთებული არჩევანი ჯანსაღი ვერაფრით იქნება! მეტიც: რამდენადაც თვით პოლიტიკური პარტიების მდგომარეობაც ღრმად კრიზისულია, გამოდის, რომ ყველას ერთად თავიდან ბოლომდე კრიზისულ წრეში ტრიალი მოგვიწევს. ვინ უნდა ავირჩიოთ? ჩვენში არ არსებობს „ერთმანეთზე უკეთესი“ პარტიები, ჩვენთან მხოლოდ უარესი არსებობს. ამიტომ ასპარეზზე კვლავ უნდა გამოვიდეს თუნდაც წელში გაწყვეტილი, ძალაგამოლეული, მაგრამ მაინც ყველაზე კეთილსინდისიერი, ყველაზე გონიერი და ამასთანავე — ყველაზე დაბრძენებული კულტურულ-ინტელექტუალური ელიტა, რომელსაც დასაკარგი უკვე ნამდვილად აღარაფერი დარჩა, და სხვათა შორის, არც მოუხვეჭოს და მოგების სურვილი აქვს შერჩენილი. სწორედ ასეთ ვითარებაში მოხდება საზოგადოების გააქტიურება და ეროვნული ენერგიის ამოძრავება.

**— რა ლოგიკაზე დაყრდნობით ამტკიცებთ ამას? რა გაძლევთ ქართველი ერის მოსალოდნელ გააქტიურებაზე და ეროვნული ენერგიის ამოძრავებაზე საუბრის საფუძველს?**

— ერს ხელეწიფება ყველა უფსკრულის დაძლევა. ამის თქმის უფლებას მაძლევს არა მხოლოდ ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული თავისებურებანი, არამედ ის მყარი და დროის მკაცრი გამოცდის შედეგად დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ერი არ არის მხოლოდ ამჟამად მცხოვრებ ადამიანთა ემპირიული რაოდენობა. ის უფრო მისტიური ორგანიზმია, რომელსაც იდუმალი სიცოცხლე გააჩნია. ერის სული ყოველთვის გამოიხატება პიროვნებათა თვისობრივი შერჩევით, რჩეული (საუკეთესო) პიროვნებების მეშვეობით. არავითარი დემოკრატია თავისი რაოდენობრივი მექანიკით არ შეიძლება იყოს ეროვნული ნების გამომხატველი. ერი არ არის უმრავლესობის ნება. მის ნებელობაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ცოცხლები, არამედ გარდაცვლილებიც, მონაწილეობს დიდი წარსული და ჯერაც გამოუცნობი მომავალი. ერში წარმოდგენილია არა მხოლოდ ადამიანთა თაობები, არამედ ტაძართა, ციხე-ქალაქთა და კარმიდამოთა ქვებიც, საფლავის ლოდები, ძველი ხელნაწერები, წიგნები და ა.შ. ამიტომ ყველა ერი მიისწრაფვის მომავლისკენ, სიცოცხლით დამკვიდრებული სიცოცხლისკენ და ჩვენ, ვინც ასე თუ ისე ვიცნობთ, ქართული ფენომენის გენეზისის, ღრმად უნდა გვწამდეს, რომ მისი სიცოცხლისუნარიანობა უსაზღვრო ძალისაა და ტირანიისადმი დროებითი მორჩილება კიდევ უფრო გამოაფხიზლებს მის სასიცოცხლო იმპულსებს.

**— ახლა ზოგიერთები კანონიერების აღდგენაზე, უზენაესი საბჭოს კვლავ შეკრებაზე, ძველი კონსტიტუციის მოქმედებაზე ალაპარაკდნენ, როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია ეს?**

— ყველა, ვინც გულწრფელად ზრუნავს საქართველოში სამართლიანობის აღდგენა-დამკვიდრებისთვის, უთუოდ ღრმა პატივისცემის ღირსია. ჩემთვის ამდენადვე მიუღებელია პატივმოყვარეობით შეპყრობილ ადამიანთა ამბიციური გამოხტომები, „უჩემოთ ვინ იმღერეთა“-ს სინდრომი, რომელიც დღეს ასე დაუფარავად ღრღნის ჩვენს ეროვნულ ორგანიზმს. მთელი ოცდათხუთმეტი წელი იბრძოდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იმისათვის, რათა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დაბადებულ და აღზრდილ მილიონობით ჩვენს მოქალაქეს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა არ განელებოდათ. 1990 წლის 31 მარტს სრულიად საქართველომ გამოხატა თავისი განუსაზღვრელი ნდობა და სიყვარული თავისუფლებისადმი. ამ ისტორიული მოვლენის ორივე გმირი დღეს მთაწინდაზე განისვენებს და ეს უდიდესი პატივია მეოცე საუკუნის ეროვნული მოძრაობისთვის. ამიტომ მათი ამაღლებული თავგანწირვის კარიკატურული გაგრძელება მიუტევებელი მკრეხელობაა, არავითარი უზენაესი საბჭო დღეს საქართველოში არ არსებობს! შემორჩა მხოლოდ ყოფილ დეპუტატთა 2-3 კაციანი ჯგუფები, რომლებიც თავს „კანონიერ ხელისუფლებას“ უწოდებენ და ეს ჯგუფებიც ისე გააფთრებით ებრძვიან ერთმანეთს, გეგონებათ, სკიპტრაც და ტიბეტიც „უკუნითი უკუნისამდე“ მათი საკუთრება ყოფილიყოს. მაინტერესებს, ერთხელ მაინც რატომ არ ჰკითხეს ამ პატივცემულმა ბატონებმა ქართველ ხალხს, — გსურთ თუ არაკანონირი ხელისუფლების აღდგენაო? „კანონიერი ხელისუფლება“ ზვიად გამსახურდიას გარეშე?! თურმე როგორი თამამი აზრები უტრიალებთ ჭკვიან თავებში!... ამბობენ, ხელისუფლების ლეგიტიმაცია მხოლოდ უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნული არჩევნებით არის შესაძლებლიო; კი, მაგრამ, რატომ? რატომ მხოლოდ უზენაესი საბჭო? იქნებ პატრიარქის მიერ არაერთხელ გამოთქმულ თვალსაზრისზეც გვეფიქრა? განა ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა — „ღვთისგან არს“, — გაცილებით ლეგიტიმური აღმოჩნდეს, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეთაგან თუნდაც დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული უზენაესი საბჭო? ასე რომ, ვფიქრობ, ყოფილ უზენაეს საბჭოსთან დაკავშირებულ კამპანიას მომავალში არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია! ამ იდეის ზოგიერთი მომხრე დღეს დაჟინებით იმეორებს: — ზვიადმა დაგვიბარა, საბჭო უთუოდ შეინარჩუნეთო. მათ კი რა მოიქმედეს? დაშალეს, დაარბიეს, შეურაცხყვეს და ლაფში ამოსვარეს ის ხელისუფლება, რომელმაც მართლაც განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, ზოგი კგბ-ს აგენტად შერაცხეს, ზოგიც მოღალატედ გამოაცხადეს და ა.შ. ეს კი მხოლოდ იმისთვის დასჭირდათ, რომ თავად „პირნათელი“ წარმდგარიყვნენ არსებული ხელისუფლების წინაშე და „კანონიერების“ სახელით მასთან ვაჭრობა-გარიგება დაეწყოთ... ასეთ გაგრძელებას მე ისევ „ყოფილის“ მდგომარეობა მირჩევნია! თუმცა სხვებთან ერთად მეც მოთმინებით დაველოდები, როდის დადგება ის ნეტარი საათი, როცა ოთხივე „არსებული“ და „მოქმედი“ უზენაესი საბჭო ერთობლივად აღადგენს „კანონიერებას“.

**ირანდა კალანდაძე**

***P.S.** ბატონ თემურ ქორიძესთან ინტერვიუ უკვე ჩაწერილი გვქონდა, როცა ბატონმა გუბაზ სანიკიძემ ქართველ ხალხს ტელევიზიით საყოველთაო მარშისკენ მოუწოდა 27 სექტემბრს — სოხუმის დაცმის ტრაგიკულ დღეს.*

*მარში ფრანგული სიტყვაა და რიტმულ სვლას ნიშნავს.*

*მიხეილ სააკაშვილიც ქართველი ხალხისგან რაღაც ჯაჭვის გაკეთებას და მისთანებს მოითხოვდა, მარში კი რაღაც ახალი ჩანს, ეტყობა, ახალი ეროვნული მოძრაობის ნაირსახეობაა. მე კი რატომღაც მგონია, რომ ბატონმა გუბაზმა ამ სვლით, ანუ „მარშით“, „ფორუმის“ საარჩევნო კამპანია დაიწყო, ხოლო რა გაგრძელება ექნება ამ კამპანიას, ალბათ, სულ მალე დავინახავთ.*

# muslimTa saZmoebi aWaraSi da beClamazas mama beClamaz-2, igive guram varSalomiZe



დღეს აჭარაში ნაციონალური მოძრაობის ვაზელინწასმული მონების გარდა კაცს ვერ ნახავთ ვარშალომიძეების ოჯახზე კარგი რომ თქვას! არადა სულ რაღაც 20 წლის წინ გურამ ვარშალომიძის, მისი შვილების და სანათესაო კლანის ამგვარ აღზევებას არათუ აჭარლები, თავად ვარშალომიძეებიც ვერ წარმოიდგენდნენ და რომ არა ლევან ვარშალომიძის მიერ კიევში სტუდენტობის დროს სააკაშვილისთვის მოხარშული ისტორიული „ჯადოსნური ბორშჩი", შესაძლოა, მათი ოჯახის კარიერა სხვაგვარადაც შებრუნებულიყო.

ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის ბათუმელებს კარგად ახსოვთ აჭარის დღევანდელი მმართველის, ლევან ვარშალომიძის მამის, გურამ ვარშალომიძის კარიერული აღმასვლაც და დაღმასვლაც, მაგრამ შესაძლოა, ასევე ბევრმა არ იცოდეს, რომ თავად გურამ ვარშალომიძე ხელისუფლების მიუწვდომელ ვარსკვლავებს მხოლოდ ასლან აბაშიძის მმართველობის დროს წაეპოტინა და მხოლოდ ასლან აბაშიძის პირადი ინიციატივით, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს აჭარის მთავრობის ხელმძღვანელობასაც გამოჰკრა ხელი.

დიახ, სწორედ ასლან აბაშიძემ სთხოვა გამსახურდიასთან დაახლოებულ მაშინდელ ჩინოვნიკებს, რეკომენდაცია გაეწიათ გურამ ვარშალომიძის კანდიდატურისათვის და მომავალი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მისი დანიშვნა იმ მოტივით გაამყარა, რომ გურამ ვარშალომიძეს კარგი ურთიერთობები ჰქონდა უკრაინის პოლიტიკურ წრეებთან და მისი კანდიდატურა, აჭარიდან თუნდაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის თვალსაზრისით, უალტერნატივო იქნებაო! რა თქმა უნდა, მოხდა ისე, როგორც აჭარის მაშინდელ პირველ პირს უნდოდა და გურამ ვარშალომიძე აღნიშნულ პოსტზე დაინიშნა კიდეც! თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ ასლანმა ვარშალომიძე მოხსნა. მოგვიანებით კი ისევ აღაგინა და მე როცა აჭარაში ჩავედი, როგორც ტელევიზიის I არხის ჟურნალისტი, გურამ ვარშალომიძე ისევ მინისტრთა საბჭოს ავმჯდომარე იყო.

სხვათაშორის, გურამ ვარშალომიძე ერთადერთი ბედნიერი ჩინოვნიკი იყო, რომელთანაც დაპირისპირება არ მქონია და არ ვიცი, ჩემი პირდაპირობის შიში ჰქონდა თუ, როგორც თბილისიდან მოვლენილ ჟურნალისტთან იჩენდა წინდახედულობას, მაგრამ მე მასთან პატარა წაკინკლავებაც არ მქონია. რაც მართალია, მართალია ეს ჩუმი, ჭაღარა თმით შევერცხლილი ახალგაზრდა მამაკაცი ჩემში სიბრალულს უფრო იწვევდა, ვიდრე სიძულვილს, მაგრამ როგორც რუსები იტყვიან ხოლმე, „ვტიხომ ბოლოტე ჩერტი ვოდიატსია", და ეს გამონათქვამი სწორედ ვარშალომიძეზეა ზედგამოჭრილი, რადგან რაც მამა-შვილმა ვარშალომიძეებმა აჭარაში დაატრიალეს, ასლანი ცუდ სიზმარშიც ვერ ნახავდა და რაც ვარშალომიძეებმა აჭარაში ფული იშოვეს, ასლანის კლანს ყველაზე კარგ სიზმარშიც არ დაესიზმრებოდა! მეტიც, რასაც ასლან აბაშიძე კბილებით და ხელებით ებღაუჭებოდა, მამა-შვილმა გურამ და ლევან ვარშალომიძეებმა, სწორედ ის გამოჰგლიჯეს საქართველოს და დღეს აჭარაში მემედ აბაშიძის ძეგლი, მისივე სახელობის ქუჩაზე ერთ-ერთი პადვლის ჩასასვლელთან დაბინძურებული რომ დგას, სწორედ ეს არის უმთავრესი მანიშნებელი იმისა — რა პოლიტიკას აწარმოებენ მამა-შვილი ვარშალომიძეები ძირძველი ქართული კუთხის — აჭარის



დედა-სამშობლოს სხეულიდან კვლავ მოწყვეტის მიზნით!

თუკი ადრე მხოლოდ მე, ჟურნალისტი ირინე გოგოსაშვილი გავყვიროდი, რომ აჭარა გათურქების გზაზე შემდგარია-თქო, დღეს ამ რეალობაზე თვით ის ადამიანებიც მოსთქვამენ, ვინც 2003 წლის შემდეგ 2004 წლის „აჭარული რევოლუციის" გარიჟრაჟზე გაჰკიოდა —„აჭარა აბაშიძის გარეშე-"ო! კი, ბატონო, ყოფილიყო აჭარა აბაშიძის გარეშე, მაგრამ რატომ არ იყვირეთ მაშინაც, როცა აჭარის სრული გამუსლიმების მომხრე გურამ ვარშალომიძე დაგაჯდათ კუროდ?

როგორც თავშივე მოგახსენეთ, ასლან აბაშიძის წყალობით ამოტივტივდა ვარშალომიძეების ოჯახი საქართველოს პოლიტიკური ჭაობის ზედაპირზე, რადგან თურმე „კარგი კავშირები" ჰქონდა უკრაინასთან! ეს კავშირები კი საბჭოთა კავშირიდან გამოყოლილი ჰქონდა გურამ ვარშალომიძეს და უკრაინელი ჩინოვნიკები, ისევე როგორც ქართველი ჩინოვნიკები ერთი ცენტრიდან, ანუ კრემლიდან იყვნენ მართული! კიევთან „კარგი კავშირების" გათვალისწინებით მოხდა ისიც, რომ პატარა ლევან ვარშალომიძე მამამ კიევის უნივერსიტეტში მოაწყო სასწავლებლად და სწორედაც ამ კავშირების გამოძახილი იყო ისიც, რომ მაინცდამაინც მიხეილ სააკაშვილთან ერთად აცხოვრა ერთო ოთახში, მზარეულ-მიმტანის ამპლუაში საკუთარი შვილი, უწყინარმა, ჩუმმა, მაგრამ საკმაოდ ვირეშმაკა გურამ ვარშალომიძემ. სააკაშვილი ცნობილი ჩეკისტების ოჯახიდანაა, მისი ბიძა თემურ ალასანია, გარდა იმისა, რომ საქართველოში უამრავ ბიზნეს ფლობს, ასევე რუსეთის წარმომადგენელია „გაეროში", მაგრამ ლევან ვარშალომიძესა და მიხეილ სააკაშვილის მრავალწლიანი თანაცხოვრება კიევში ამ ყველაფრამდე ადრე იყო და კითხვა: „რა შუაშია ეს ყველაფერი აჭარის გათურქებასთანო?" დროული იქნება, რადგან მათი დაკავშირება, თანაცხოვრება და შემდეგ საკუთარი „მზარეულის" აჭარის მმართველად დანიშვნა სწორედაც რომ აჭარაში თურქული ექსპანსიის გაძლიერებასთან იყო კავშირში და ამას, როგორც ადრე, აჭარაში კრემლი უწყობდა ხელს! სეპარატისტული ჯგუფები აფხაზეთშიც, სამცხე-ჯავახეთშიც, ე.წ. სამხრეთ ოსეთიც და აჭარაშიც კრემლიდან იმართებოდნენ და არ უნდა ახლა ამას დიდი მტკიცება, ეს დიდი ხნის დამტკიცებულია. აჭარაშიც იყო სეპარატისტული ჯგუფი „მუსლიმი აჭარლები" თუ „მუსლიმთა საძმო" ამდაგვარი სახელწოდებით და ამ ჯგუფის წევრები, მათ შორის აჭარის ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და დღეს უკვე ყველაფერი აჭარულის თავმჯდომარე გურამ ვარშალომიძეც გახლდათ. სხვათაშორის, ეს ამბავი ახალი სრულებითაც არ გახლავთ და ამ სეპარატისტული ჯგუფის წევრებს საზოგადოება კარგადაც იცნობს განსაკუთრებით აჭარაში! რა გახდა გურამ ვარშალომიძის კანდიდატურის ხელმესამე აღზევების მიზეზი, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, მაგრამ სეპარატისტული ჯგუფის ერთი უტყუარი ფაქტი რომ არ გავიხსენო, არაფრის დიდებით არ შემიძლია, კერძოდ — ალბათ გახსოვთ, ასლან აბაშიძე თავისი წინაპრების საარქივო დოკუმენტების შეგროვებით როგორ იწონებდა თავს. მეტიც, მან თბილისიდან სპეციალურად მიიწვია ცხონებული გურამ შარაძე და სტამბულის ბიბლიოთეკაში ხანგრძლივი მივლინებითაც გაუშვა, რათა გურიკოს ასლანის წინაპრების და კერძოდ აჭარის ისტორიის შესახებ დოკუმენტები მოეძიებინა და შემდეგ წიგნად შეეკრა. იმხანად, ასლანს თავისი წინაპრების არამარტო ფოტოსურათების და დოკუმენტების არქივის, არამედ მხატვრული ტილოების შექმნის იდეაც გაუჩნდა და ეძებდა კარგ მხატვარს, რომელიც მემედ აბაშიძის, გენერალ ასლან აბაშიძის (ასლანის დიდი ბაბუა), მისი იმერელი თავადი აბაშიძეების პორტრეტებს დახატავდა! თბილისში ამ დროს უშუქობა, სიცივე და სილატაკე იყო, მაგრამ ერთი ჩემი ახლობელი მხატვარი, გიორგი გეგეჭკორი (მსახიობ გოგი გეგეჭკორის შვილი) თურე ნუ იტყვით და თავისთვის სახლში, არავითარი განზრახულობისათვის დიდ ტილოზე მემედ აბაშიძის პორტრეტს დროგამოშვებით ხატავდა. ერთ მშვენიერ დღეს, მხატვარი „გოიკა" ბათუმში სახლში დამადგა და თავისი ნახატი ჩამოიტანა. იმავე დღეს ეს ნახატი ასლანს სახლში მივუტანე და რადგან მოეწონა, უმალ გადაწყვიტა, რომ თავისი წინაპრების ტილოებს სწორედ გოიკას დაახატინებდა! ისიც უთხრა, მუზეუმის გაკეთებას ვაპირებ და ტილოები ცოტა დიდი ფორმატის შეარჩიეო. მოკლედ, იმუშავა მხატვარმა გეგეჭკორმა რამდენიმე თვე და ბოლოს, იმიტომ რომ მარტო ასლანის ახირება არ დარქმეოდა ამ წამოწყებას, ხელოვანთა, ჩინოვნიკთა და ე.წ. სპონსორებთან ერთობლივი კომისიის შექნაც გადაწყდა. ანუ, ამ ხალხს უნდა შეეფასებინა ნახატების მხატვრული მხარეც და ამავე ხალხს უნდა გადაეწყვიტა, რა ფასად შეიძენდა აჭარის მინისტრთა საბჭო გეგეჭკორის ნამუშევარს. ეს ყველაფერი კი, არც მეტი და არც ნაკლები კინოფილმ „არაჩვეულებრივი გამოფენის" იმ ეპიზოდს ჰგავდა, როცა ცხვირი ჰგავდა, თვალები ჰგავდა, მაგრამ მაინც არ იყვნენ პორტრეტებზე გამოსახული აბაშიძეები ასლანის წინაპრები.

ამ ამბავს არ გავიხსენებდი, რომ არა ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომელიც იმ „კომისიაზე" მოხდა...

„რას ჰგავს ეს, გენერალ ასლან აბაშიძეს ზურგს ქარული ორნამენტებით მოქარგული ხალიჩა უმშვენებს, ხოლო ფერხთით სპარსული ანუ, მუსლიმური ხალიჩა უგდია.



როდის უნდა მორჩნენ თბილისელი გიაურები ჩვენი სარწმუნოების ფეხით გათელვას და შეურაცხყოფას?" — გაცეცხლებული წამოხტა მაშინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ჯემალ ჯაყელი. „შენ, რას კადრულობ, რეებს ბოდავ?- — ახლა გურამ შარაძე წამოუხტა ჯაყელს და ავყევი გურიკოს მეც... „დიახ, ჩვენს შეურაცხყოფას არასოდეს ერიდებოდნენ, არც ხელოვანები, არც მწერლები და ახლა უკვე არც ჟურნალისტები, თქვენც მათ რიგებს მიეკუთვნებით, ბატონო გურამ" — გვიტევდა ჯაყელი. ასლანთან მომხდარი მაშინვე მოვუყევი, დაბლა „კომისიის სხდომაზეც" ჩამოვიყვანე, მაგრამ როცა სპარსულ და ქართულ ორნამენტებზე ჯაყელისეული მოსაზრება ჩავურაკრაკე კიბეზე, იცით, რა მითხრა? ეგეც და რამდენიმე ადამიანი, საბჭოთა პერიოდში სეპარატიზმის გაღვივებისთვის, აჭარაში მუსლიმური სარწმუნოების მომძლავრებისთვის აქტიურად ირჯებოდნენო! კიდევ, კიდევ ვინ არიან მითხარი, გეხვეწები" —ვკითხე მე. „აი, ამას წინათ რომ მოვხსენი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გურამ ვარშალომიძე, ისიც მაგათი წევრი იყოო" — მითხრა ასლანმა.

ასლანი მიუტრიალდა ჯაყელს და ეუბნება: „რომ ამბობ, გენერალი ასლან აბაშიძის სახე ტილოზე მსახიობ დოდო აბაშიძისას ჰგავს, ერთი მითხარი, ბოლოს როდის ნახე ბაბუაჩემი, მსგავსებაზე ეჭვი რომ გეპარებაო? ახლა რაც შეხება ხალიჩებს... ბაბუაჩემის ზურგს უკან სწორედ რომ ქართული ხალიჩა უნდა დომინირებდეს, აბა, სპარსულს ხომ არ მოუხატავდა მხატვარი და ქართულ ხალიჩაზე კიდევ ფეხს ხომ არ დაადგმევინებდა? სირცხვილია ისეთი აზროვნება დღეს აქ რომ გააჩაღეთ, ვიღაცამ კარზე რომ მოაყურადოს, ეგონება, აჭარაში სეპარატისტული დაჯგუფებებისა და ჩამოსული პატრიოტების ჩხუბს შევესწარიო.. არ დავუშვებ ამ ამბებს აქ, არ დავუშვებ და კარგად გახსოვდეთ ეს! ირინა, შენ გინებას თავი დაანებე, ქალი ხარ ბოლოს და ბოლოს არ გიხდება, მაგრამ როცა საქმე თუნდაც ხალიჩების ორნამენტებს ეხება, მათი სწორად განლაგების საკითხებს ეხება და ვინმე წინააღმდეგობას გიწევს, ლამაზი სიტყვებით თუ ვერ მოერევი, აგინე, მაგრად აგინე, ყოველ შემთხვევაში აჭარაში ამის უფლებას მე გაძლევ. ნურავის და არაფერს არ მოერიდო, აქ საქართველოზეა ლაპარაკი და მის ერთიანობაზე, გამიგე? — მითხრა ასლანმა ყველას გასაგონად და „კრებაც" დამთავრდა.

ეს ამბავი რომ მართალია, აგერ არის ცოცხალი მხატვარი გიორგი გეგეჭკორი და იმას ჰკითხეთ, ტყუილი მოვყევი თუ მართალი! გურამ შარაძე მკვდარია, უფრო სწორად მოკლულია საქართველოში მოქმედი სომხურ-სეპარტისტული დაჯგუფების, ე.ი. ამ ხელისუფლების მიერ და აჭარაშიც ასლან აბაშიძის საქართველოდან გაძევებას, მუსლიმური სეპარატიზმის ერთ-ერთი აქტიური წევრის, გურამ ვარშალომიძის დაჯგუფება რომ ხელმძღვანელობდა, გიკვირთ?

საერთოდ, ჩემი კოლეგებიც და ახლობლებიც ხშირად მეუბნებიან ამ ასლან აბაშიძეზე ნუ „ჩაიციკლეო", მაგრამ მათ გასაგონადაც და ბევრი სხვის გასაგონადაც დოლამდე ვიყვირებ, რომ — ასლანი სამშობლოს ერთიანობის და თავისი კუთხის უდიდესი პატრიოტი იყო! სწორედ ამის გამო ვარ „ჩაციკლული" ამ ადამიანის მიმართ და რადგან ძალიან ბევრი რამ მაქვს მოსმენილი პირადად აბაშიძისგან მავანთა ბნელ წარსულზე, იმიტომაც მეზიზღებიან ვარშალომიძეები იქნებიან, ბურჯანაძეები იქნებიან თუ სხვები, გასაგებია?

ასლანს აჭარის და სამცხე-ჯავახეთის ერთი ავტონომიისთვის სტატუსით გაერთიანება უნდოდა და ამისათვის, ვისაც კარგად ახსოვს, ძალასა და ენერგიას არ იშურებდა! ვიღაც ბრიყვს ეგონა, ასლანი თავი-

# saqarTvelo _ somxuri da azerbaijanuli kadrebis samWedlo

ჯავახეთში სომხურ ენას მალე რეგიონალური ენის სტატუსი მიენიჭება, რის გაკეთებასაც, როგორც ამბობენ, დაჟინებით მოითხოვს ევროკავშირი.

საბჭოთა კავშირიდან, როგორც იქნა, ცოცხლები გამოვძვერით, მაგრამ საბჭოთა კავშირს ჩანაცვლებულ ამ ევროკავშირს, ეტყობა, ცოცხლები ვერ გადავურჩებით, ისეთ რეკომენდაციებს და დირექტივებს გვაძლევს.

— რა ვქნათ, სხვა გზა არ არის, ვერ სწავლობენ ამ ქართულს „ჯავახი" სომხებიო, — თავი მოისაწყლა ამხანაგმა არნოლდ სტეპანიანმა.

**რა დაემართათ ამ ნიჭიერ სომხებს — ფრანგულს სწავლობენ, რუსულს სწავლობენ, ინგლისურს სწავლობენ, ქართულს კი ვერა და ვერ აუღეს ალღო.**

**არა, მთლად ასე არ არის საქმე-ქართულსაც შვენივრად უფლებიან, ოღონდ მხოლოდ ავლაბარში, ჯავახეთში კი რატომღაც ტვინი გადაეკეტებათ და ვერაფრით ვერ ითვისებენ ამ დაწყევლილ ქართულს.**

ჰოდა, სხვა რა დაგვრჩენია! სომხური ენა უნდა დავაკანონოთ რეგიონალურ ენად.

— რეგიონალური ენის სტატუსი, კი, ბატონო, მაგრამ სახელმწიფო ენად, რა თქმა უნდა, ქართული დარჩებაო — გვანუგეშებენ „ნაცმოძრაობის" მიერ გამოჩეკილი ექსპერტები და ანალიტიკოსები, თუმცა იმას არ შიფრავენ, როგორ შეასრულებს სახელმწიფო ენის ფუნქციას ენა, რომელსაც ჯავახეთში მცხოვრები სომხები ვერ ფლობენ, ვერ სწავლობენ და, როგორც ჩანს, ვერც ვერასოდეს შეისწავლიან?



* * *

**შეიძლება შორს არ არის ის დრო, როცა სომხების კვალდაკვალ აზერბაიჯანლებიც მოითხოვენ აზერბაიჯანულ ენას რეგიონალურ ენად.**

სომხებისა არ იყოს, ამათაც ცოტა უჭირთ ქართულის შეთვისება...

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითქმის ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი, რეგიონალური ენით აღჭურვილი, ვერასოდეს მოახდენს ინტეგრაციას ქართულ რეალობასთან.

ევროკავშირიო კი ვახსენეთ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასპარეზზე ევროკავშირის გამოჩენამდეც ქართული სახელმწიფო გულუხვად აფინანსებდა სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებს, ანუ ქართულ მიწაზე, ქართულ სახელმწიფოში, ქართული ფულით აფინანსებდა კადრების აღზრდას სომხური და აზერბაიჯანული სახელმწიფოებისთვის.

საქართველო სომხური და აზერბაიჯანული მინისახელმწიფოები ჩვენივე ხელშეწყობით სულ უფრო და უფრო იკრებენ ძალას და დროთა განმავლობაში აუცილებლად გაუჩნდებათ სხვადასხვა პრეტენზიები და ამბიციები.

* * *

ეს დალოცვილი ევროკავშირი ჩვენთვის რომ იგონებს პერსონალურ რეკომენდაციებს, იმას რატომ არ იწუნებს, თუ როგორ ექცევიან ამ კავშირში შემავალი სახელმწიფოები იმ მოქალაქეებს, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო ენას ვერ ფლობენ?



დაგვიჯერებენ კი ევროკავშირელები, რომ ვუთხრათ: — ეს ჩვენი საყვარელი ძმები საუკუნეებია საქართველოში ცხოვრობენ და ქართული ვერ ისწავლესო?

* * *

**საქართველო-სამარქაფო, სათადარიგო ქვეყანაა ზოგიერთი ჩვენი მეზობელი ერისთვის.**

**საქართველო — კადრების მოსამზადებელი ბაზაა, ერთგვარი „პერევალოჩნი პუნქტია" სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოების გასაძლიერებლად.**

საქართველო ვრცელდება იქამდე, სანამდეც წვდება ქართული ენა — ვწერდი ერთ ადრინდელ წერილში.

ენაა სახელმწიფოებრიობის შემომფარგვლელი და საზღვრის დამდგენი.

„ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულებისო", თუ ეს ასეა, მაშინ ძალიან დაპატარავებულა ჩვენი საქართველო, რომელიც აქეთ მარნეულთან და გარდაბანთან მთავრდება, იქით კიდევ ჯავახეთთან.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# muslimTa saZmoebi aWaraSi da beClamazas mama beClamaz-2, igive guram varSalomiZe

სი „საფაშოს" საზღვრების გაფართოვებას იმიტომ ეშურება, ახლა სამცხეში რომ „მოქაფოს" დიდი ფულიო, მაგრამ ჭკვიანი ხვდებოდა, რომ სეპარატისტულად განწყობილი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას, მხოლოდ ასლანი ამოსდებდა პირში ლაგამს და სულ სიმღერ-სიმღერით აღმოფხვრიდა ე.წ. „ველიკაია არმიენიას" სეპარატისტული მუსიკის ჰანგებს! არ ინება ეს გაერთიანება შევარდნაძის ხელისუფლებამ, არ ინება და აი, შედეგიც, გოდერძის უღელტეხილიც იხვრიტება და ჩვენც, ქართველებიც გასუსულები შევყურებთ ამ უბედურებას ახლა უკვე სააკაშვილ-ვარშალომიძეების ზეობის ეპოქაში!

რობიკო სტურუამ თქვა: ბათუმი თურქულ ქალაქს დაემსგავსა და „ქათქათას" სტატუსიც ამ ჭრელაჭრულა ფერებმა ჩაანაცვლაო! ჯანდაბას ფერთა გამა, მაგრამ იმ თურქულ, დიდ კვარტალებს რა ვუყო, ძვირფასო მკითხველებო, შუაგულ ბათუმში, უფრო სწორად კი ბათუმის ძველ, ისტორიულ უბნებში რომ არის განფენილი?

ათასჯერ დამიწერია და დღესაც ვწერ, რომ ოფიციალურად 140 000 ეთნიკურად თურქია ჩაწერილი აჭარაში და არაოფიციალურად რამდენია კიდევ, იცის ვინმემ? ამას დაუშვებდა ასლანი დღეს რომ თანამდებობაზე იყოს?

ათასჯერ დამიწერია და დღესაც ვწერ, რომ მთელი ჭოროხის გაყოლებაზე, სეპარატისტი გურამ ვარშალომიძის და მისი უნდილი ვაჟის „ბეჩლამაზა" ლევან ვარშალომიძის ხელშეწყობით მთიანი აჭარის ყველაზე თვალსაჩინო ფერდობების კალთებზე 60 ახალი მეჩეთი და მინარეთი აშენდა ათასობით ქართველი ბავშვი მიჰყავთ თურქებს თურქეთის მედრესეებში ისლამის საფუძვლიანი შესწავლისთვის და ამაზე, როგორც დღევანდელი ქართველთა დამაქცევარი სააკაშვილის ხელისუფლება, ასევე ოპოზიციად წოდებული საქონლების ნახირი, ერთნაირად დუმს! ამას დაუშვებდა ასლანი აჭარაში დღეს რომ თანამდებობაზე იყოს? ბიჭო! ასლანს თუ ერთი მინარეთის გარემონტება ადინეს ძმრად და იძახდნენ: „მაგის მეტრონახევრიანი მუსულმანი დედაო, ლევანა და გურამა ვარშალომიძეებს რატომ არ ამკობენ ეს ჩვენი ვაი ინტილიგენტები, ამდენი მეჩეთებისა და თურქეთში გარეკილი მომავალი ქართველი მოლების გამო?



ანდა, ერთი-ორი, მართლაც პატრიოტი, აჭარაში მოღვაწე ოპოზიციონერების კვალდაკვალ, რატომ მთელი აჭარა არ აპროტესტებს შუა ღამისას, თურქებსა და ქართველებს შორის ატეხილ ჩხუბებს, როცა მხოლოდ ქართველებს ერეკებიან პოლიციელები და თურქები კი დაუსჯელები რჩებიან? რატომ მთელი ბათუმი, სარფი, კვარიათი არ დგება ფეხზე და არ ამტვრევს იმ ბორდელების კარ-ფანჯარას, სადაც დღისით ვითომ კაფე-რესტორნები მუშაობს და ღამით კიდევ, ქართველი ქალების, უფრო სწორად კი, ქართველი გოგონების წივილ-კივილის, ცემისა და ათასი საზიზღრობა ხდება?

რატომ არავინ აპროტესტებს იმასაც, რომ ქართველების პატარ-პატარა „ბუტკებს", სასტუმროებს და წვრილ ბიზნესს ქართველი საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები ყელში ხელს უჭერენ დასახრჩობად და თურქ ბიზნესმენებს კი, მსხვილი იქნება თუ წვრილი, მათი ბიზნესი ერთ ადგილას უძვრებიან და აპარპაშებენ?

დასკვნა მარტივია — აჭარა უნდა გათურქდეს, უფრო სწორად კი გამუსლიმდეს და ვინც ამ ყველაფერს წინააღმდეგობას გაუწევს, ისევე როგორც წარსულში — ან მოკვდება, ან არადა სასიკვდილოდ გაიშოლტება!

ნაწილობრივ აღსრულდა შენი ოცნება, სეპარატისტო გურამ ვარშალომიძევ! შენიც აღსრულდა და კიდევ ბევრისაც, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ერთ მომენტში შეიძლება კვერცხები იყოს გრძელი, ხოლო მეორე მომენტში პენისი.

ჰოდა, სწორედ იმ მეორე მომენტის გეშინოდეთ, საქართველოს მოღალატე ბეჩლამაზებო!

ნაყოფი ხიდან შორს არ ვარდება! ლევანა შენი შვილია და ასე როგორ დაიმსგავსე ყველაფერში, შე უბედურო?

თუმცა, როგორც ამბობენ, აჭარის რეალური მმართველები შენ და შენი ცოლი ყოფილხართ, „დიდ ნენე" დოდო და ამ ბიჭს ლევანს რაღას ალანძღინებთ ხალხს, დასვით სახლში, მოუყვანეთ ცოლი და მოაშორეთ „ამხელა ტვირთი", არ გეცოდებათ?

ისე, გურამ, შენ ცოლს რომ „ასიე დვას" ეძახიან, იცოდი? ახლა ასიე ხანუმი ვინ იყოო, არ მკითხო, თორემ გადავირევი, რაა... დოდო ხანუმს, აჭარაში „კადრების უფროსად" წოდებული ასლან აბაშიძის სიდედრისათვის „ბაქლავა" არ მიგირთმევია თავის დროზე, შენთვის მოწყალე თვალით რომ გადმოეხედათ გოგიტიძეებს? შენი დოდო ხანუმის გადასაწყვეტი რომ გახდა ვინ სად იმუშაოს, ვის რამდენი შემოსავალი უნდა ჰქონდეს, ვინ რომელ საგიჟეთში უნდა ჩაიკეტოს და ვის რამდენი კვადრატული უნდა „აეხიოს" საცხოვრებელი თუ კომერციული ფართიდან, სწორედ ეს „მაწუხებს"... არ მითხრა ახლა, საგიჟეთში ვინ ჩაამწყვდია ჩემმა ქალმაო? ვინ და შენი მეზობელი ლელა, რომელიც თქვენმა მადამ, მართლა სიგიჟემდე მიიყვანა და ერთადერთი ჭერიც თქვენს გამო დაკარგა.

მთელი ეს ისტორიები კი სულ რაღაც 8-9 წლის წინანდელ ისტორიებს მაგონებს, ოღონდ ახალი სახელებით და გვარებით. ასლანს თავისმა უახლოესმა სანათესაომ „აჭარულ რევოლუციამდე" გამოუტანა განაჩენი, ისევე როგორც თქვენც დაგკორტნით თქვენივე უახლოესი გარემოცვა, მაგრამ არავის არ მოენატრებით.

არ მოენატრებით იმიტომ, რომ მრწამსით ქრისტიანები არ ხართ. არ მოენატრებით იმიტომ, რომ აღმსარებლობით მართლმადიდებლები არ ხართ. არ მოენატრებით იმიტომაც, რომ აჭარაში თურქების ბატონობას შეუწყვეთ ხელი. არ მოენატრებით იმიტომ, რომ უცხო თესლზე გაყიდეთ მთელი აჭარა.

**ირინე გოგოსაშვილი**



# mweralTa kavSirSi axali skandali mwifdeba




მწერალთა კავშირში ახალი სკანდალი მწიფდება. 2010 წლის მიწურულს ვაჟა ოთარაშვილის გამომცემლობა „ეროვნული მწერლობიდან“ ხმაურიანი დათხოვნის შემდეგ აუდიტმა მოკვლევა დაასრულა. მწერალთა კავშირის გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა აუდიტურ ფირმას –„ბაკაშვილი და კომპანია“ შინაურ წრეში მიაგნო და საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეც დაავალა. შპს აუდიტური ფირმის –„ბაკაშვილი და კომპანია“ აუდიტორებმა ნ. ბაკაშვილმა და დავით ბიბიჩაძემ „საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის დაკვეთით შპს „მერანის“ (ყოფილი „ეროვნული მწერლობის“) 2007-2009 სამეურნეო წლებში განხორციელებულ საფინანსო-ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება განახორციელეს. როგორც ირკვევა, ხელშეკრულება 2011 წლის 6 თებერვალს დაიდო, შპს „მერანის“ აუდიტორული შემოწმების დასკვნა კი 2011 წლის 2 მარტით თარიღდება. „საერთო გაზეთმა“ აპრილის დასაწყისში მწერალთა კავშირის გამგეობის რამდენიმე წევრს მიმართა, თუმცა მათი განცხადებით მოკვლევა ჯერ დასრულებული არ იყო და ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადეს. ვაჟა ოთარაშვილის გათავისუფლებას წინ უძღოდა შეკითხვა — ვინ შეჭამა მწერალთა კავშირის კუთვნილი 1.050 ათასი ლარიდან 500 ათასი ლარი? — ამ შეკითხვას პასუხი ნაწილობრივ გაეცა. კერძოდ, აუდიტმა დაადგინა, რომ ვაჟა ოთარაშვილმა 280 ათასი ლარი გამგეობის თანხმობის გარეშე სარეზერვო ფონდიდან გახარჯა, ხოლო 23 ათასი ლარი დივიდენდის სახით მიიღო. ანუ ჯამში 300 ათასი ლარი გაფლანგა, 200 ათასი ლარის საკითხი კი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა და ამ თანხის წარმომავლობის დადგენა, როგორც ჩანს, ვერც აუდიტურმა ფირმამ შეძლო. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2007-2009 წლების მოკვლევამ ზედაპირულად ჩაიარა, 2010 წლის დარღვევების აღმოჩენა კი მწერალთა კავშირის შინაურმა ბუღალტრებმა ითავეს.

**ბაღათერ არაბული, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე:** „აუდიტურმა ფირმამ –„ბაკაშვილი და კომპანია“ ზედაპირულად შეისწავლა



2007-2009 წლის მასალები. საქმის დაწვრილებით შესასწავლად საჭირო იყო კვლევის კიდევ 2 თვით გაგრძელება, რისი საშუალებაც მწერალთა კავშირს არ ჰქონდა. აუდიტმა თითო თვეზე სამი ათასი ლარი მოითხოვა, რაც ჯამში 9 ათას ლარს უდრის. ჩვენ აუდიტს ერთი თვის კვლევის 3 ათასი ლარი გადავუხადეთ, შედეგად ორი თვე მწერალთა კავშირის თანამშრომლები უხელფასოდ გვყავდა გაშვებული სახლებში, გადასახდელი დაგვრჩა დენის, ტელეფონების ფულიც... მწერალთა კავშირს, ფაქტობრივად, შემოსავალი არ აქვს. რაც შეეხება, 2010 წლის დოკუმენტების კვლევას, აუდიტს არ უწარმოებია. ჩვენი შინაური ბუღალტრები დასხდნენ, შეისწავლეს და გამოიკვლიეს დოკუმენტები — 51 ათასი ლარის ზარალი დადგინდა:

**— ჩემი ინფორმაციით ვაჟა ოთარაშვილის ბუღალტერმა 2010 წლის დოკუმენტაცია კომპიუტერიდან მთლიანად წაშალა და სწორედ ეს იყო პრობლემა, რომ ვერ დგინდებოდა ამ წლის დარღვევები. შინაურმა ბუღალტრებმა ეს დოკუმენტაცია როგორ აღადგინეს?**

— ვერა, ვერ აღადგინეს. წაშლილ მასალაში დაწვრილებით იყო აღწერილი ვის რა გამოუწერა, ზოგს დახმარება გამოუწერა, ხელიც მოაწერინა, მაგრამ რეალურად თანხა არ მისცა, ეს ინფორმაცია სიტყვიერად ვიცით, ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მთლიანად წაშლილია. შინაურმა ბუღალტრებმა სურათი შავი დოკუმენტებით აღადგინეს, ნაწილობრივ“.

ასეა თუ ისე, ზედაპირული მუშაობის შედეგი 2 მარტს დაიდო, 6 თვის თავზე კი მწერალთა კავშირს ჯერ არ მოუფიქრებია, რა გზებით დააბრუნებს უკან ვაჟა ოთარაშვილი უკანონოდ გახარჯულ 300 ათას ლარს. დღეს სასჯელის პირობები მკაცრად გასაიდუმლოებულია. მწერალთა კავშირში კითხვაზე პასუხს — როგორ აპირებთ 300 ათასი ლარის დაბრუნებას? — ყველა გაურბის. სანდო წყაროს ცნობით, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ჩივილს არ აპირებს შემდეგი მიზეზის გამო: საჩივრის შეტანის შემთხვევაში მწერალთა კავშირს ბაჟის სახით 6 თასი ლარის შეტანა მოუწევს, რაც ამჟამად არ გააჩნიათ, თურმე ამ თანხის შოვნაზე იმიტომ იკავებენ თავს, რომ შედეგად მწერლები მშივრები დარჩებიან. თქვე დალოცვილებო, თუკი აუდიტორული შემოწმების შემთხვევაში 3 ათასი ლარი გადაიხადეთ და მაშინ არ შეგრცხვენიათ 2 თვე მწერლები მშივრები რომ დატოვეთ, ახლა რა ღმერთი გაგიწყრათ? 6 ათასი ლარის სანაცვლოდ 300 ათას ლარს თუ დაიბრუნებთ, განა რა დაშავდება, ერთ-ორი თვე კიდევ რომ გააჭირვებინოთ მწერლებს?

**ბაღათერ არაბული:** „ალბათ, სექტემბრის ბოლოს მწერალთა კავშირის გამგეობა შეიკრიბება საკოორდინაციო საბჭოსთან ერთად, რომელიც გამომცემლობის საქმიანობას სწავლობს და იურისტებთან მოლაპარაკებით გადაწყდება, რა ფორმით მოხდება ამ თანხის დაბრუნება. ეს არის აბსოლუტური კრიმინალი. აუდიტის დასკვნა სპეციალისტებს ვაჩვენე, მათ მითხრეს — ვაჟა ოთარაშვილი ამ დოკუმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დასაჭერიაო. ჩვენ არავის დაჭერა არ გვინდა, მაგრამ ზარალი, რაც მწერლებს მიადგათ... ეს თანხა თითოეული მწერლის იყო და არა ვაჟა ოთარაშვილის, მაყვალა გონაშვილის ან ბაღათერ არაბულის. ეს დანაშაულია, მაგრამ მის დაჭერას არ ვაპირებთ, გვინდა, რა ზარალიც მოგვაყენა თანხობრივად, დააბრუნოს. სპეციალისტებმა მითხრეს, კონტროლის პალატას უნდა მიმართოთ, ის მიხედავს მაგ საქმეს და კიდეც ამოიღებს თანხასო. ჩვენ ეს არ გვინდა, ჩვენ გვინდა, ეს საქმე ისე მოგვარდეს, რომ მწერლობას, მწერალთა კავშირს, ამ აჟიოტაჟის გამო ჩრდილი არ მიადგეს. ოთარაშვილის ქმედებამ ჩრდილი მიაყენა მწერალთა კავშირს, მწერლობას და არ გვსურს, ეს საქმე გახმაურდეს, არ გვსურს სასამართლო მოეწყოს და ა.შ.“



ოთარაშვილი კრიმინალია, დამნაშავეა, მან საცოდავი მწერლების კუთვნილი ფული 300 ათასი ლარი გაფლანგა. ეს სიტყვები ლოზუნგებად გვესმის მწერალთა კავშირის შემოქმედებითი ჯგუფის წევრების პირიდან, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! არც მისი დაჭერა გვინდა, არც სასამართლოში ვუჩივლებთ, ოღონდ ჯანმრთელად იყოსო. თუ ისე გეცოდებათ კრიმინალი ოთარაშვილი, რომ მწერლებისთვის, ანუ თქვენთვის შეჭმული ფულისთვის არც ჩივილს აპირებთ, არც დაჭერას უპირებთ, აქაოდა, ხმაური არ ატყდეს და ჩირქი არ მოგვეცხოსო (მეტი რაღა ჩირქი უნდა მოგეცხოთ, 2010 წლის ბოლოდან მოყოლებული გამგეობის სხდომებზე, პრესასა თუ ტელევიზიით დედის გინებას არ აკლებთ ერთმანეთს — ავტ.) ყოფილიყო მაშინ ეს კაცი გამომცემლობაში და გაძღოლოდა ჩვეულ რიტმში თავის საქმეს, რას ერჩოდით, რიღასთვის დაითხოვეთ დაკავებული თანამდებობიდან?!

ვაჟა ოთარაშვილი სიმართლეს მაინც დაამტკიცებს — არ ცხრება ყოფილი დირექტორის ფლანგი. ოთარაშვილმა სიმართლე ჯერჯერობით იმით დაამტკიცა, რომ სასამართლოს წესით, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ხელფასზე — 40 ათას ლარზე, მას უარი ეთქვა. არ ჩქარობს ოთარაშვილი სიმართლის დამტკიცებას. იცის, ოთარაშვილმა, რომ არც 300 ათასი ლარის დაბრუნებას მოსთხოვს ვინმე და არც დაჭერას უპირებს არავინ და აბა, რატომ უნდა შეიწუხოს თავი სიმართლის დასამტკიცებლად?!

ვაჟა ოთარაშვილმა მწერალთა კავშირის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, ის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ხელფასს — 40 ათას ლარს ითხოვდა, არადა მას 2007-2010 წლებში გამომცემლობა „ეროვნული მწერლობიდან“ 40263 ლარი აუღია. რადგან მწერალთა კავშირი გამომცემლობის 100 პროცენტიანი წილის მფლობელია, თურმე ორი ხელფასის აღების უფლება არ ჰქონია. ჩნდება კითხვა — ერთი და იმავე ორგანიზაციაში ორ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნის უფლება ჰქონდა? ვისი პასუხისმგებლობაა ეს?

როგორც ცნობილია, 2007 წელს მწერალთა კავშირის გამომცემლობა –„მერანის“ წილი გაიყიდა და შემოსული თანხა მილიონორმოცდაათი ათასი დოლარი ოთარაშვილმა შპს-ზე დაისვა. ბუნებრივია, იბადება კითხვა? — თუ ეს უკანონო ქმედება იყო, სად იყო ამ დროს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი მაყვალა გონაშვილი? ბაღათერ არაბული ამ შეკითხვას ასე პასუხობს: „მანდ იცით, როგორ არის — იურიდიული საფუძველი ჰქონდა, რადგან ამ ფართზე იყო შექმნილი შპს „ეროვნული მწერლობა“. რადგან შპს-ს ანგარიშზე არსებული ქონება გაიყიდა, იურიდიულად შპს-ს ანგარიშზე უნდა დამჯდარიყო თანხა, მაგრამ მერე ოთარაშვილს ეს თანხა მწერალთა კავშირის ანგარიშზე უნდა გადაეტანა იმიტომ, რომ ეს მწერალთა კავშირის ქონება იყო.

**— ვაჟა ოთარაშვილი 2007 წლიდან მოყოლებული მწერალთა კავშირის თანხებს თუ ფლანგავდა, სად იყო ამ დროს თავმჯდომარე, რად უნდოდა მას 4 წელი ლოდინი, რეაგირება მაშინვე რატომ არ მოახდინეთ?**

— ვაჟამ ნაწილი — 200 ათასი ლარი გადმოურიცხა მწერალთა კავშირს. გამომცემლობის შეძენა 412 ათას დოლარად მწერალთა კავშირის გამგეობის მონაწილეობით მოხდა. 20 პროცენტი დღგ გადაიხადა. სარეზერვო ფონდი 280 ათასი ლარი, როგორც უკვე გითხარით, განკარგა მწერალთა კავშირის თანხმობის გარეშე. რაც შეეხება რეაგირებას — იგი არ ეუბნებოდა არავის არაფერს, საქმის კურსში არ აყენებდა არავის. ამბობდა, ეს ფული მაქვს, ანგარიშზე მიდევსო. იგი ვალდებული იყო ყოველი წლის ბოლოს მწერალთა კავშირის ბუღალტერისთვის ანგარიში ჩაებარებინა, რასაც არ აკეთებდა, გვპასუხობდა — ეს თქვენი საქმე არ არისო.

ოთარაშვილმა შექმნა ინდ. მეწარმე „ვაჟა ოთარაშვილი“, სადაც საკუთარ ჟურნალს „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსცემდა. წარმოგიდგენიათ, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორმა ვაჟა ოთარაშვილმა ხელშეკრულება დაუდო ინდ. მეწარმე ვაჟა ოთარაშვილს, რომ მის ჟურნალს სტამბაში უფასოდ დაუბეჭდავდა. ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ ანაზღაურება მწერალთა კავშირის გამომცემლობის ფინანსებით ხდებოდა.

**— ასეთი ამბები თუ ტრიალებდა, ამ დროს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა სად იყო, ეძინათ?**

— ოთარაშვილი ამბობდა გია ჯოხთაბერიძე მაფინანსებსო. აუდიტის შემოწმების შედეგად გავარკვიეთ, რომ ვაჟა ოთარაშვილი ვაჟა ოთარაშვილს უფინანსებდა საკუთარ ჟურნალს. მანამდე ამას ვერ გავიგებდით, ჟურნალს აწერდა, გამოიცემა ჯოხთაბერიძის თანხითო. თვითონ არ გვიშვებდა თავის ორგანიზაციაში.

**— ისევ გეკითხებით, რას ელოდებოდით 2010 წლამდე. რომ არ გიშვებდათ გამომცემლობაში, ვერ უნდა მიმხვდარიყავით, რომ რაღაც**

**ვერ იყო რიგზე, დროულად რატომ არ ატეხეთ განგაში?**

— მანამდე ვიბარებდით და არ მოდიოდა (!) 2009 წელს გამგეობის სხდომაზე ჩხუბი მოხდა. მაშინ პრინციპულად დავაყენე საკითხი, ვაჟა ოთარაშვილს მოხსენება გაეკეთებინა იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა გამომცემლობაში. ვაჟამ ჩხუბი ატეხა, პროვოკაცია მოაწყო, დაიწყო გინება და გავარდა.

ყველას გვახსოვს, 2010 წლის ბოლოს ჩატარებული მწერალთა კავშირის სკანდალური გამგეობის სხდომის შემდეგ, რასაც ვაჟა ოთარაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება მოჰყვა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა განაცხადა: — აუდიტორული შემოწმება დაიწყება, როგორც გამომცემლობა „ეროვნულ მწერლობაში“, ასევე მწერალთა კავშირში, მზად ვარ გაირკვეს ყველაფერიო. ნათქვამი მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა, აუდიტორული შემოწმება მართლაც გაიარა გამომცემლობამ, თუმცა მწერალთა კავშირში აუდიტი დღემდე არ შესულა.

ვითარების უკეთ გასარკვევად უთანხმოების ობიექტის-გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ მონახულება გადავწყვიტე. 2011 წლის იანვრიდან გამომცემლობას ახალგაზრდა პოეტი **ბენრი დოლიძე** ხელმძღვანელობს. როგორც თავად აღნიშნა, მისი არჩევა გამგეობის სხდომაზე მოხდა, კანდიდატურა მაყვალა გონაშვილმა დააყენა. როგორც აღმოჩნდა, მას მართვის გამოცდილება მე-9 კლასიდან აქვს საკუთარ ორგანიზაციაში, 18-წლიდან კი სხვადასხვა ორგანიზაციებში — პიარ-მენეჯერად, მარკეტინგის მენეჯერად მუშაობდა. თუმცა, თავადვე აღნიშნავს, რომ გამომცემლობაში სულ სხვა სპეციფიკაა — ბევრი ისწავლა და ბევრიც სასწავლი აქვს. მისი დირექტორობის პერიოდში 2011 წლის 6 თებერვალს გამომცემლობაში აუდიტი შევიდა, და ბუნებრივია, თავდაპირველად დავინტერესდი, რა შედეგებით დასრულდა იგი.



ახალმა დირექტორმა. როგორც მან აღნიშნა: „გამომცემლობაში ფინანსური კრიზისი და საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობა დამხვდა. გამომცემლობა ფიზიკურად ნულზე იყო დაყვანილი. 26 ათასი ლარი დამხვდა ანგარიშზე, რაც, ძირითადად, ძველ ვალებში წავიდა.

**— უკვე რვა თვეა ხელმძღვანელობთ გამომცემლობას, თუ ბეჭდავთ გეგმიურ წიგნებს.**

— არ მაქვს ამის თქმის უფლება. კონკრეტული გეგმა არსებობს, შეთანხმდება მწერალთა კავშირთან. ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მწერალთა კავშირის გამგეობა დაამტკიცებს ახალ გეგმას და ამის მიხედვით შევეცდებით შესრულდეს გეგმა.

**— გამომცემლობაში თქვენს მოსვლამდე ბევრი დარღვევა დაფიქსირდა ყოფილი დირექტორის მხრიდან, რა გამოსწორდა თქვენს აქ ყოფნაში?**

— ვერ გეტყვით, ცოტა უხერხულია. რეფორმები გავატარე — ფინანსური ორიენტირი შევცვალე. მინდა ორგანიზაცია სხვა პლატფორმაზე გადავიყვანო, მინდა კომერციული წიგნები გამოვცე, ქსელში ჩავუშვა და აქედან დამატებითი მოგება მივიღო.

**— ეს თქვენი სურვილებია და არა რეალობა. 300 ათასი ლარი თუ დაბრუნდა, ალბათ, შეძლებთ სურვილების ახდენას, მაგრამ ამ ეტაპზე რას აპირებთ?**

— გეგმები მაქვს, რომელზეც ამ წუთას საუბარი არ მინდა, იმიტომ, რომ არ შეიძლება.

**— კარგით, მაშინ ის მითხარით, ოთარაშვილის მიერ გამომცემლობისთვის უკან დაბრუნებულ „ნივას“ რა ბედი ეწია?**

— გავყიდე.

**— და რა იყიდეთ?**

— შევიძინე უფრო ეკონომიური „მერსედესი“, რომელიც შედარებით იაფად ვიყიდე.

**— რამდენად იყიდეთ?**

— 200 დოლარით ნაკლებად (!)

**— აუდიტის დასკვნის თანახმად. თავის დროზე ეს ნივა არაკანონიერად იყო შეძენილი.**

— მწერალთა კავშირს წერილი გავუგზავნე, რომ ნივა ხშირად ფუჭდებოდა, მოიხმარდა ბევრ საწვავს და მივიღე ნებართვა გამეყიდა და ახალი შემეძინა“.

მაშ ასე, ჯერჯერობით გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ ახალმა დირექტორმა მოღვაწეობის რვა თვის მანძილზე 6 თანამშრომლის გათავისუფლება, ხელფასების შემცირება და დაბრუნებული 16800 ლარიანი „ნივის“ გაყიდვა და 200 დოლარით იაფი „მერსედესის“ ყიდვა შეძლო.

რაც შეეხება აუდიტის დასკვნას — 300 ათასი ლარის გაფლანგვის თაობაზე ეს ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. რატომ ელოდებოდა მშვიდად მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი 2007 წლიდან მოყოლებული 2011 წელს, რათა ოთარაშვილი დანაშაულში ემხილა? დასკვნა 2011 წლის 2 მარტს დაიდო, რატომ არ აქვს დღემდე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას გარკვეული, რა ფორმით მოახდინოს თანხის დაბრუნება? როგორც გაჟღერდა, სასამართლოში ჩივილი, ხმაურის ატეხა არ გვინდაო. რატომ არ უნდა მწერალთა კავშირს სამართლებრივი გზით თანხის დაბრუნება,

# ratom ver Soulobs mweralTa kavSiri 6000 lars, rom 300 000 lari daibrunos?

**ბენრი დოლიძე, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორი:** „ნებისმიერი დირექტორი ანგარიშვალდებულია მწერალთა კავშირის წინაშე და არა წინა დირექტორის წინაშე. აუდიტის დასკვნას ზოგადად ვიცნობ, მაგრამ უფლება არ მაქვს რამე გითხრათ. მწერალთა კავშირმა მოიწვია აუდიტი და მე რა უფლება მაქვს მწერალთა კავშირის მოწვეული აუდიტის კვლევა გამოვააშკარავო. თუ ხელმძღვანელი საჭიროდ ჩათვლის, საქმის კურსში ჩაგაყენებთ“.

ასეთი პასუხის შემდეგ იმედი მქონდა რომ იმას მაინც გავიგებდი, რა ვითარება დახვდა და რისი გაკეთება შეძლო რვა თვის მანძილზე

ხომ არ იკვეთება კიდევ სხვათა დანაშაული ამ საქმეში? თუმცა თქვენ მაინც იფხიზლეთ ბატონო ვაჟა, სასამართლოთი და დავიდარაბა არ გვინდაო, კი იძახიან, მაგრამ თქვენ ხომ ჯერ არ იცით (მათ შორის ჩვენთვისაც უცნობია), სექტემბრის ბოლოს რა განაჩენს გამოიტანს მწერალთა კავშირის გამგეობა, ჯერ მათ არ უთქვამთ. საზოგადოებისთვის, რას გულისხმობენ უხმაუროდ, სასამართლოს გარეშე თანხის დაბრუნებაში!..

**თამარ შველიძე**

*P.S. მწერალთა კავშირსა და გამომცემლობა „ეროვნულ მწერლობაში“ დატრიალებული სკანდალი თითქმის ერთი წლის წინ დაიწყო. მიუხედავად მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის არაერთი დაპირებისა, როგორც ჩანს იგი უძლურია სრულყოფილად გამოიკვლიოს გამომცემლობა „ეროვნულ მწერლობაში“ არსებული ფინანსური დარღვევები. არადა, როგორც ჩვენი საგაზეთო წერილიდან, ასევე სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაციიდან ირკვევა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის მტკიცებით, საქმე გვაქვს სერიოზულ კრიმინალთან.*

*იმედს ვიტოვებთ, ამ საკითხით, რომელიც როგორც მწერლობის ასევე ფართო საზოგადოების განსჯის საგანი გახდა, შესაბამისი ორგანოები დროულად დაინტერესდებიან და აღნიშნულ დარღვევებზე სათანადო რეაგირებას მოახდენენ.*

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

facebook

# xalxis azriT

“რუსეთს სომხეთი ყავს, ჩვენ კი - საქართველო”, - განაცხადა ალიევმა და დაამატა, რომ “მართალია, ზოგჯერ სააკაშვილი ბევრ სისულელეს ამბობს, მაგრამ სისულელეებს არ ჩაიდენს”.- ნეტარ არიან მორწმუნენიო, სხვათა შორის მუსულმანებსაც ეხებათ... :)))))))))

მიშამ თქვა 2 მილიონიო.... ვანომ 320 ათასიო.... ბოლო-ბოლო რამდენი ტურისტი გვესტუმრა.... და რა უნდა ვანოს?

როგორც აღმოჩნდა საბჭოთა ქართველი მოსწავლე იმ დროს, როდესაც რუსეთი თურმე ასე მწარედ დევნიდა ყველაფერ ქართულს, გაცილებით კარგად იცნობდა საკუთარი ქვეყნის ისტორიას და ლიტერატურას, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს ქართველმა მოსწავლემ... ამათ მოწონთ ეს ზღაპირული პიარი, ეს პატრიოტთა ბანაკები, ეს მიშა-მიშას ყიჟინი, ამათგანაა ერთუჯრედიანი ზონდერები გამოსული!!! სირცხვილია ხალხო, თავის მოჭრაა ეს!!! 21-ე საუკუნეში! ხელისუფლებაში მოსულები, ძირითადი ნაწილი მერე დაეუფლა ისტორიას, რუსულს და ქართულსაც კი. კერძო მასწავლებლები ასწავლიდნენ ბიჭებს! და ეხლა უნდათ რომ მთელი ერი მათზე დებილი იყოს, სჭირდებათ ეს და კომპლექსიც აწუხებთ, რომელი უფრო მძაფრობს არ ვიცი, მაგრამ ფაქტი ფაქტია!

ახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება(თუმცა ფასადი ხომაა რესტავრირებული და დანარჩენი კედლების დედაც, ჯეკ..) ნინოშვილის ქუჩა, მარჯანიშვილი,ფიროსმანი და ნაძლადევი ხომ საერთოდ, ჩრდილოეთ ირლანდიას ჰგავდა და რაიონებში რაც ვნახე, ის ცალკე თემაა, იმერეთში ვიყავი და სოფელ კიცხიდან ზესტაფონამდე საათნახევარი მივდიოდით მანქანით არა და სულ 9 კილომეტრია. გზა არ არსებობს, საერთოდ აღარ არსებობს ის, რაც ოდესღაც არსებულა.

ქაჯობა თვალსაჩინოა, როცა სიუჟეტი პირადად მიშას ეხება, მაგრამ პროპაგანდის მთავარი მულამი ეს არ არის. მთავარია, რომ ყველა სამთავრობო-სახელისუფლო ღონისძიება-ქმედებების გაშუქების დროს მუდმივად ფიგურირებენ სახელმწიფო უწყებებში მომუშავე ახალგაზრდა ნაშები, ყველა ინტერიერი ბზინავს და პრიალებს, უკანა პლანზე კი აუცილებლად დიდი კომპიუტერებია, სისტემატურად შუქდება ისეთი ნიუსები, რომელიც დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული სახით მიღებასთან, სულ იჩითება ვიღაც უცხოელი, რომელიც რაღაც დადებითს ამბობს, ჟურნალიტების ტექსტში კი წამდაუწუმ მეორდება ფრაზები: “ევროსტანდარტების შესაბამისი”, “გრანდიოზული”, “წარმატებული” პირველად საქართველოში”, „განახლება” “გარემონტდა” “გაიხსნა”, “აშენდა” და ა.შ...




ღმერთმა ეგეთ საქართველოს მოგვასწროს, რუსთავი-2-ზე რო აჩვენებენ :))))

ეტყობა, ამათ სპეციალური რეკვიზიტები აქვთ „აყვავებული საქართველოსი” და გადაღებებზე იმას დაატარებენ, თორემ რაც მე ვნახე საქართველოში, დამიჯერეთ, ასეთი გაუბედურებული ქვეყანა აფრიკაშიც არ მინახავს. კონგოში ვიყავი შარშან არჩევნებზე და რა შედარებაა, რაც “ედიკა ძიას” დროს გაჩერებული იყო, ახლა სულ დანგრეული და გაპარტახებული დამხვდა რუსთაველის გამზირმა და პლეხანოვმა ხომ სულ გამაოცა, განსაკუთრებით რესტავრირებული შენობის კედლის ბზარიდან დანახულმა მეზობლის ფანჯარამ მო-

ერთი ილფს და პეტროვს რომ აქვთ აგიტატორის ლექსიკონი, სადაც ის სიტყვები და ფრაზებია, ყველანაირ თემაზე ყველანაირი ფორმის პროპაგანდისტული ტექსტის დაწერა რომ შეიძლება, რაღაც მსგავსი უნდა გავაკეთო. :)

ალასანია - მივმართავ სააკაშვილს და არველაძეს, თუ კაცობა გყოფნით, გიწვევთ დებატებში -გადამრევენ ეს პოლიტიკოსები. ხან დუელში იწვევენ ამ მიშას, ხან დებატებში, ნახეს რა რაინდი.ჯერ ამათი ქართველობა და ვაჟკაცობა და მერე მათი დებატები, ამათ მთლად სულელი ჰგონიათ ხალხი!!! კაი რა, ირაკლი შეეშვი მაგ შოუს.. მსახიობობას ვერ ქაჩავ, ვერა..:)))

Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook



# `aTengenidan~ _ yvavT aRvsebamde~...

## fxovis sakraluri dro

### მეომართა, მკურნალთა და მელექსეთა საკრალური დრო

**კობა არაბული**

„ჟამნი მივია-მოვია მუცუს თორღვაის კარზედა!“ — ეს პოეზიაა! მითები შობენ პოეზიას, ხოლო თვით მუცო ლექსიც არის და მითიც... III ათასწლეულის კართან ჩამდგარი „მზიანი ღამის“, „თუ“ უჟამო ჟამის“ მაცნე.

* * *

დიოზერი იყო დედამიწაზე პირველი პირამიდის ამგები გიმეთში!... მენკაურე — გიზეს III პირამიდის ამგები... უფრო ადრე „ზიკურატებს“ აგებდნენ შუმერები — წარღვნისგან დასაცავად! მაგრამ არავინ იცის, ვინ ააგო მუცო — ეს მისტიური ციხე-ქალაქი, ვინ იყო ამ ცას მიდგმული „მზის ზიკურატების“ შემქმნელი... ვინ გააცხადა ეს მირაჟული სიზმარი — „ორი ჟამის“ მიჯნაზე! არავინ იცის და არც უნდა იცოდეს, რადგან რაც იცი, ის არ არის საიდუმლოს შემცველი...

აბა, ახლა მოვიდეს და სცადოს რომელიმე სახელმწიფომ, რომელიმე არქიტექტორმა: მუცოს, გნებავთ, შატილის ბადალი შედევრის შექმნა, თუნდაც მისი ასლის (ანალოგის) გამეორება...

საუკუნეთა მიწისძვრებმა ერთი ქვა ვერ ამოაგდეს შატილის მშრალად ნაგები კედლებიდან დრომ ვერ შეცვალა მისი სახე, ვიდრე ზარბაზნები არ დაუშინეს XIX საუკუნის ვანდალებმა — ისევე როგორც ხალდეს, ისევე როგორც ხადას...

... მაგრამ მაინც მუცო სულ სხვაა: მისი კოშკები თავახდილი დგანან ნოეს კიდობანივით და გამოსცემენ „სფეროთა მუსიკას“ — მუცოს ორი დრო უდგას გარდასულთა და ჯერ არ მოსულთა... დრო არავისი, მაგრამ მაინც ანდრეზთა საიდუმლოს შემცველი!

... მე როცა ეგვიპტის პირამიდებთან ვიდექი — მთვარით განათებულ უდაბნოში, იქაც მუცო მედგა თვალწინ... იქაც იდგა მთვარე, მაგრამ ეს არ იყო თორღვას ბეჭიდან ამოსული... პირამიდებმა ვერ დააპატარავეს, ვერ გადასწონეს მუცო ჩემში და ჩემთვის... მე ვერ დავინახე სხვაგან სხვა საოცრება მუცოს ბადალი!!! ამ ციხე-ქალაქიდან ცოცხალი ადამიანები გამოვიდნენ და წავიდნენ სადღაც... და ზოგი მათგანი აკლდამათა იდუმალებაში შესახლდა!

პირამიდებიდან არავინ გამოსულა, არც შესულა, გარდა მიცვალებული ფარაონებისა... აქ კი თორღვა ძაგანი იდგა, ესვა ლუდისფერთმიანი ქალი, ედგა, სამკეცად ჯარი და ლუდიანი კოდები... და ამ ანდრეზულ დროთა წიაღში ღვიოდა სწორუპოვარი ლექსი, რომელსაც ბადალი არ დაეძებნება მზისქვეშეთში... ხოლო მიცვალებულთა სახლები იდუმალი აკლდამები ცალკე ედგა მუცოს...

... ვერც კატაკომბები მეჩვენა ანატორისა და მუცუს აკლდამებზე მისტიური: ანატორის აკლდამათა ანდრეზი უფრო დრამატული და მნიშვნელოვანია ადამიანთა ყოფნა-არყოფნის, სიკვდილის და სიცოცხლის შესაცნობად!

აკლდამებსაც „ორი მზე“ უნათებს — დღის და ღამის — ისევე როგორც თორღვა ძაგანის ციხე-კოშკებს, ხოლო თვით თორღვა ძაგანს: „მარჯვნივ მზე წერებულიყო, მარცხნივ კი მთვარის ნალია!“

მზე და მთვარე მისი თილისმებია: თორღვა მზის შვილია და მუცო, „მზის და მზის მყოლ ანგელოზთა ქალაქია“, რომელსაც ღვთისმშობლის და კვირაეს ნიშიც უდგას...

მაგრამ ვინ არის: „ღვთის კარზე მოკარვე კვირაე“?! — ძველი საკულტო სადიდებელი რომ იხსენებს: „დიდება ღმერთსა მადლი ღმერთსა, დიდება დღესა დღესინდელსა, დიდს კვირაესა ღვთის კარზე მოკარვესა“ — „ღვთის კარზე მოკარვე“ კვირაე — ანუ „დღე დღესინდელი — ქრისტეა!... ქრისტე ფხოვის საკრალური სივრციდანაც იხედება — ეს ანდრეზულ დროთა პარადიგმული კავშირია.

ქრისტე — „ჰაო-ჰიოხი“ — იხედება პირველივე საუკუნიდან დღემდე — იბერიისკენ...

* * *

თორღვას როცა კლავენ, მას ისარი ბეჭში ხვდება — იქ, სადაც მზის „ბაკმი“ აწერია... ხოლო მისი ჯაჭვის პერანგი, რომელიც წყალმა (ვეშაპმა) მოიტანა, კვლავ „სიმურს“ მიაქვს! თორღვა გადის სამზეოდან, მაგრამ მას თეთრფრთიანი



ყორანი მიაცილებს: „თან ჩაჰყვა შავი ყორანი, თეთრს ჩააფარებს ფრთასაო“... — ეტყობა თორღვა განწირული არ არის, მას „სულეთში“ სინათლის სხივი (შავი ყორნის თეთრი ფრთა) მიჰყვება...

როდესაც ენიგმური გმირი იღუპება — და მას თეთრფრთიანი ყორანი მიაცილებს — ეს იმის მაუწყებელია, რომ შესაძლოა ამ გმირის, ანუ თორღვა ძაგანის დრო კიდევ დადგეს — მას შეუძლია სხვა დროსა და სივრცეში დაბრუნება!

* * *

ჩვენ ახლა არ განვიხილავთ თორღვა ძაგანის ფენომენს — ესეც ცალკე თემაა, მაგრამ ეს ექსპოზიცია ანდრეზული ლექსის ასახსნელად გავაკეთეთ — ფხოვის საყმოში გმირთა ფენომენი და ანდრეზული ლექსი ერთად იბადება. ისინი ერთად ცხოვრობენ, ხოლო როდე-



საც გმირები (დროის ენიგმური პერსონაჟები გადიან საწუთროდან) ანდრეზული სიტყვა რჩება, როგორც მათი „აურის“ ანაბეჭდი...

* * *

ფხოვის საკრალური დრო მოიცავს ქრისტეს დროსაც, რომელიც პირველივე საუკუნეებში ჩამოდგა აქ და, რასაც, დიდი დემოგრაფიული და რელიგიური აფეთქება“ ახლდა. მერე ეს „დრო“ თითქოს თანდათან მინელდა: და III ათასწლეულის დამდეგისთვის სრულიად გაუსახურდა (გაქრა) — ეს ასე იქნება უფლის ახალ შემოხედვამდე... ახლა აქედან ცოცხალი კაცნიც გაქრნენ: რომელნიც „ჯვართ აჯვარებენ და ჯართ აჯარებენ...“ რომელთაც რაღაც უხარიათ და რაღაც სტკივათ“.. ცოცხალ კაც ხედავს მზეს, ცოცხალ იცინის, ცოცხალ ტირის“ (ფოლკ.)

ფხოვის საკრალურ დროში დგას მელექსეთა და მეომართა კასტა: რომლებიც თვითონ ქმნიან და ავსებენ ამ დროს: მაგრამ, როცა დრო ჩერდება და მხოლოდ მოლოდინი რჩება: მათი მოქმედებაც ჩერდება...

ჩვენ ამ მოვლენებზე გვექნება საუბარი ესსეების ბოლო ფაზაში. შეკუმშულ დროში შეკუმშული ფორმით.

* * *

პოეზიის საკრალურ დროში საწუთროდან სულეთისკენ მიმავალ გზაზე მიღმა ხევსურეთში ანატორის — 5 აკლდამა დგას. ეს „უჟამო ჟამის“ ურთულესი ფენომენი: თითქოს სამზეოდან სულეთის კარზე მიდგული — 5 სარკმელი იქიდან აქეთ გამოსახედი.

მათი (აკლდამათა) „პროპორცია“ — უცნაური მაგენდავითისებური — „ბერმუდის სამკუთხედი“, რომელსაც არღუნისა და არდოტის მდინარეთა შესაყარი ქმნის — აბსტრაქციული და მისტიურია...

განწირული, ცოცხალი ადამიანები შედიოდნენ ამ „უკარო სახლებში“ სარკმლიდან და ქვის ლურჯ სარეცლებზე წვებოდნენ! შედიოდნენ ქალები ჩვილის აკვნებით, აბჯრიანი მეომრები: „მომღერალი ფანდურებით“ და იქ რჩებოდნენ სიკვდილთან ერთად (სიკვდილამდე!) — მათ არ ჰქონდათ აქედან გამოსვლის ნება, ეს იყო კარანტინი — „კვრივად“ ქცეული ნაკრძალი, სადაც მიახლოება მხოლოდ ჯორზე მჯდომარე დოსტაქარს (მკურნალს) შეეძლო წყლისა და წამლის მისაწოდებლად —„ფხოველთა რწმენით“ უსურმაგს („ჩლიქმრგვალს“) არ გადაჰქონდა, არ ჰყვებოდა ავადმყოფობა...

ადამიანები ეჩვეოდნენ იქ ყოფნას (ცხოვრებას) სიკვდილთან ერთად და ეს იქცა მათთვის ბუნებრივ მოვლენად: აქ „სწორფერნიც“ ყოფილან, ცოლ-ქმარნიც, ყრმაც, დედა ძუძუს რომ აწოვებდა, ჰქონიათ ქორწილიც... აქ, ამ აკლდამებში არ იყო სიკვდილის შიში და იყო რაღაც ახალი — შიშით დაძლეული უცნობი ცხოვრება...

* * *

შიში გარეთ რჩებოდა ცოცხალთა და ჯანსაღთა შორის!

რომელიღაც დროში „ჟამთა დგომის“ — ეს სტრესული ვითარება გადალახა ფხოვის თემმა და შექმნა ცხოვრების შესაბამისი მოდელი.

ვინ იყვნენ „ჟამნი“: უფლის გამოცდა თუ რომელიმე უცნობი მტრის მოვლინება, ძნელი ასახსნელია. თუმცა ისინი გვეცხადებიან ორ სახად, როგორც ხილული, რომელთაც სიცილიც შეუძლიათ როცა ტიტველი კაცი გაექცევათ და როგორც აბსტრაქციული არსებანი: რომლებიც რწყილისხელა ვირებზე სხედან და ბუერის ფოთლებით იფარებიან. „ჟამნი“ იხილვებიან თითქოს სიზმარ-ცხადში, როდესაც მცირე დიდად გვეჩვენება და დიდი-მცირედ, აქ ამ მითში ორი მოვლენა დგას ერთდროულად: ხორციელი მტრის სასტიკი აჩრდილი, რომელიც შხამიან ისარს ხმარობს და შავი ჭირისნაირი სენი, რომელიც არ იკურნება...

ერთი საიდუმლოც ახლავთ ანატორის აკლდამებს: ხუთივე ერთად ხუთივე მხრიდან არ აღიქმება მათი განლაგება უცნაურია: ერთი უხუცესი შატილელი კაცის (თოთიას) მოთხრობით: „აკლდამებთან ჩასაფრებულთ მტერი ვერ გვხედავდა: ჩვენ კი ვხედავდით მათ“.

მართლაც აკლდამებს შორის შეიძლება ისე დადგე, რომ ვერავინ გხედავდეს და შენგან კი ყველაფერი იხილვებოდეს — აქ გარდასულთა სულები „საფარველს სდებდნენ“ მესაზღვრე სარანგებს... „დადექი ისე, რომ შენ ხედავდე მტერს და შენ ვერ გხედავდეს იგი“ — ეს ფხოური საკრალური ცოდნის ფრაზაა.

ამ აკლდამათა ჭრილიდან და ამ კოშკებიდან „იხედება“ პოეზიის (ანდრეზული ლექსის) დიდი მზე, აგრეთვე მკურნალთა და მეომართა ;„ოქროს კვეთის“ საიდუმლო...

* * *

აკლდამები ადრეულ შუა საუკუნეებში და გვიან დროშიც მკურნალთა საიდუმლო ცოდნის სახლად (ცდის და დაკვირვების ლაბორატორად) იქცა, როგორც ეტყობა, იქ ჩარჩენილ ძვლებსა და თავის ქალებზე ხევსური დოსტაქრები კარგად სწავლობდნენ ადამიანის ანატომიას და ავადმყოფს ხელის ერთი დადებით უსვამდნენ ზუსტ დიაგნოზს — თავის ქალის დაზიანების ადგილზე (აგრეთვე სხვა მოტეხილობაზე) და უკეთებდნენ რთულ ოპერაციას...

* * *

მკურნალი, ისევე როგორც, გენერალი, ბრძოლის ველიდან არ გადის... ის იქ ბოლომდე რჩება...

ხოლერიან სოფელში (თემში) მხოლოდ მკურნალი შედიოდა!

მხოლოდ აქიმს შეეძლო ფხოველთა ჩაკეტილ სოფელში ცხენიდან (ან ჯორიდან) ჩამოუსვლელად გავლა შესვლა და გასვლა სხვა ყოველი გამვლელი, სოფლის გზით, ცხენიდან უნდა ჩამოსულიყო — მით უფრო, უცხოს არ გაატარებდნენ!

ცხენიდან ჩამოუსვლელობა შეურაცხყოფა იყო თემისთვის ! — ვინც არ ჩამოვიდოდა და გაჯიუტდებოდა, „ხანჯლით“ ჩამოსვამდნენ... მხოლოდ მკურნალს ჰქონდა თავისუფალი მოქმედების უფლება: ეს მისი მაღალი პატივის და ღირსების აღიარება იყო.

მკურნალიც ყოველგვარი იარაღით იყო აღჭურვილი, ისევე როგორც ყველა ფხოველი: მას წელ-

ზე შავი ღვედით ერტყა სატევარი, ხელში ეპყრა გრძელი შუბი — ფარ-ხმალსა და მშვილდ-ისარსაც აისხამდა — თუ „შიშიანობა" იდგა. ისიც ჩვეულებრივი მეომარი იყო, როგორც ყველა ფხოველი.

ფხოველი ჯერ შუბს ატაკებდა მტერს... მერე ხმალს მიანათებდა...

შორს „ჩამომდგარს" ისარს მიაწევდა რქის მშვილდით! მშვილდი ჯიხვის რქისა, ან რქისა და შვინდა წელისა იყო („ჯიხვო, გუნება მძიმეო, რამ ჩამაგაგდო კლდიდამა? — ისარმა ყია წითელმა მშვილდმა მაგ ჩემის რქისამა!!).

რქის მშვილდოსანი ფხოველი უბადლო მოისარი იყო! („საკამტულოს გადმოდგეს ძიბლაისძენი ცხრანიო — კვათეს ჩაყარეს ისარი, ეგრე რო ცამა ნამიო")...

ფხოველის (ხევსურის) როგორც ყოველი სამოსელი და აღჭურვილობა მშვილდ ისარიც ძალიან ლამაზად ნაკეთი იყო:

„ეგ მშვილდი გადმომაწოდე მხარზე რომ გკიდავ ჭრელიო,

ისარნი ყია წითელნი, რომ ჰკრიან ორბის თბენიო" — ეს მშვილდის საქებარი მცირე ჰიმნია — მისი „აღწერილობაა" მოკლედ...

* * *

ხევსურს ორი ფარი ჰქონდა: ერთი უბის ფარი, უფრო მომცრო, რომელიც პერანგის ფარაგში ედო და გულს უფარავდა, მეორე დიდი ფარი „დელამფარი" მხარ-იღლივ ეკიდა! ზედ ჯვრის და მზის ბორბლის გამოსახულება იყო სალტებით შეკრული! იგი ზოგჯერ ორივე ფარს ხმარობდა. მარჯვენით მცირე ფარი ხმალთან ერთად ეჭირა, „დელამფარი" მარცხენათი წინ წაწეული ეპყრა! მტერი მის დაცვას ვერ შეუდიოდა!

* * *

ფხოველი მეომრის წესი (ლოგო) ასეთი იყო — ერთს უნდა შეძლებოდა 8-ის მოგერიება! რვა საშუალო, საკრალური რიცხვი იყო: არც-ბევრი, არც-ცოტა!

8-ზე ნაკლები არ ითვლებოდა ფხოველი მემეტე-სარანგისთვის საკმარის მტრად, ხოლო 8-ზე მეტი უკვე სახიფათო იყო! ზოგადად კი, ომში შესვლისას, მისთვის სულ ერთი იყო მტერი ერთი იყო, თუ — 1000!

ამის მაგალითია ხევსურებისა და სამურაების ცნობილი შეტაკება (რუსეთ-იაპონიის ომის დროს), რომელიც სამურაების სასტიკი მარცხით დასრულდა, როგორც ირკვევა, სამურაების მარცხი განპირობებული იყო ხევსურთა (ფხოველთ), „ფარის ფარების ვირტუოზული ხელოვნებით". სამურაებმა ვერ გაარღვიეს მათი დაცვა, ხოლო თვითონ კი ვერ გადაურჩნენ ხევსურთა მრისხნე შეტევას და მათი „დავითფერულები" (თუ „გველისპირულებით") დაფლეთილი დარჩნენ — 4-ხევსურმა 24 სამურაი გაანადგურა:

მხილველთა გადმოცემით, ხევსურები ნახევარწრედ (რკალად) ზურგით იდგნენ ერთმანეთისკენ და ხელში სამურაების მახვილით დაჩეხილი ფარეში ეჭირათ — სამურაები კი დახოცილი ან გაქცეული იყვნენ, ამაზე ეთნოლოგთა და მკვლევართ სხვადასხვა ინფორმაციები არსებობს (საყევარიშვილი, გ.ხორნაული, შ.ნიშნიანიძე).

* * *

ასპინძის ომის დროს, როცა ერეკლეს ტოტლებენმა უღალატა და გაექცა: ხევსურმა მეომრებმა ორჭოფობა შეატყვეს — მართლაც მძიმე სიტუაცია იდგა...

მაშინ ბიტურათ აბას უთქვამს:



„შეშინებული მეფის ნახვას მკვდრის ნახვა მირჩევნიაო"...

გუდანელ ლიხაურისძეს უთქვამს: „მეფეო, დაკვრა სჯობს დალირებასაო"... მაგ მტრებზე ხმლები დავცადოთო".

ერეკლეს ულვაშებში ჩაღიმებია და პირდაპირ შეტევა დაუწყია! თუ რა მოხდა მერე ამას მეისტორიენიც აღნიშნავენ...

ისიც ვიცით, 400-მა ხევსურმა რა დღე დააწია სპარსელთა ლაშქარს ჟინვალთან, მათ დაამარცხეს მდევარი და ერეკლეს ანანურში ტყვეები მიჰგვარეს...

* * *

როცა თემს (საყმოს) ქვეყნის ბედისწერული ჟამი უდგება და მას დაძლევს (ან ვერ დაძლევს) მისი ცხოვრების წესი იცვლება! იცვლება ფსიქოლოგთა მოტივაცია: ჩვენს ერს ბევრჯერ ედგა ასეთი ურთულესი ჟამი „ქაჯთა" დროიდან აქამომდე... ჩვენი სულიერი „მატრიცა" დღეისთვის მთლიანად შეცვლილია და გადაკეთებულია — დარჩენილი სხეულის ის ნაწილი, რომელიც მეტაფიზიკურად უცვლელია და არსებობს, როგორც ქერქი ან ჭურჭელი რაიმემატერიის შესანახად და მოგყვება დასაბამიდან დღემდე, როგორც ყალიბის ერთგვარი ფორმა.

* * *

თუ პირველსავე სიტყვაზე მოვალთ, თორღვას ჩემს ორი მზე უნათებს. „ორი მზე ამოდიოდა"— (და ერთი წითელია) ბეჭზეც მზის და მთვარის „ბაკმი" უზის; თორღვას როდესაც კლავენ, მას ერთი მზე უბნელდება. სამზეო ცაზე, მაგრამ მისთვის მაინც რჩება „ასტრალური მზე", რომელიც სულეთის გზას უნათებს.

და თუ ცხენს მზის იმაგინალურ სიმბოლოდ (ხატად) მივიჩნევთ უძველეს იბერთა რწმენა-წარმოდგენაში, მაშინ „სულეთში" მიმყოლი „სულის ცხენი" იგივე მზეა, რომელიც მიაცილებს მიმავალს და შუბლზე სარკე უნათებს, როგორც მზის „ბორჯღალი" (ხარი და ცხენი მზის ბორჯღალით არის გამოსახული უძველეს თრიალეთურ ცივილიზაციაში).

ცაზე ორი მზის დგომის ბედისწერულობა სწორედ იმაშია, რომ მზე ზესკნელის და ქვესკნელის მზეებად იმიჯნება, იყოფა და ბედისწერულ ნიშანს გვაძლევს (მიმწუხრის მიწურულ წითელ მზეს —„მზეწვეროვანი", ანუ „მკვდრის მზე" ეწოდება) და სახიფათო ჟამის დგომას მოასწავებს ენიგმური გმირისთვის და „მთლიანად" თემისთვის (საყმოსთვის) — ეს მოვლენა მკაფიოდ ცხადდება ხოგაის მინდის მითში. (ანდრეზებში).

* * *

ჩვენ წინარე წერილებშიც მოგვიწია ამ თემებზე (ნაწილობრივ) საუბარი „მუცოსა და „ხოგაის მინდის" კონტექსტში...

როდესაც მუცოზე ვწერთ, როგორც მისტიურ ციხე ქალაქზე, ან არქიტექტურულ ძეგლზე. მას ცალკე ვერ განვიხილავთ: მისი ჭვრეტა მხოლოდ გარედან, ცალსახად" შეუძლებელია და ნაკლოვანი, თუ იგი „შიგნიდან" არ დაინახე: მუცო არ არის მხოლოდ გრანდიოზულ ნაგებობათა კედელი და ლურჯი ქვების გროვა, მის „საიდუმლო კიდობნებში" ღვივის მითის ნათება — იდუმალი მზე, რომელიც თორღვა ძაგანს ჩაჰყვა სულეთში და ღვივის დრო, რომელიც ჩამომდგარი იყო თორღვამდე დიდი ხნით ადრე, და დრონი, რომელნიც ჩამოდგნენ თორღვას სიკვდილის შემდგომ, ანუ ჩვენს დროში... „ჟამი მივია-მოვია, მუცუს თორღვაის კარზედა" — ეს საკრმანტული სტროფი დროის და სივრცის სამივე განზომილებას მოიცავს, ამ ტიპის ანდრეზული ლექსი თითქოს ადვილი შესაცნობია, მაგრამ მაინც იდუმალი, თითქოს ახსნადი, მაგრამ აუხსნელი ! — შეიძლება მხოლოდ აქ ფხოვის უძველეს თემში ღვიოდეს...

მე მაქვს ამ ლექსის (და თორღვას მითის) ჩემეული ინტერპრეტაცია სხვაგან, სხვა კონტექსტში, სხვას, ალბათ, თავისი ექნება, რაც, შესაძლოა, პოეზიის ცალკე კარად იყოს დაწერილი, ანუ ესეც ასევე ცალკე ესეის თემაა..

მაგრამ მე ვერ გავასრულებ ფხოვის საკრალური დროის ამ „შეკუმშულ ციკლს", თუ ყოველ მოვლენას ცალ-ცალკე გავყვები": თემა დამეშლება და გამეფანტება აფეთქებული ვარსკვლავივით — (ფხოველნი გიორგობის მასკვლავთა ჩაშლის ჟამს რომ უწოდებენ) — სადაც მოვლენებს ვეღარ დაეწევი...

მე მსურს, მკითხველს მივაწოდო ერთიანი, ანდრეზული დროის



მზის და მთვარის ნათების, გაუწილველი სურათი, რომელიც მერე თავისთავად შობს მოვლენებს და ინფორმაციებს, იელის თუ უთხოვრის (უძველესი, წარღვნამდელი) ხესავით, რომელსაც „დროთა კალენდარი" აწერია მერქანზე, ანდაც ჩაძინებულ კვირტებში აქვს შენახული („დაფარული") საიდუმლო ცოდნა, რომლებიც სხვადასხვა დროს იღვიძებენ... და გამოსცემენ იდუმალი მუსიკის ხმას (რომლის მოსმენა მხოლოდ ხოგაის მინდის სამშობლოში შეუძლიათ...).

* * *

ამდენად, მუცოში (და შატილშიც!) დროთა და მოვლენათა მრავალფერი კოლაჟი ბრუნავს, ჟონავს და ილვრება, თუ ფილმს გადაიღებ მუცოზე — იგი მითის მირაჟიდან ხედვა უნდა იყოს, ბროწეულის გახსნილი კანივით უნდა აჩენდეს დაფარულ საიდუმლოს... პოეზიაც-ლექსიც — ასეთივე უნდა იყოს მუცოზე, მოჟონილი შიგნიდან — ანდრეზთა (მითთა) წიაღიდან და არა ოდენ არეკლილი ლურჯი კედლებიდან! მუცოს (და შატილის, და ანატორის) ქვები ადვილად ირეკლავენ „უბირი" „ხამი" მოგზაურის მზერას და ცნობიერებას — ჯერ „აცდუნებენ" და მერე ცარიელზე სტოვებენ! აქ გზა და გზა გვხვდებიან სახტად დარჩენილი: დროში და ნანგრევებში ჩარჩენილი ადამიანები...

რთულია (შეუძლებელიც) ქვათა და დროთა წიაღში შეღწევა, თუ მითის (ანდრეზის) სუნთქვას ვერ გრძნობ... და არ ძალგიძს რიტუალური ტექსტების და თვით რიტუალთა საიდუმლოს წაკითხვა...

* * *

როდესაც მუცოში შედიხარ, გესმის მიცვალებულთა სახლების — იდუმალი აკლდამების მუსიკა: რომლებიც როიალებივით ჩამოუდგამთ ქვიანი გზა ბაწრის გასწრივ, ხრიოკ ფერდობზე... ეს „სახლები" მძაფრი სიმყუდროვის განცდას ქმნიან, გაშფოთებენ დაგამშვიდებენ, გწეწავენ, გაბრუებენ, და გალაგებენ („თქვენ ამიწეწეთ საწუთრო, გორებო აკლდამიანო"), რაღაცნაირი გარდუვალობის და მარადიულობის სუნთქვა ისმის აქედან, რაც მოკვდავთა ვნებას მტკივნეული განცდის მერე ცხოველი ემოციით (სინათლით) ავსებს!

აქედან გესმის „ჟამთა სალამურის"-ხმა და ყრმათა აკვნების მუსიკა!

აქ ამ „სახლებში" შედიოდნენ მოსისხლენი და რიგდებოდნენ... ბედისწერული „ჟამის"კარზე!

შედიოდნენ მექორწილენი... და ქორწილს იხდიდნენ.

ფანდურზე უკრავდა და ისე შედიოდა მოლექსე ჩოთეში — აკლდამაში...

როგორც ვთქვი, ეს „მისტიური" სახლები გამიჯნული იყო — ცოცხალთაგან ქადაგისა და ხატის მიერ. მხოლოდ ჯოროსან დოსტაქარს შეეძლო მიახლოება და წამლის მიწოდება ჯორის ჩლიქს „არ გადაჰქონდა" მომაკვდინებელი ბაქტერია. (ესეც თემის საკრალური ცოდნა!).

მთლიანობაში: აქედან ჩვენს მიერ ეს უცნობი მოვლენა აღიქმება, როგორც, სულეთისა და სამზეოს მკვიდრთა ერთიანი მისტერია!

* * *

... შემდგომ ამ თავის ქალებიდან და გალოებიდან იღებდნენ ხევსური დოსტაქრები საიდუმლო ინფორმაციას, აკვირდებოდნენ და იმეორებდნენ ცოცხლებზე!

მე მოვესწარი რამდენიმე დოსტაქარს, მაგრამ მე ვერ მოვესწარი გენიალურ მკურნალს, შუბანის საკულტო-საკრალური თემის ყმას —), სადაც მკურნალი გველის კულტი უფლობს) — მგელიკა ლიქოკელს!...

მე შევესწარი ბევრ ბრწყინვალე ხევისბერს და მელექსეს — მაგრამ ვერ „მივემთხვიე" ვეფხვთან მეომარ ბაბო ყურაულს და მოლექსეს, რომელმაც ვეფხისა და მოყმის ომი „ანდრეზად" აქცია! — ეს არის ჩემი სინანული, რომელსაც „შეცნობის" სიხარული ახლავს.

**(გაგრძელება იქნება)**



იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ივანე ჯავახიშვილი:

# saqarTvelos sazRvrebi

## istoriulad da Tanamedrove TvalsazrisiT ganxiluli



### მე–4 თავი
### სამხრეთის სამზღვარი

### ქვემო ქართლი, გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის

ქვემო ქართლის სამხრეთის სანაპირო ხაზი იმავე დროს ქართველთა და სომეხთა სამფლობელოს გამყოფელი სამზღვარი იყო ძველ დროითგანვე მოყოლებული.

**1. ისტორიული მიმოხილვა. ბრძოლა ამ სამზღვრის გამო მე-2 ს.ქ.წ. მე-11 ს. ქ.შ.**

ჯერ კიდევ ქრისტეს წინათ საქართველო და სომხეთი მეზობლად ყოფილან, მაგრამ თავდაპირველად სომხეთს მცირე მიწა-წყალი ეკავა და მხოლოდ მას შემდგომ რაც ანტიოქოს დიდის სარდლებმა არტაქსიმ და ზარიდრამ ცალ-ცალკე ორი სომეხთა სამეფო დაარსეს, თვით სომხეთი, ვითარცა პოლიტიკური ერთეული, სამზღვრებით გაფართოვდა (ჩემი ქართველი ერის ისტ. 1.59) ეს ზრდა მათი მოსახლეობის ბუნებრივი განვითარებისა და გამრავლების შედეგი არ ყოფილა. სტრაბონის ცნობით, სომხეთის მეფეებმა მეზობლებს მიწები წაართვეს. სხვათა შორის, მაშინ ქართველთა ტომებისათვისაც წაურთმევიათ პარიადრის სანახები, რომელიც ტაოსა და სპერს შეიცავდა, ხორზნა და გუგარეთი (გუგარენი), ხოლო ხალიბებსა და მოსინიკებს–კარინი და დერქსინი (იქვე). ეს ამბავი 191 წ. (ქ.წ.) შემდეგ მომხდარა და სომეხთა პირველი იერიშია ქართველთა მიწა-წყლის დასაპყრობად. ამ დაპყრობილი ქვეყნების ბედი ამით სამუდამოდ და, საბოლოოდ არ გადაწყვეტილა.

სტრაბონის გუგარენა ანუ გუგარეთი ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის სამხრეთის ნაწილს უდრიდა, რომელიც დაახლოებით ჭიჭკანისა, ბოლნის-დმანისის, ლოქის ხეობათა, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს შეიცავდა. ზოგჯერ გუგარეთს პოლიტიკურ მიზეზების გამო უფრო ვრცელი მნიშვნელობა ენიჭებოდა და უფრო ფართოდაც იყო ხოლმე შემოხაზული. ამ ქვეყნის წინანდელი სახელის კვალი შერჩენოდა ეხლანდელ საგეოგრაფო სახელ გუჯარეთში. ქართული საგეოგრაფო ტერმინოლოგიით, ეს გუგარეთი უფრო ხშირად ქვემო ქართლად იწოდებოდა, ხოლო რუსთა ბატონობის შემდგომ ბორჩალოს მაზრის სახელით არის ცნობილი.

ტოპოგრაფიულად ეს გუგარეთი ანუ ქვემო ქართლი სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით თვით ბუნების მიერ არის გარემოზღუდული: სამხრეთით მას უდარაჯებენ. აღალი (8000 ფ) ციცაბო, ორ ადგილს გარდა გარდაუვალი, ტყითმოცულნი ერევნის მთები, რომელთაც რუსული საგეოგრაფო ტერმინოლოგიით ბამბაკის ქედი ეწოდება. ამ მთების გასწვრივ ჩრდილოეთით მდებარეობენ ე.წ. სომხეთის მთები, რომელიც აგრედვე მაღალია ისე, რომ ზოგიერთი მწვერვალი 8000 ფ-დე აღწევს. მთელი ეს ქვეყანა გეოგრაფიულად ისე მჭიდროდ არის საქართველოსთან დაკავშირებული, რომ როგორც თვით ქვეყანას, ისევე ყველა იქაურ მდინარეებსა და, რასაკვირველია, გზებსაც ჩრდილოთისაკენ, მტკვრისა და ტფილისისაკენ აქვთ პირი მიბრუნებული.

სტრაბონის დროსაც, 1-ლ ს-ის დასასრულს, ქ.წ. და 1-ლ ს-ის დამდეგს ქ.შ. ეს კუთხე ჯერ კიდევ სომეხთა ხელში ყოფილა, მაგრამ უკვე 35 წ-ითგნ ქ.შ. მოყოლებული, როდესაც, ტაციტის სიტყვით, იბერიის მეფეები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ სომხეთში შემოჭრილ სპარსელებს ებრძოდნენ და როცა თვით სომხეთშიც კი ქართველი უფლისწული გამეფდა, ცხადია, მდგომარეობა თვალსაჩინოდ უნდა შეცვლილიყო.

შესაძლებელია, ამავე დროს ქართველებს სომეხთა მიერ მითვისებული გუგარეთიც უკან დაებრუნებინათ (ქართველ ერის ისტ. 1, 173-17.) ამას ის მეგობრული განწყობილებაც გვაფიქრებინებს, რომელიც აღმოს. საქართველოს მეფეებს რომის კეისრებთან ჰქონდათ (იქვე 178-9).

პლინიუსის სიტყვებითაც მტკიცდება, რომ თეზი და თრიალეთი მაშინ, რომელიც აგრედვე ფართოდ ნაგულისხმევი გუგარეთის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, პირველ საუკუნეში ქ.შ. უკვე იბერთ ჰკუთვნებიათ.

მაგრამ გუგარეთის ქარველთა მიერ უკან დაბრუნების შესახებ გარკვეული პირდაპირი ცნობები მე-4 ს-ითგან ქ.შ. მოიპოვება 374 წ.სომეხთა მეფე პაპი მოკლულ იქმნა და ამის შემდგომ სომეხ არშაკუნიანთა სამეფო შეუჩერებლად ეცემოდა. ამ სამეფოს პოლიტიკურს და უძლურებას ხელი შეუწყო იმ ქიშპობამ და ბრძოლამ, რომელიც ამ ქვეყანაში უფლისწულების არშაკისა და ხოსროს შორის ატყდა სომხეთის სამეფო ტახტის გამო. ეს ცილობა 387 წ. სომხეთის ორ სამეფოდ გაყოფით დამთავრდა და სწორედ ამ დროს ქართველებსაც სომხებისგან თავინთი ქვეყნები გუგარეთი, გარდაბანი და კარწახი უკან დაუბრუნებიათ.

მალე თვით სომეხთა ამ სამეფოების დამოუკიდებელი არსებობაც მოისპო და სომხეთი სპარსეთსა და ბიზანტიას შორის იქმნა განაწილებული. სომეხთა ამგვარმა დაუძლურებამ ზემოთჩამოთვლილი ქვეყნების ბედი და საქართველოსთან შეერთება ხანგრძივობით განამტკიცა (იქვე 230). იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გუგარეთი სომეხთა ხელში იყო, იმ კუთხეში სომხობაც შეერია და ქართულის გარდა სომხურიც გავრცელდა (იქვე).

მე-5 საუკნეშიაც, მაგ. ვახტანგ გორგასლანის მეფობაში, გუგარეთი წინანებურად იბერიის სამეფოს საზღვრებში შედიოდა, მაგრამ მარტო პოლიტიკურად კი არა, არამედ საეკლესიო წეს-წყობილების მხრივაც, იგი საქართველოს განუყოფელს ნაწილს შეადგენდა: როგორც მე-6 საუკუნის დამდეგს მომხდარ საეკლესიო კრების მონაწილე მღვდელმთავართა სიითგან სჩანს, ბოლნისის, ცურტავის და რუსთავის საეპისკოპოსოები მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ.

გუგარეთის საქარველოსთან დაკავშირების სიმტკიცე და მისი განუყრელი კუთვნილება შემდეგში მომხდარმა უბედურებამაც გამოააშკარავა, როდესაც სპარსთა მიერ 532 წ. აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა ძალმომრეობით მოსპობილ იქნა და ქვეყანას თვით სპარსთა შაჰები დაეპატრონენ (ქართველ ერის ისტ. 1. 195-197). ასეთი უკიდურესი გაჭირვების და პოლიტიკური ბედის უკუღმართობის დროსაც გუგარეთი საქართველოს სამზღვრებში შედიოდა მე-7 საუკუნის დამდეგსაც, როცა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებრივი უთანხმოება და მტრობა ჩამოვარდა, რომელიც ამ ორი ერის ეკლესიების სრული განხეთქილებითა და განშორებით დამთავრდა, იგი კვლავინდებურად ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა. საქართველოს ამ პოლიტიკური დაკნინებისა და განსაცდელის ხანაშიაც რომ გუგარეთი მართლა კვლავ საქართველოს ეკუთვნოდა, სულიერად და პოლიტიკურად მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ამას თვით სომხურივე მე-7 საუკუნეში შედგენილი საისტორიო გეოგრაფიაც ცხადად ამტკიცებს. იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს ქვეყანა ამ დროს ქართველების ხელში იყო (იქვე გვ. 20 და ჩემი ქართველი ერის ისტორია 1.60).

643-645 წელში არაბთა ლაშქარი და სარდალი ეწვია კავკასიას და და საქართველოს. მთელი სამხრეთი და აღმოსავლეთი კავკასია და აღმოსავლეთი საქართველოც არაბთა ბატონობის ქვეშ მოექცა. სომხეთიცა და აღმოსავლეთი საქართველოც მათ ემორჩილებოდა. თავისთავად ცხადია, რომ ამ დროს შეუძლებელი იყო საქართველოსომხეთის სამზღვრებში რაიმე ცვლილება მომხდარიყო: გუგარეთი წინანდებურად ქართველთა უცილობელი კუთვნილება იყო. არაბთა პოლიტიკურმა ძლიერებამ რომ შემდეგში თანდათანობით იკლო და მათი შეუჩერებელი მიდრეკილება განკერძოებისადმი ცხადი გახდა იმ მხრივაც, რომ ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივი სხეულის მაგიერ მრავალი სანახევროდ დამოუკიდებელი დაარსდა, დაპყრობილმა ქვეყნება თავისუფლად ამოისუნთქეს. სხვათა შორის, ტფილისის და ქართლის საამიროც შეიქმნა. ტფილისის ამირთა ურჩობა ასუსტებდა არაბთა ბატონობას კავკასიაში, საქართველოს და სომხეთის აღდგენას და ხელს უწყობდა.

მე-9 საუკუნითგან მოყოლებული, საქართველოსა და სომხეთს პოლიტიკური მოღონიერება დაეტყო, ქვეყანა აღორძინების გზა დაადგა: ჯერ რამდენიმე საერისთავთ-ერისთავო გაჩნდა, შემდეგ დაიწყო ცალ-ცალკე ბრძოლა საქართველოსა და სომხეთის გაერთიანებისათვის. ასეთ პირობებში ბრძოლა ტფილისისა და ქართლის ამირასთანაც და ურთიერთთან აუცილებელი იყო: არაბებს უნდა ჩამორთმეოდათ მათ მიერ დაპყრობილი აღმ. საქართველოს მიწა-წყალი, ქართველ ერისთავთ-ერისთავთა ურთიერთშორის ბრძოლას კი მიზნად დანაწილებული საქართველოს გაერთიანება ჰქონდა. ყოველი ქართველი მთავარი და მეფე ხან პირადად, ცალ-ცალკე, ხან ჯგუფობრივ, შეერთებულის ძალით, ამ საქმის განხორციელებას ცდილობდა. სხვათა შორის, საქართველოს არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებას გუარამ მამფალიც (882 წ) მამაცურად ცდილობდა ხელის შეწყობას და მედგარი ბრძოლის წყალობით მან დაიპყრა კიდეც ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი (მატიანე ქართლისა 445 გვ. 223 ქართველი ერის ისტ. მე-2, 378) თრილეთი, ტაშირი და აბოცი, როგორც ვიცით, სწორედ ძველ გუგარეთს ეკუთვნოდნენ. მაშასადამე, საქართველოს განახლების განთიადზე ქართველმა მთავრებმა ეს კუთხე ისევ საქართველოს საზღვრებში მოაქციეს.

მაგრამ საქართველოს გაერთიანების პროცესში მალე გარეშე ძალაც ჩაერია: სომეხთა ერისთავმა აშოტ ბაგრატუნიმ ამ ბრძოლაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, მხოლოდ, რასაკვირველია, თავის სასარგებლოდ.

სომეხთა ერისთავთ-ერისთავი აშოტ ბაგრატუნი, რომელმაც სომხეთის სამეფო აღადგინა, თავისი სამფლობელოს სამზღვრების გასაფართოებლად ჩრდილოეთისკენ მოისწრაფებოდა და ქართლის დაპყრობას ლამობდა (ქართველი ერის ისტ. მე-2 379) იგი ამ ქვეყანას აფხაზთა მეფეს ეცილებოდა, რომელიც, თავის მხრივ, კარგა ხანია საქართველოს გაერთიანებისთვის იღვწოდა (იქვე 380), სომეხთა მეფე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს მხარს უჭერდა. გვარამ მამფალმა სამაგიეროდ „აბოცი განუყო ცოლის ძმასა თვისსა სომეხთა მეფესა- (მატიანე ქართლისა 445 : გვ. 123 ქართველ ერის ისტ. მე-2




იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**რედაქციისაგან: ივანე ჯავახიშვილის წიგნი „საქართველოს საზღვრები" იბეჭდება უცვლელი სახით.**

380). ამგვარად საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლთა შორის სომეხთა მეფეც გაერია და აფხაზთა მოწინააღმდეგე ჯგუფში ჩადგა. ამის წყალობით სომეხთა მეფეებს ქვემოქართლის ნაწილის ზოგიერთი ადგილები ჩაუგდიათ ხელში, სხვათა შორის, ტაშირი (იქვე 380. 381). ამ გაერთიანებას აშოტ ბაგრატუნი ესეოდენ დიდ ნიშვნელობას აძლევდა, რომ მას თავისი თავისათვის სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავის სახელწოდება მიუკუთვნებია (ასოღიკ, ქართველი ერის ისტ. 380) აქეთგან ცხადია, გუგარეთი მასაც ქართლად და ქართველთა მიწაწყლად მიაჩნდა და სწორედ ამ ქარველთა ქვეყნის დაპატრონების ძალით მან თავის თავს ქართველთა ერისთავთ-ერისთავი დაარქვა. ალბათ მას კარგად ესმოდა, რამდენად ძვირფასი იყო ქართლის ის ნაწილი, რომელიც მას ხელში ჩაუვარდა, საქართველოს თავდაცვისათვის.

ამგვარად, ეს სომეხთა მეორე იერიში იყო საქართველოს სამხრეთის სამზღვრების გადმოსალახავად და ქვენა ქართლის, ყოფილი გუგარეთის დასაპყრობად. საგულისხმიეროა, რომ სომხეთის და საქართველოს პოლიტიკური განახლება ამ დროსაც სომეხთა შემოსევით დაიწყო.

სტეფანე მტბევარის მიერ 814-918 წ. (იხ. ჩემი ისტორიის მიზანი 4) დაწერილი გობრონის წამება ამტკიცებს, რომ შემდეგშიაც „ტაშირი და კალფაქარი“ მეფის



სუბატის ხელში ყოფილა (საქართველოს სამოთხე 394). შემდეგშიაც ეს კუთხე მათ ხელითგან არ გაუშვიათ. რაკი სამხრეთით და დასავლეთით ძლიერი მეტოქეები, არაბები და ბიზანტიელნი, ჰყავდათ, ჩრდილოეთით კი მათ იმ დროს ღონიერი მოწინააღმდეგე არ ეგულებოდათ, რადგან საქართველოს ჯერ კიდევ ძალა მთლად მოკრებილი არ ჰქონდა, ამიტომ სომეხთა ენერგია იქითკენ მიისწრაფებოდა, სადაც ნაკლებ წინააღმდეგობას მოელოდნენ.

მე-10 საუკ-ის დასასრულსაც ტაშირი და „ქართველთა ველი“ ბოლნის-დმანისის ხეობანი, სომეხთ ეჭირათ და დავით გურგენის შვილს ეპყრა. ქ. სამშვილდე მან თავი საჯდომად აქცია და ქ. დმანისიც აიღო. გაგის ციხის მფლობელი დემეტრე მარზპანი, თუმცა გრიგორიანი იყო, მაგრამ მოინათლა და ქართველებს მიემხრო. მისი შვილი ტაშირის „მამფალი“ იყო. დავით გურგენის შვილმა იგი გაგითგან განდევნა, მაგრამ უკვე 1001 წ. თვით დავითიც მისი ბიძის, სომეხთა მეფის გაგიკის მიერ დამორჩილებული იქმნა (ქართველი ერის ისტ. მე-2, 420-421).

### 2. ქვემო ქართლის ვითარება და მნიშვნელობა მე-11-მე-12 საუკუნეებში

ვერც ამ მეორეგზისმა სომეხთა მიერ დაპყრობამ შესცვალა არსებითად ქვემო ქართლის, ანუ გუგარეთის ძირითადი კუთვნილების საკითხი. თუმცა, მართალია, თავიანთი მფლობელობის დროს სომხებმა აქა-იქ საეკლესიო ძეგლები და კულტურული კერა შეჰქმნეს, რომელთაც სომეხთათვის თავის დროზე მნიშვნელობა ჰქონდათ და თვით მოსახლეობაშიაც დროებითი პოლიტიკური ბატონობის წყალობით სომხობა წინანდელთან შედარებით უფრო უნდა გაძლირებულიყო, მაგრამ თვით ქვეყანა წინანდებურად ქართული იყო და ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილად ითვლებოდა.

ამიტომაც იყო, მე-11 საუკუნის ქართველ ისტორიკოს ლეონტი მროველს ქართლის სამზღვრად აღნიშნული აქვს „აღმოსავლეთით ჰერეთი და მდინარე ბერდაოჯისი... სამხრითა მთა, რომელი მიჰყუების ბერდაოჯის მდინარის თავსა (ლ. მროველი, ცხოვრება მეფეთა 97, გვ. 27 ქართველი ერის ისტ. მე-2 283). მაშასადამე, ტაშირიც, ლორეც, ბოლნის, დმანისის ხეობანიც მას წინანდებურად ქართლის კუთვნილებად და ნაწილად მიაჩნდა.

საისტორიო გეოგრაფიას სომეხთა დროის ამ კუთხეში პოლიტიკური მბრძანებლობის სახსოვრად ტერმინი „სომხითი“ შერჩა. ეს სახელი ძველად სრულებით უცნობი იყო და მხოლოდ მე-10 საუკუნითგან მოყოლებული გვხვდება. „სომხითი“ ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნის დმანისის ხეობებს და ლორეს ველსაც და საყურადღებო ისაა, რომ ვითარცა საგეოგრაფიო ტერმინი, მარტო ქართულად და ქართველ მწერლობაში იხმარებოდა: სომხები და სომხური საისტორიო მწერლობა ამ ქვეყანას „სომხითს“ არ ეძახდენ. პირიქით ისინი ლორე-ტაშირის ველს „ქართველთა



ველს“ უწოდებდნენ. ამ ტერმინში უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია შენახული, რომ თავიანთი პოლიტიკური ბატონობისდა მიუხედავად, თვით ქვეყანას სომხებიც თავისდა-თავად ქართველთა კუთვნილებად სთვლიდენ.

მე-11 საუკუნის პირველი ნახევრითგან მოყოლებული. თანდათან მდგომარეობა იცვლება. მას შემდგომ, რაც ბაგრატ ე-3-მ აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო საბოლოოდ გააერთიანა, ქართველობამ წელი გაიმაგრა და საქართველოს მერმინდელი მეფეები ჩვენი ქვეყნის ამ კუთხის მტრისაგან განთავისუფლებას შეუდგნენ. რომელიც ჯერ კიდევ უცხო, გარეშე ძალის ხელში შერჩენილი იყო. თბილისის საამირო და სომეხთა მიერ დაპყრობილი მიწები იყო შემოსაერთებელი და მე-11 ს.ში ქართველთა მთელი ძალ-ღონე სწორად ამ მიზნის განხორცილებას მოჰხმარდა.

1032 წ. ლიპარიტ ერისთავს და იოანე აბასასძემ, ბაგრატ მე-4-ს თანხმობით, ტფილისის ამირას ჯაფარას ბირთვისი წაართვეს (ქართველი ერის ისტ. მე-2. 444), ხოლო ცოტა ხნის შემდგომ, 1037-8 წ. იმავე ტფილისის ამირას ხელითგან გამოაცალეს ციხეები ორბეთი და ფარცხისი (იქვე 434). ამგვარად ქართველობა ტფილისს ზურგით მოექცა და იქითგან ტფილისის მაჰმადიან ამირებს სამხრეთის დანარჩენ სამაჰადიანობასთან კავშირი მოუსპო და გზები შეუკრა.

უფრო სამხრეთით სომეხთა მიერ დაპყრობილი ქვეყანა იწყებოდა. აქ, 1965 წ. სამშვილდეში სომეხთა მეფედ“ კვირიკე იჯდა, რომლის ძმასაც სუმბატი ერქვა. მას ემორჩილებოდნენ „ორნი ერისთავნი“. „ლოკის ერისთავი და კაქვაქარისა“. რომელთა ხელთ იყვნენ ოფრეთიისა, ქობაირისა და ვარზაქარის ციხეები. ბაგრატ მე-4-მ კვირიკე მეფე ქუეშის ჭალას დააჭერინა და თმცა სომეხთა ერისთავები სამთავე ციხეს აძლევდენ, მაგრამ „შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა“ და ამიტომ სამშვილდის მეტი არა ჩამოურთმევია რა. სამაგიეროდ, საქართველოს მეფეს მონებდეს სომეხნი“ (ქართულ ერის ისტ. მე-2 449).

ამგვარად ამ „სომხითის“ დამოუკიდებლობაც მოისპო და მისი მეფენი საქართველოს მოხარკედ იქცნენ.

ამის შემდგომ თვით ტფილისიც კვალინდებურად საქართველოს მეფეს დაემორჩილა. 1968 წელს ბაგრატ „მე-4-მ ტფილისის ამირობა სითილ არაბს უწყალობა, მაგრამ თავის მოხარკედ გახადა და სხვა ციხე-ქალაქებიც ჩამოართვა (ქართველ ერის ისტ. მე-2, 455).

სელჩუკთა თურქთა შემოსევამ კავკასიაში და კერძოდ საქარველოშიაც გიორგი მე-2-ის მეფობაში გარეშე ძალისმიერ დაპყრობილი ქვემო ქართლის კუთხის შემოერთების პროცესი დროებით შეაფერხა: თურქობა კვლავ ტფილისს, სამშვილდეს, აგარანთს, რუსთავის დაეპატრონა. მათვე დაიპყრეს მთელი „სომხითიც“ ქართველი ერის ისტ. მე-2, 447-453). ამის შემდგომ ქართლის სამხრეთს ნაწილში „სომხითის“ მეფობის არსებობაც მოისპო. ამიტომ, როდესაც დავით აღმაშენებელმა. 1110 წ. ძევრნა და სამშვილდე კვლავ დაუბრუნა საქართველოს (იქვე 511), ხოლო ამის შემდგომ თავზარდაცემულმა თურქებმა უბრძოლველად დასცალეს „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი“ (იქვე 512), 1198 წელს კი ან მტერს ციხე ლორე და აგარანი წაართვა (იქვე 514). ეს უკვე ქართლის სამხრეთის ნაწილის სომეხთა ბატონობისა და მძლავრობისაგან განთავისუფლება კი არ იყო, — მაშინ ხომ „სომხითი“, ვითარცა პოლიტიკური ერთეული, უკვე აღარ არსებობდა, — არამედ სელჩუკიან თურქთა კლანჭებისაგან გამოგლეჯა. ამიერთგან მოყოლებული, მთელი ეს კუთხე, საქართველოს სამხრეთი ნაწილი, და ვით „სომხითი“-ც საქართველოს უცილობელ და განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა და სომხებს არასდროს აღარა სჭერიათ.



ძველ დროსაც რომ ქართველებს ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილის ე.წ. სომხითის უაღრესი მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვისათვის კარგად ესმოდათ და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ეს იქითგანაც სჩანს, რომ საქართველოს მეფეებმა ჯერ მიზნად ამ კუთხის უცხო ძალისგან განთავისუფლება დაისახეს, ხოლო შემდე, როდესაც ტფილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა ქართველთა ხელში იყო, თვით საქართველოს დედაქალაქის შემოერთებას შეუდგნენ. თვით ტფილისის აღების შემდგომაც „სომხითს“ საქართველოს მთავრობის თვალში თავისი დიდი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ „სომხითის ციხე ლორე“ საქართველოს ჯარის მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის „საჯდომ“-ად ანუ რეზიდენციად ითვლებოდა, უეჭველია იმ აზრით, რომ აქეთგან სამხრეთით მომავალი მტრისაგან საქართველოს დაცვა საუკეთესოდ შეიძლებოდა და აქ მცხოვრებ სამხედრო მინისტრს უფრო ფხიზლად ეჭირებოდა თვალი სახელმწიფოს ამ ფრიად მნიშვნელოვან საზღვრებზე.

### 3. საქართველოს ვითარცა მფარველი და თავშესაფარი სახელმწიფოს, მნიშვნელობა და მიმზიდველობა სომეხთათვის

დავით აღმაშენებლის (1089-1125 წ.) მეფობითგან მოყოლებული, საქართველო იმდენად ძლიერ სახელმწიფოდ იქცა. რომ მისი ზრდა შეუჩერებლივ წინ მიდიოდა მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედამდის. ვითარცა ერთად-ერთი ძლევამოსილი საქრისტიანო სახელმწიფო მცირე აზიაში, საქართველო მაჰმადიანთა მონობაში მყოფი სხვადასხვა ქრისტიანი ერების მფარველად და მხსნელად იყო. განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში და შევიწროებული იყო სომხის ერი, რომელიც ამიერკავკასიაში რამოდენსამე მაჰმადიანს სახელმწიფოს შორის განაწილებული და იმდენსავე სულტნის ან მთავრის (შირვანშის, არმუნშაჰის, კარის ამირას, რუმის სულტანის და სხვათა) თვითნებობას ემორჩილებოდა. მაშინ სომეხნი პირადადაც შევიწროებულნი იყვნენ და მათი სარწმუნოებრივი და ეროვნული ეკლესია ანისში მიზგითად იყო გადაკეთებული (მათე ურჰაელის ისტ. 451-445 ვარდანის მსოფლიო ისტ. 156-157 და ქართველი ერის ისტ. მე-2, 526, 527) ხოლო წირვის დარეკვის უფლებაც არ ჰქონდათ.

ამიტომაც იყო, რომ სომხობა ასეთი სიხარულით ეგებებოდა საქართველოს სამხრეთისაკენ ძლევამოსილს წინსვლას. ქართველთა ბატონობას მათთვის ფიზიკური განადგურებისაგან და მაჰმადიან მმართველთა აუტანელი და თავმოყვარეობის შემლახველი ძალმომრეობისგან ხსნა მოჰქონდა.

სწორედ მ დროს, დავით აღმაშენებლის, დიმიტრი 1-ლის, გიორგის მე-3-ის და თამარის მეფობაში, როდესაც საქართველომ მცირე აზიაში აზრუმის სულტანს მოახრევინა ქედი, ხოლო სპარსეთში, ქ.ყაზმინამდე და გურგანამდე მოაღწია, შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული, სომხებმა თავისუფად ამოისუნთქეს. მათ ძლიერი მფარველი ჰყავდათ. შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ქ. ანისის კულტრული და მოქალაქეობრივი უარესი აყვავების ხანა სწორედ ქართველთა პოლიტიკური ბატონობის დროს იყო. უეჭველია, საქართველოს ძლევამოსილმა წინსვლამ სამხრეთისაკენ სომეხთა ერს საუკეთესო საშუალება მისცა, თავისი ფიზიკური არსებობაც შეენარჩუნებინა და მომავალი განსაცდელის საბრძოლველად მოღონიერებულიყო.

**(გაგრძელება იქნება)**

## ერდოღანი: არაბული ქვეყნები ვალდებულები არიან, პალესტინა აღიარონ

**თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის განცხადებით, არაბული ქვეყნების მიერ პალესტინის დამოუკიდებლობის აღიარება არა ერთ-ერთი განსახილველი ვარიანტი, არამედ ვალდებულობაა.**



მან ეგვიპტეში მიმდინარე არაბული ლიგის შეხვედრაზე განაცხადა, რომ ერთი წლის შემდეგ მსოფლიო პალესტინს სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში იხილავს.

მანვე ისრაელს ახალი ბრალდება წაუყენა და განაცხადა, რომ ისრაელი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას ხელს უშლის.

როგორც ცნობილია, პალესტინელები ამზადებენ გაეროში წარსადგენ დოკუმენტს და მოითხოვენ პალესტინის გაეროს წევრ სახელმწიფოდ დაფიქსირებას. ამ გადაწყვეტილების მიღებას აშშ და ისრაელი ეწინააღმდეგებიან.

**„მედიანიუსი“**

# radgan samarTali ver vipove, gadavwyvite, Cemi dis cxedari prezidentis rezidenciasTan damesvenebina

1 სექტემბერს აბაშის სასამართლომ სოფელ ნაესაკოვოში მცხოვრებ გელა ელიავას აბსურდული ბრალდებით 30-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯა. იგი მანამდეც არაერთხელ გამხდარა აბაშელი ე.წ. სამართალდამცავების მსხვერპლი. რატომ გახდა გელა ელიავა პოლიციის სამიზნე, ამის შესახებ მან მორიგი დაპატიმრების წინ თბილისში ყოფნისას გვიამბო. იგი დამატებითი მასალების მოწოდებას დაგვპირდა, თუმცა ეჭვობდა, რომ პოლიცია ყველაფერს გააკეთებდა მის კვლავ ციხეში გამოსამწყვდევად.

გელა ელიავამ წლებია ვერ მიაღწია მისი დისა და დისშვილის მკვლელობების გახსნას და დამნაშავეების დასჯას. მისი და, ოთხი შვილის დედა ლია ელიავა 2001 წლის იანვარში დიღმის მასივში მდებარე მაღაზიაში მოკლეს,სადაც ის გამყიდველად მუშაობდა. სამი წლის შემდეგ კი მისი შვილი კახა მატკავაც მოკლეს.

**გელა ელიავა:** „ჩემ დას ჯერ სცემეს, შემდეგ კი „გეკოს" ტიპის იარაღით მოკლეს. ეს თუ ქურდობის გამო მოხდა, იმ მაღაზიაში ორი სხვა გამყიდველიც იყო, მაგრამ მათ არავინ შეხებია. ჩემი ინფორმაციით, ლია ძმებმა ტაკაშვილებმა მოკლეს, რომლებიც იმ პერიოდში პოლიციაში მუშაობდნენ. როგორც ჩემი დის თანამშრომლებმა მითხრეს, პოლიციის რომელიღაც მაღალჩინოსანი მათ ნარკოტიკს აყიდინებდა. ეტყობა, ეს ჩემს დასაც შესთავაზეს. ის არ დათანხმდა და ამიტომაც მოკლეს. ტაკაშვილები იმ კორპუსში ცხოვრობდნენ, სადაც ჩემი დის ცხედარი იპოვეს. სხვათა შორის, იმ დღეს ლიასთან ვიყავი. ჩემი წამოსვლიდან 20 წუთის შემდეგ მოუკლავთ. ეჭვი მაქვს, რომ მაშინდელმა პოლიციამ ეს საქმე ქრთამის აღების გამო ჩაფარცხა. ამ ყველაფერში ვფიქრობ, შოთა გენგაშვილიც მონაწილეობდა, რომელიც დღესაც მაღალ თანამდებობაზეა. მაშინაც და ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც არაერთხელ მივმართე პოლიცია-პროკურატურას, მაგრამ უშედეგოდ. დარწმუნებული ვარ, ვანო

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მერაბიშვილი იმიტომ არ დაინტერესდა ამ საქმით, რომ შოთა გენგაშვილი გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე ზედამხედველი პროკურორი იყო. როგორც დამთავრდა ეს საქმე, ყველას კარგად მოეხსენება.

2004 წლის მაისში მე და ჩემი მეორე და, ნანა ელიავა ლიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით თბილისში ვიყავით ჩამოსული, რა დროსაც ავტოავარიაში მოვყევით და ნანა სამუდამოდ დაინვალიდდა. ორი თვის შემდეგ ჩემი დისშვილის შიშველი სხეული ბაბუამისის ეზოში ხეზე ჩამოკიდებული იპოვეს. კახას ცხვირი და ნეკნები ჩამტვრეული ჰქონდა, თვალზეც ეტყობოდა დაზიანების კვალი. ის აშკარად ნაცემი იყო. ბიჭისთვის სახეზე მარილი დაეყარათ სახე რომ წაშლოდა".

- **ვის და რატომ უნდა მოეკლა კახა?**

- დიდი ეჭვი მაქვს, რომ ბაბუამისის, ბუკა მატკავას მოკლულია. მანამდე კახა დედის საფლავიდან



გაიტაცეს. სოფელ ზანათში, მდინარის პირას აწამეს და მოკვლით დაემუქრნენ. უფრო ადრე, კახა მაშინ არასრულწლოვანი იყო, პოლიციას ჰყავდა დაკავებული, რადგან ბაბუამისმა იგი პირუტყვის ქურდობაში ჩაითრია. ბავშვმა ყველაფერი მოყვა, რასაც მისი ოჯახის წევრები აკეთებდნენ და ეტყობა, ეს არ აპატიეს. სხვათა შორის, ჩემი დის მკვლელობის დროს მისი ყოფილი მეუღლე ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს. ჩემი და იმ პერიოდში ქმართან უკვე გაცილებული იყო, რადგან ძალზე ცუდად ექცეოდნენ, ხშირად სცემდნენ. ლია ტუბერკულოზითაც დაავადდა. ჩემი დისშვილის მკვლელობა იმ მიზეზით არ გაიხსნა, რომ აბაშის პოლიცია პირუტყვის ქურდებთან „შეკრული" იყო. აბაშის პოლიციის უფროს ლაშა აფშილავას ეს განცხადებაშიც ჩავუწერე.

- **როგორც ვიცი პოლიციამ რამდენჯერმე დაგაკავათ და ციხეშიც იჯექით. რა მოტივით დაგიჭირეს?**

- ჩივილი არ შემიწყვეტია. არაერთხელ მივმართე პრეზიდენტს და სამართალდამცავებს. რომ ვერ გამაჩერეს, პირველად 2007 წლის ივნისში დამიჭირეს, ვანო მერაბიშვილის მოადგილე ლევან გვაზავამ დამიჭირა. სახლში შემომიცვივდნენ, სერიოზული ბრალდება ვერ მოიგონეს, მაგრამ ადმინისტრაციული პატიმრობა მაინც მომისაჯეს. ისე ამ ამბიდან 2-3 თვეში გვაზავა თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გვაზავა კარგად მიცნობდა, რადგან ჩემი დის მკვლელობასთან დაკავშირებით ხშირად შემქონდა საჩივარი. ამ მიზეზით სხვა მხრივაც იძია ჩემზე შური. 2005 წლის მაისში ისანი-სამგორის ტერიტორიაზე ჩემი მამიდაშვილი კობა სტურუა მოკლეს. გვაზავამ ჩვენი ნათესაობის შესახებ რომ შეიტყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ მკვლელობას უამრავი თვითმხილველი შეესწრო, ყველაფერი გააკეთა, ეს საქმე რომ არ გახსნილიყო. ჩემს მამიდაშვილთან ერთად არასრულწლოვანი თეიმურაზ ნანეიშვილიც დაჭრეს. დედამისმა იცის დამნაშავის ვინაობა, მაგრამ ამით გამოძიება არ დაინტერესებულა.

ჩემი და მისი ყოფილი მეუღლის სოფელ სუჯუნაში დავასაფლავეთ, რაზეც ეს კაცი ძალზე უკმაყოფილო იყო. გადავწყვიტე ჩემი დის ცხედარი ნაესაკოვოში გადამესვენებინა. კუბოც შევიძინე, მაგრამ გადმოსვენების წინა დღეს ეზოდან მოიპარეს. რამდენიმე დღის შემდეგ დამწვარი კუბო მწყემსმა მინდორში იპოვა. პოლიციამ კარგად იცის ვინც ჩაიდინა ეს ამაზრზენი დანაშაული, მაგრამ ხელს არ ანძრევს. თავად მითხრა პოლიციის უფროსმა აფშილავამ ეს იმედო რუხაძემ, ლაშა კუჭუხიძემ, კუსა მიმინოშვილმა და ირაკლი კუპრეიშვილმა გააკეთესო. ესენი თურმე სხვებთან ერთად ქეიფობდნენ და მერე ვიღაცის წაქეზებით თუ პოლიციის დავალებით ასეთი ბარბაროსობა ჩაიდინეს. ცხადია, ამის შემდეგ ამ ხალხთან დაძაბული ურთიერთობა მაქვს. პოლიცია იმის მაგივრად, რომ დამნაშავეები დასაჯოს, აქეთ მიწყობს პროვოკაციას, რომ გამალიზიანონ და მერე ციხეში გამომამწყვდიონ. სხვათა შორის, ჩვენი სოფლის უბნის რწმუნებულმა დევი წულაიამ შემომთავაზა ნარკოტიკს მოგცემთ, ამ ბიჭების სახლში ჩადე და დაგვაჭერინეო. უარი ვუთხარი, თანაც რა გარანტია მქონდა, რომ პროვოკაციას არ მომიწყობდნენ და მე არ დამიჭერდნენ ნარკოდანაშაულისთვის. ჩემი დის საფლავი დღესაც ღიაა, გადმოსვენებას ვერ ვახერხებ. ამდენ უბედურებას სხვაც დაემატა. ჩემს ძმას სახლი დაეწვა. მისი აკვანში მყოფი შვილი ძლივს გადაარჩინეს. ჩემი ძმა იძულებული გახდა ლუკმაპურის საშოვნელად ყაზახეთში გადახვეწილიყო. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ მოკლეს.

მიხეილ სააკაშვილი აბაშაში რომ ჩამოვიდა(მაშინ მეორე ვადით ჯერ არ იყო პრეზიდენტად არჩეული), მინდოდა მივსულიყავი, ყველაფერი მეთქვა, მაგრამ პოლიციელებმა ახლოს არ მიმიშვეს, სასტიკად მცემეს, გარდაცვლილი დის და დისშვილის სურათები დამიმტვრიეს და წყალში გადამიყარეს. სააკაშვილს ალბათ, ეგონა, თავდასხმააო და მანქანიდან არც ჩამოსულა, უკან გაბრუნდა. ასე ნაცემი და დასისხლიანებული ჩვენი სოფლის რწმუნებულმა თამაზ კუჭუხიძემაც მნახა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მართალია, ამ ფაქტზე სს-ის საქმე აღძრეს, თვითმხილველებიც დაკითხეს, მაგრამ არავინ დაუსჯიათ. პირიქით, პროკურორებმა ბადრი შელიამ და ნინო კუპრეიშვილმა მასხარად ამიგდეს. ფრიდონ თოდუასაც შევხვდი, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე.

რახან სამართალი ვერაფრით ვიპოვე, გადავწყვიტე, ჩემი დის ცხედარი პრეზიდენტის რეზიდენციასთან დამესვენებინა. ამის შესახებ პრეზიდენტის კანცელარიას და პოლიტპარტიებსაც ვაცნობე. შედეგად ის მივიღე – 25-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მომისაჯეს.



გელა ელიავას განცხადებით, ქურდობაში ერთ-ერთი სავარაუდო ეჭვმიტანილის დედა ლამარა ჯღარკავამ განზრახ აუტეხა ჩხუბი, ნასვამმა თავი ვერ შევიკავე და შევეპასუხე, ათ წუთში დაბარებულივით გაჩნდა პოლიცია ჩემს ეზოში, დამაკავეს და პატიმრობა მომისაჯესო. მან ე.წ კაპეზეში მშრალი შიმშილობა გამოაცხადა, მაგრამ იმდენად ცუდად გახდა, რომ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გელა ელიავამ დახმარებისთვის ადამიანის უფლებათა დამცველ გიორგი თევზაძესაც მიმართა. თევზაძის თქმით, მათ ეს საქმე შეისწავლეს და რეაგირებისთვის მთავარ პროკურატურას გადაუგზავნეს. პროკურატურის გარდა ამ საქმით სერიოზულად დაინტერესებულა კუდ-იც. თურმე ამ ყველაფერმა სერიოზულად შეაფუცხუნა აბაშელი წესრიგის დამცველები და ამიტომ ეჭვობდა გელა ელიავა რაიმე პროვოკაციას მომიწყობენ და დამიჭერენო. როგორც ჩანს, რაიონის პოლიცია საკუთარ ტყავს ძალზე უფრთხილდება. ქურდობაში ასევე სავარაუდო მონაწილის ლაშა კუჭუხიძის და, რომელსაც ადრე აბაშის პოლიციაში უმუშავია, თურმე იმუქრება ლაშა აფშილავა ჩემს ძმას თუ დაიჭერს, პრობლემებს შევუქმნიო.

როგორც ნანა ელიავამ სატელეფონო საუბარში გვითხრა 1 სექტემბერს სწორედ ლაშა კუჭუხიძემ და საკუთარმა ძმისშვილმა უჩა ელიავამ გააღიზიანეს და ანერვიულეს. ეს ინვალიდი ქალი ამდენი უბედურების შემდეგ ნევროზითაც დაავადდა. ნანა ელიავა ლოგინად ჩავარდნილ დედასაც უვლის. ეს უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი გაურკვეველი მიზეზების გამო შემწეობის თანხასაც კი არ იღებს. „ისე გამამწარეს, თავი ველარ შევიკავე და ჩხუბი დავუწყე. მათ მაშინვე პოლიცია გამოიძახეს. გელა სრულიად უდანაშაულოა, ის საერთოდ არ ჩარეულა ამ კონფლიქტში, მიუხედავად ამისა, დაიჭირეს და 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. აშკარად პროვოკაცია მოგვიწყვეს. ჩემს დაჭერას ეტყობა, მაინც ვერ ბედავენ, რადგან პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ, გადაადგილება მიჭირს. სამაგიეროდ, ჩემი უდანაშაულო ძმა გამოამწყვდიეს გისოსებში", – განგვიცხადა ნანა ელიავამ.

**მანანა სუხიშვილი**

## ცაგარეიშვილი პარლამენტს რეპრესირებულთა შთამომავლებისა და „ატსტუპნიკების" ბედით დაინტერესებისკენ მოუწოდებს



**ახლად შექმნილი საპარლამენტო ფრაქციის – „ერთობა სამართლიანობისათვის"ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილი ბოლშევიკური რეპრესირების მსხვერპლთა შთამომავლებისათვის სახელმწიფო კომპენსაციის რაოდენობის გაზრდას ითხოვს. როგორც მან საშემოდგომო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში რეპრესირებულთა შთამომავლები მხოლოდ 200-ლარიან კომპენსაციას იღებენ.**

**"ქართულმა სასამართლოებმა მათ მხოლოდ 200 ლარის კომპენსაცია დაუწესეს. სასამართლოს კომპეტენციაში არ ვერევით, მაგრამ არ გვეგონა, თუ ასეთი მიდგომა იქნებოდა იმ ადამიანების მიმართ, რომელთა მშობლები თუ უახლოესი ადამიანები სასტიკ ბოლშევიკურ რეპრესიებს ემსხვერპლნენ. დღეს საქართველოში 12 000 ასეთი ადამიანი ცხოვრობს. ამ საკითხის განხილვას დავუბრუნდეთ, რათა მათი კომპენსაციის რაოდენობა გაიზარდოს", – მიმართა დეპუტატებს გიორგი ცაგარეიშვილმა. მან კოლეგებს "ატსტუპნიკების" თემით დაინტერესებისკენაც მოუწოდა და აღნიშნა, რომ 2012 წლის 1 იანვრიდან ათასობით ასეთ ადამიანს უსახლკაროდ დარჩენა ემუქრება. „ამ თემასაც აუცილებლად მივუბრუნდეთ, თორემ ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩება", – დასძინა გიორგი ცაგარეიშვილმა.**

**„მედინიუსი"**

26 მაისის სისხლიან ტრაგედიაზე ბევრი დაიწერა, მაგრამ ორიოდე დღის წინ ისევ გაცოცხლდა იმ დღის შემზარავი ფაქტები და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ლონდონელი ექსპერტის ექსპერტიზაზე დაყრდნობით, მიტინგზე გარდაცვლილი ერთ-ერთი გარდაცვლილის იდენტურობაზე დასკვნაც გამოაქვეყნა. „საერთო გაზეთის“ მკითხველს უნდა ახსოვდეს, როცა ვწერდი, რომ გარდაცვლილი ნიკა კვინტრაძე ჩემი მეგობრის მეუღლე იყო-თქო.

თუმცა არ დამიწერია, რა ვითარებაში შეიტყო ოჯახმა ოჯახის უფროსის გარდაცვალება და რა „ოპერატიული ღონისძიებები“ გაატარა მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნიკას მკვლელობის კვალის დასაფარად.

დავიწყოთ იმით, რომ ნიკა კვინტრაძეს არც ნინო ბურჯანაძე ეხატებოდა გულზე და არც მთლიანად „სახალხო კრება“. იგი უბრალოდ, კარგი ადამიანი, პატრიოტი და ჭირისუფალი იყო ამ ქვეყნის! ყველა მიტინგზე დადიოდა, იმიტომ რომ ოპოზიციურად იყო განწყობილი ამ ხელისუფლების მიმართ და მიუხედავად იმისა, რომ შვილი პატიმარი ჰყავდა, მაინც არ იკავებდა თავს საჯარო შეკრებებში მონაწილეობისგან და თავის აზრსაც თამამად გამოთქვამდა, როცა საჭირო იყო. მაისის აქციებზეც დადიოდა და 25 მაისის ღამესაც რუსთაველის პროსპექტზე დარჩა, არადა, ალბათ, მანაც დაინახა, მიტინგის „უმაღლესი მთავარსარდლობა“ უვნებლად როგორ გაიყვანა პროსპექტიდან მავანმა და შესაძლოა, იმაზე მეტიც დაინახა, რაც არ უნდა დაენახა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ნიკა კვინტრაძეს შვილი შაკო კვინტრაძე დღესაც პატიმარია და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, მამის გარდაცვალება, სწორედ შაკომ ამცნო ოჯახს ციხიდან!

ანუ ციხეში გამომწყვდეულმა ადამიანმა გარეთმყოფებზე ადრე იცოდა მომხდარი და ამით, ვფიქრობ, ყველაფერი ნათქვამია, რა და როგორ უნდა განვითარებულიყო, ანუ ე.წ. „ძიება“ კვინტრაძის საქმეზე!

ჩემი ინფორმაციით, სატელეფონო საუბარი მოკლე იყო, ასეთი შინაარსით: „მამას დენმა დაარტყა მეტრო „თავისუფლებასთან“, ახლა მორგში ჰყავთ გადაყვანილი და იქ მიდით!“ კვინტრაძეების ოჯახი 25 მაისის ღამიდან მოყოლებული ეძებდა ნიკას, მაგრამ თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ვერსად პოულობდნენ. მეგობრებიც ეძებდნენ, უფრო სწორად იმ ღამეს მასთან მყოფი მეგობრები, მაგრამ უშედეგოდ.. ერთ-ერთი მათგანი, ნიკას ბავშვობის მეგობარია და როცა ღამის თავსხმა წვიმა წამოვიდა, სწორედ მან ჩაუტანა რუსთაველზე სპორტული სტილის, მკლავებზე ზოლებიანი ჟაკეტი ნიკას, რომ არ გაციებულიყო. ჟურნალისტების მიერ გადაღებულ კადრებშიც ჩანს გარდაცვლილი ნიკა ჯერ მოკლემკლავებიანი პერანგით, ხოლო მოგვიანებით — ამ ჟაკეტით.

საგულისხმოა, რომ სწორედ ეს ჟაკეტი ფიგურირებს და აჩენს ბევრ კითხვას დღესაც, მაგრამ არავის მოსვლია თავში აზრად, რომ ეკითხა — გარდაცვლილი ნიკა კვინტრაძის იმღამინდელი ტანსაცმელი, დაუბრუნეს კი ჭირისუფალს მიცვალებულის ცხედართან ერთად? როცა ნიკას ქალიშვილმა პოლიციელებს ჰკითხა: „მამაჩემის ტანსაცმელს არ დაგვიბრუნებთ?“ მათ უპასუხეს „რაში გჭირდებათ?“ — რითაც მაშინვე მიანიშნეს, რომ არათუ დააბრუნებდნენ გარდაცვლილის ტანსაცმელს, არამედ სხვა კითხვების დასმასაც არ დაუშვებდნენ ჭირისუფლების მხრიდან და პატიმარი ძმის, შაკოს უსაფრთხოებასაც თავად გააკონტროლებდნენ! სწორედ ამიტომაა, რომ ნიკა კვინტრაძის ოჯახი არც ადრე და არც დღეს, მომხდარზე კომენტარს არ აკეთებს და საკუთარ უბედურებაზეც არსად, არავისთან არაფერს არ ამბობს! აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტანსაცმელთან ერთად, ნიკა კვინტრაძის არც მობილური ტელეფონი დაუბრუნებიათ „სამართალდამცველებს“ და აქედან გამომდინარე, დღემდე არავინ იცის, სიკვდილის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროში და თქვა, რომ: გარდაცვლილი კვინტრაძის სახე, ექსპერტს არასწორად აქვს ამოცნობილი და ის ადამიანი, ვისაც ეს ჟაკეტი ეცვა მე ვარო! მეტი „დამაჯერებლობისთვის“ კი ვიდეოკამერის წინ სახელოზე ზოლებიანი ჟაკეტი აავრიალა და დასძინა: „მე აქციების მონაწილე ვიყავი, მართალია იმ ღამეს კი დამაპატიმრეს, მაგრამ შემდეგ გამანთავისუფლეს, ახლა სახლში ვარ და მიკვირს, ვის რაში დასჭირდა ყოველივე?“

ძალიან კარგია ეს ახალგაზრდა რომ განთავისუფლდა და ჯანმრთელად არის, მაგრამ ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, ძვირფასო მკითხველო, რომ აქციის მონაწილეები კი არადა, თვითონ აქციის „მთავარსარდლობაზეც“ არაერთგვაროვანი შეფასებები გაკეთდა დან მეორე დღეს კი, როგორც შვილის გარდაცვალება გაიგო, გარდაიცვალა ნიკას მამა, ბატონი შალვა კვინტრაძე და როცა 26 მაისის სისხლიან ტრაგედიაზე საუბრობენ ზოგიერთები, ნუ დაავიწყდებათ, რომ კვინტრაძეების ოჯახს მათი ახირება და პოლიტიკური ამბიციები 2 კუბო დაუჯდათ მამა-შვილის სახით! და, ნურც ეს დაავიწყდებათ, რომ „წვიმა ყოველთვის არ შლის ნაკვალევს“, მათ შორის 25 მაისის უხეშ ნაკვალევს, რომელმაც ასობით უბრალო პატრიოტი ადამიანი დააზარალა და რომლებიც აქციაზე იმიტომ არ მოსულან, რომ ვიღაც „ბანოვანმა“, ანდა მიკირტუმა მაიმუნებმა ერთმანეთში იარჩევნონ.

რაც შეეხება ე.წ. ხელისუფლების რეაგირებას ახალგაზრდა იურისტების მიერ გამოქვეყნებული ნიკა კვინტრაძის იდენტურობის ექსპერტიზის შესახებ, რა უნდა ითქვას? ვიცი ის, რომ კვინტრაძეების ოჯახი ამის კატეორიული წინააღმდეგი იყო, რადგან ოჯახის წევრი პატიმარი ჰყავთ! ვინ არის და რა მამის შვილია გოკა გაბაშვილი, საქვეყნოდ ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ გაბაშვილმა „საიას“-ს მოუწოდა ბოდიში მოუხადოს საზოგადოებას, მაგრამ პატარა გოკას განაციონალებამდე გაზრდას მთელი საქართველო რომ ურწევდა აკვანს, ეს ვისი ბრალია? ცხონებული, დიდი ქართველი მწერალი ოთარ ჭილაძე ამბობდა: „ვინც გარეწარს ხელს ართმევს, თავადაც გარეწარია! გარეწრობა გა-

რენიც? არც ის უნდა ყოფილიყო გასაკვირი, ცემაში მოკლული ნიკა კვინტრაძე თავისუფლების მოედანზე, საცხობის თავზე დენდარტყმულად გამოეცხადებინათ ხელისუფალთ და არც ის უნდა გაგვკვირვებოდა, რომ ზოგიერთებმა დაპატიმრებულების, ნაცემების და გარდაცვლილების სხეულებზე გადავლით ახალი პოლიტიკური აღმასვლა რომ დაიწყეს.

სხვათა შორის, მეტრო „თავისუფლებასთან“ მდებარე სახაჭაპურე, რომლის სახურავზეც „დენდარტყმული“ ნიკა კვინტრაძის სხეული „აღმოაჩინეს“ პოლიციელებმა, წარსულში რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენის საკუთარი ძმის მკვლელის მოკვლისთვის რუსეთშივე გასამართლებული (9 წელი იჯდა ციხეში) ოლეგ ჟვანიას საკუთრება იყო! თვითონ ოლეგ ჟვანიაც რუსთაველის გამზირის №1 ცხოვრობს და ძალიან მაგარი კაცის სახელი აქვს სამეზობლოში.

ხოდა, 26 მაისს დილით მისულან „ზევიდან“ ბატონ ოლეგთან „ისინი“ და უთქვამთ: „გამოდი ტელევიზიით და თქვი, რომ შენი სახაჭაპურის თავზე დენის კაბელი გადახეხილი იყო, ხელოსნებიც გყავდა დაბარებული, მაგრამ „გადაგაგდესო“, თქვი, რომ სწორედ დღეს დილით ელოდებოდი სხვა ხელოსნებს, მაგრამ ეს უბედურება უკვე მოხდა და მოკლედ, შენ თვითონ იცი, როგორც უნდა თქვაო!“

გაგიკვირდებათ, მაგრამ „ვანოს ვოლკოდავრებს“ ბატონმა ოლეგმა მტკიცე უარი სტკიცა —



# wvima nakva l evs yove l Tvis ar S l is



ვისთან დარეკვას ლამობდა ცხონებული, ანდა ხომ შეიძლებოდა ისიც, რომ ტელეფონით რაღაც ტრაგიკული კადრები გადაეღო?

როგორც თავში მოგახსენეთ, პოლიციელებმა კვინტრაძეების ოჯახს გარდაცვლილის ტანსაცმელი არ დაუბრუნეს, არადა სააკაშვილის ხელისუფლების კაციჭამიებს მიცვალებულის ტანსაცმელი რაში უნდა დასჭირვებოდათ, ხომ საინტერესოა? ახლა მიამიტმა ადამიანმა, შესაძლოა, თქვას — როგორც ნივთმტკიცება, გამოძიებას ექნება დალუქული, სისხლი იქნებოდა ტანსაცმელზე, ანდა რაიმე დაზიანების კვალიო, მაგრამ ნუთუ ასეთი „უმნიშვნელო“ დეტალების გამოაშკარავებისა მოერიდა მერაბიშვილის და სააკაშვილის ისედაც სისხლიან ხელისუფლებას?

ჩემი ღრმა რწმენით, მოკლული ნიკა კვინტრაძის ტანსაცმელი ამ ხელისუფლებამ სწორედაც რომ შეგნებულად, უფრო შორს მიმავალი ზრახვებით დაიტოვა და აი, რამდენიმე ხნის შემდეგ უფრო სწორად კი 3 თვის შემდეგ ვიღაც მომიტინგეს ჩააცვა, აქაოდა ეს ჟაკეტი ჩემია და 25 მაისის აქციაზეც მე მეცვაო! როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური ცენტრის უფროსი შოთა უტიაშვილი ამბობს: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული .წ. „კვლევის“ და ექსპერტიზის შემდეგ მაისის აქციების მოაწილე ვინმე ბაქრაძე თავად გამოცხადდა

მთელი ამ ხნის განმავლობაში და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ყველა დროის და ყველა მთავრობის ხელში გამოვლილმა ნაბოზვრებმა თავად არ აღიარეს ის, რომ „ჩანერგილთა შორის ჩანერგილები“ იყვნენ? ამის დადასატურებლად მარტო გენერალ გია უჩაძის მშვიდი აღარებითი ჩვენებაც საკმარისია, რომ აღარაფერი ვთქვა დანარჩენებზე და მათ შორის იმ ახალგაზრდა ბაქრაძეზეც, რომელსაც ფიზიონომიაზე ეტყობოდა, რომ ტყუოდა და იმას ლაპარაკობდა, რაც ვანოს უნდოდა. უფრო მეტიც, საერთოდ გაუგებარი იყო ამ ახალგაზრდა კაცის გამოცხადებაც და ის უადგილო კომენტარიც, შინაგან საქმეთა სამინისტროში შვილთან ერთად რომ გააკეთა! ამ ყველაფერმა კი ერთი ორად გამიზარდა ეჭვები პირადად მე და სხვისი რა ვიცი? ნიკა კვინტრაძის მოკვლე-

დამდებია, შეხებითაც გადადისო!“ ახლა მოთვალეთ, ვის რამდენჯერ გაქვთ ჩამორთმეული ხელი გოკა გაბაშვილისთვის, მიხეილ სააკაშვილისთვის, ვანო მერაბიშვილისთვის, ნინო და ბადრი ბურჯანაძეებისთვის, პალიკო კუბლაშვილისთვის, გიგი უგულავასთვის და თუ გნებავთ, მათზე არანაკლებ გარეწარი ე.წ. ოპოზიციონერებისათვის და მიხვდებით, რომ ჩვენც არანაკლები გარეწრები ვართ, ასეთების ხუშტურებისთვის ჯერ ქუჩა-ქუჩა რომ დავწანწალებთ ყინვა-წვიმაში, თავებს რომ ვაცემინებთ და ვაკვლევინებთ ზონდერებს, ხოლო შემდეგ კი არჩევნებშიც რომ ვმწკრივდებით მათ „ოლიმპოზე“ ასაყვანად!

ყოველივე ამის შემდეგ განა გასაკვირია, ასე ცინიკურად, ასე თავხედურად, ასე უმოწყალოდ რომ გვექცევიან ერთნიც და მეო-

„ამდენი წელი კაცურად ვიცხოვრე და ახლა ჩემი გაბოზება ძალიან დაგვიანებულიაო“!- ამ სიტყვების შემდეგ „პატივცემულმა გვამებმა“ ოლეგ ჟვანია „იქ“, ვანოს ჯურღმულებში მიიყვანეს, მაგრამ „აღიარებინეს“ თუ არა საკუთარი მაღაზიის სახურავზე „გახეხილი სადენის“ არსებობა, რაღაც არ მახსენდება! შესაძლოა, ოლეგ ჟვანია დღესაც „იქ“ ჰყავთ და ნეტავ, ვინ ზრუნავს მის გასანთავისუფლებლად ნინო, ნონა, „ლიმონა“ თუ „დევნილობაში“ გადახვეწილი ბადრიი?

გუშინ ნიკა კვინტრაძე მოკლეს, ხვალ კიდევ მოკლავენ ვინმეს, ზეგ უფრო მეტს და ამასობაში ჰეეე... სისხლში დავიხრჩობით, სათითაოდ და შესაძლოა, ჭირისუფალიც აღარ გვყავდეს!

ასე რომ არ მოხდეს, ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა ნამდვილი და სიმართლის ხმამაღლა თქმა, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე! დროა, საქართველომ და ქართველობამ ბოლშევიკური ნომენკლატურის შთამომავალთა უღელიც ისევე გადაიგდოს, როგორც ადრე მრავალი დამპყრობლის უღელი გადაუტეხავს და იმის დროც მოვიდა, რომ ხალხმა ყოველგვარი ბელადების გარეშე მიიყვანოს ქვეყანა გამარჯვებამდე!

ამის მაგალითები უამრავია კაცობრიობის ისტორიაში და ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება, გასაკვირია, ღმერთმანი!

**ირინე გოგოსაშვილი**

# evr opis apoka l i f si

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოსა და კუნძულ უტოიაზე მომხდარი ტრაგიკული ამბებიდან მცირე ხანში რისხვის და აგრესიის გრიგალმა ახლა ლონდონს გადაურბინა.

მუდამ წყნარი, მელანქოლიურობამდე მშვიდი, კანონმორჩილი და აკურატული ლონდონი გააფთრებული ადამიანების სათარეშო ასპარეზად იქცა.





ლონდონი შიშმა და ქაოსმა მოიცვა.

მსოფლიოში ყველაზე საიმედო და ყველაზე ორგანიზებულ პოლიციად აღიარებული ინგლისური პოლიცია ვერ უმკლავდებოდა ნგრევის და განადგურების ექსტაზით შეპყრობილ ათასობით ახალგაზრდას, რომლებიც დაუნდობლად უსწორდებოდნენ მოქალაქეებს, ამტრევდნენ ვიტრინებს, პირწმინდად ძარცვავდნენ მაღაზიებს, წვავდნენ ავტომანქანებს, ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს.

**დიპლომატის ოჯახში გაზრდილი ნორვეგიელი მკვლელი ბრეივიკი გამოიქცა თითქოს ციხიდან და ამ ლონდონელი ახალგაზრდების სულსა და სხეულში ჩასახლდა.**

**კოლექტიური ბრეივიკი ბობოქრობდა ლონდონის ქუჩებში და ნორვეგიაში დაწყებულ ანგარიშსწორებას ახალი შემართებით აგრძელებდა.**

დამატებით 16 ათასი პოლიციელის გამოყვანა დასჭირდა ქალაქის ხელისუფლებას, რომ გამძვინვარებული ბრბო დაეშოშმინებინა.

ათასობით ადამიანი დააპატიმრეს, ქუჩები დახვეტეს და დაასუფთავეს, თუმცა არავინ იცის, კიდევ როდის ამოხეთქავს დაგუბებული რისხვა და როდის გადაუვლის სიძულვილის ტაიფუნი ძლივძლივობით დამცხრალ ქალაქს.

ევროპა, ევროკავშირი გაღვიძებული ვულკანების ზონად იქცა — ხან ერთ სახელმწიფოში ამოხეთქავს ვულკანი, ხან მეორეში, ხან მესამეში და თითოეული ასეთი ამოხეთქვის შემდეგ პოლიტიკოსი „სეისმოლოგები“ პესიმისტურ დასკვნებს და პროგნოზებს აკეთებენ — ვულკანები პერიოდულად ისევ ამოიფრქვევიან და მათი ნეიტრალიზების გზა ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

* * *

ამ ორიოდე წლის წინათ საფეხბურთო მოედანზე გამოსული საფრანგეთის ეროვნული ნაკრების თერთმეტი წევრიდან ცხრა შავკანიანი იყო, არადა, ნაკრებს ეროვნული ერქვა.

**რაც საფრანგეთში ხდება, იგივე ხდება ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც — ევროპა თანდათან შავდება, ყვითლდება, ვარდისფერდება, წითლდება, ჭრელდება.**

არცთუ ისე შორეულ წარსულში მხოლოდ თეთრკანიანებით დასახლებული ევროპის კონტინენტი მსოფლიო ხალხთა საერთაშორისო ბანაკად იქცა, საითკენაც უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ათიათასები და ასიათასები აზიიდან, აფრიკიდან, არაბული ქვეყნებიდან.

გერმანიაში არასრული მონაცემებით 5 მილიონამდე თურქი ცხოვრობს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ეროვნების წარმომადგენლებზე.

იმ ნორვეგიაში, სადაც ბრეივიკმა ცოდვის კალო დაატრიალა, ნახევარი მილიონი პაკისტანელი ცხოვრობს.

იგივე სიტუაციაა ინგლისშიც, სადაც ბოლო დროს განვითარებული დრამატული მოვლენების შემდეგ ინგლისის ხელისუფლებამ გმირები უწოდა ლონდონელ თურქებს, რომლებმაც კარგად ორგანიზებული თავდაცვითი ღონისძიებების შედეგად მოახერხეს თავიანთი ქონება ინგლისელი „ბოევიკებისგან“ დაეცვათ.

მოკლედ რომ მოვჭრათ, თურქებმა ლონდნოში „ომი“ მოუგეს ინგლისელებს, რის გამოც ინგლისის ხელისუფლებისგან დიდი შექება და გმირის ტიტული დაიმსახურეს.

რაც ლონდონში ახლახანს მოხდა, იგივე მოხდა ცოტა ხნის წინათ საბერძნეთში, უფრო ადრე პარიზშიც.

საკითხავია, რა დაემართა ამ წყნარ, კეთილდღეობასა და სამართლიანობის ეტალონად მიჩნეულ ევროპას და ევროპელებს?

— მადლობა ღმერთს, ეს საშინელება დამთავრდა, მაგრამ შიში მაქვს, რომ ის კვლავაც განმეორდება — თქვა ერთმა ლონდონელმა მოქალაქემ.

მან ბევრი თავისი თანამოქალაქის განწყობა გამოხატა ამ სიტყვებით.

არასტაბილურობის, მოსალოდნელი კატასტროფის მუდმივი განცდა დაეუფლა ევროპის კონტინენტს და ბებერ ძვლებში შიში შეუდგა.

* * *

**თითქოსდა საიდან სადაო, მაგრამ ევროკავშირსა და ყოფილ საბჭოთა კავშირს შორის პარალელების გავლება ნამდვილად შეიძლება.**




საბჭოთა კავშირი, მრავალ სახელმწიფოთა და ერთა „ნებაყოფლობითი“, „ძმური“, კავშირი, სხვა მრავალ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა შორის, ერთი უმთავრესი და უპირველესი მიზეზების გამო დაიშალა.



კერძოდ, ამ კავშირის ცენტრალური სახელმწიფო რუსეთი და რუსი ერი კავშირში შემავალი, „მოძმე“ ერების აქტიური და ენერგიული „შემოსევების“ წყალობით ამ ერებში გათქვეფის სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში რუსეთში უკვე აქტიურად გაისმა ლოზუნგი: „ასვაბადიტე ნას ატ ნაცმენოვ“ (გაგვათავისუფლეთ ეროვნული- უმცირესობებისგან). „პერიფერიებიდან“ ცენტრისკენ ანუ რუსეთისკენ დაძრული



ეროვნული უმცირესობების უზარმაზარი ლაშქარი — აგრესიული, ენერგიული, მიზანმიმართული — დამპყრობლურ ძალად იქცა, რომელიც რუსეთის მკვიდრ მოსახლეობას უტიფრად ავიწროებდა და „აჩმორებდა“.

**ეკონომიკის სფეროდან დაიწყეს და შემდგომ ეროვნული უმცირესობები ლოგიკში შეეჭრნენ რუსეთს და ნამუსი ახადეს.**

ხალხთა ძმობისა და მეგობრობის წმინდაწმინდა და ხელშეუხებელ პოსტულატად შერაცხული იდეის იმუნიტეტით აღჭურვილი ეროვნული უმცირესობების ინტერნაციონალური არმიები თანდათანობით იპყრობდნენ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სახელმწიფოს — რუსეთს.

ოცი წელი გავიდა საბჭოთა კავშირის დაშლიდან, მაგრამ რუსეთი დღემდე ვერ გათავისუფლდა „ნაცმენთა“, „კოლონიზატორულ-დამპყრობლური“ მემკვიდრეობისგან.

„რუსეთი-რუსებისთვის“ სულ ახლახანს გაისმა ეს სახიფათო და საგანგაშო მოწოდება.

ევროპა, ევროკავშირი თითქოს ხელახლა გადის იმ გზას, რომელმაც თავის დროზე საბჭოთა კავშირი დაშლამდე მიიყვანა.

**გლობალისტური იდეოლოგია, თანამედროვე „სოდომ-გომორი“, რომელიც თავისი არსით ფაქტობრივად არ განსხვავდება კომუნისტურ-ინტერნაციონალური იდეოლოგიისგან, კრახს განიცდის და მსოფლიოს ხალხთა ახალი დაპირისპირებისთვის ამზადებს.**

ბრეივიკის მიერ განხორციელებული სისხლიანი აქტი, მიმართული ევროპის ისლამიზაციის წინააღმდეგ, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფება რიგითი ევროპელი მოქალაქე, რომელსაც ბრეივიკივით ჯერ ხელი ავტომატისკენ არ გაქცევია, მაგრამ ეს საშინელი ნაბიჯი ყოველ წუთს შეიძლება გადადგას, გამომდინარე იმ სიტუაციიდან, რომელშიც ის იმყოფება.

* * *

**საქართველოში დღეს იგივე მდგომარეობაა, რაც ევროპის ქვეყნებში.**

**ბრმად, ხშირად დამახინჯებული ფორმებით გადმოტანილი ევროპული მოდელი კარს უხსნის ათასი ჯურის ბედის მაძიებელს ქვეყანაში შემოსასვლელად და დასამკვიდრებლად.**

არასრულყოფილების კომპლექსით დაავადებული ხელისუფლება, რომელსაც არასწორი წარმოდგენები აქვს სახელმწიფოს მშენებლობის საკითხებში და ჰგონია, რომ ქვეყანა ინვესტიციებით და ტურისტების შემოტანილი ფულით შეიძლება აშენდეს, ღიად და დაუფარავად ლობირებს უცხოელთა შემოსვლას საქართველოში, რაც ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის უფლებათა შევიწროვების და უგულვებელყოფის ხარჯზე ხდება.

**დღეს უცხოელი უფრო პრივილიგირებულ მდგომარეობაში იმყოფება საქართველოში, ვიდრე ქართველი.**

**თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში ქართველი ხალხი შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდეს.**

**აი, მაშინ რომელიმე ჭკუიდან გადასული ქართველი ბრეივიკი რომ გამოვარდეს „თავისუფლების მოედანზე“ არ გაგიკვირდეთ...**

**ვახტანგ ხარჩილავა**



# saqarTvelo agvistos oms Catexilli xidebiTa da dangreuli gzebiT Sexvda

## თენგიზ ჩხიკვაძე: — „სახეზეა უმძიმესი ანტისახელმწიფოებრივი დანაშაული“



გვესაუბრება ჟურნალისტური გამოძიების სააგენტოს „დრო და სივრცე“-ს დირქტორი თენგიზ ჩხიკვაძე.

— ბატონო თენგიზ, თქვენ იძიებდით რუსეთ-საქართველოს ომის წინ სტრატეგიული ავტომაგისტრალების ნგრევის საკითხს. გაგვაცანით მისი არსი...

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, სტრატეგიული ავტომაგისტრალების მოწესრიგება ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის უპირველესი ბალავარია. ჩვენთან კი რა მოხდა? ომის დაწყებამდე 2008 წლის 27 აპრილს გორის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, სტრტეგიული მნიშვნელობის 180 მეტრიანი საავტომობილო ხიდი (თბილისი-სენაკი-ლესელიძე) დაინგრა. ქვეყნის მოსახლეობა იძულებული გახდა ესარგებლათ ალტერნატიული, მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებიდან მწყობრიდან გამოსული ავტომაგისტრალით (ბათუმი-გოდერძის უღელტეხილი, სამცხე-ჯავახეთი-თბილისი). განადგურებულ ამ გზაზე მგზავრობა 18 სთ გრძელდებოდა. აღნიშნული ალტერნატიული სტრატეგიული გზა იქცა „გოლგოთად“ ქართველი ხალხისათვის.

აღნიშნულ ფაქტს ერთ თვეში – 28 მაისს მოჰყვა ზუგდიდის მიმართულებით (თბილისი-სენაკი-ლესელიძე) ცენტრალური ავტომაგისტრალის 1500 კვ.მეტრის ფართისა და 6 მეტრის სიღრმის მონაკვეთის ჩანგრევა. მიზეზად გაჩენილი მეწყერი დასახელდა. შეიზღუდა მდ. ჯუმაზე გადებულ ხიდზე მოძრაობაც. ჯერ კიდევ ამის შესახებ შ.პ.ს. „საგზაო მეცნიერების“ დირექტორი თამაზ ჭილაკაძე 2006-2007 წლის დასკვნაში წერდა: –„ჯუმასთან გადებული ხიდის ექსპლუატაცია დაუშვებელია“.

ამრიგად 5-დღიანი მსვლელობისას ქვეყნის ცენტრალური საგზაო მაგისტრალის სამი სტრატეგიული ობიექტი დაინგრა. ამგვარი დამთხვევა ეჭვს არ იწვევს?!

— ბატონო თენგიზ, ვის აწყობდა ამგვარი სიტუაცია?

— გზათა მდგომარეობა შესაბამისმა უწყებებმა კარგად იცოდნენ. ავიღოთ პირველი შემთხვევა გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენებული ლიახვზე გადებული ხიდის ჩანგრევა. მიზეზი იყო იქვე მდებარე ინერტული მასალების კარიერი, საიდანაც წყალს ინერტული მასალის ნარჩენები გაჰქონდა და წლების მანძილზე ხიდის ბურჯებს საძირკველს უნგრევდა. არც მაშინდელ ხელისუფლებას და არც დღევანდელს კარიერის გაუქმება არ უნდოდა. პირველად ხიდის მე-7 ბურჯმა 1 მეტრით ჩაიწია 1987 წელს ბურჯი აწიეს და გაამაგრეს, მიზეზი კი არ აღმოუფხვრიათ.

1988 წელს ხიდის რეაბილიტაციისთვის 4 პროექტი იყო წარმოდგენილი, ყველაზე ძვირი პროექტი მილიონნახევარი ჯდებოდა, ყველაზე იაფი – 500 000 საბჭოური მანეთი აირჩიეს შ.პ.ს. „ტრანსპროექტის“ დირექტორის დალი ტალიაშვილის პროექტზე –„ბურჯების საძირკვლების დაცვა ტეტრაპოდებით“, რომელთა გამოყენება მდინარეებში სპეციალისტთა აზრით, უცნობია. ამ საკითხზე ლაბორატიული კვლევა ენერგეტიკის ინსტიტუტს დაევალა. კვლევა არ ჩატარებულა, რეაბილიტაცია ისე გაკეთდა. აკადემიკოსი ზურაბ ორაგველიძე 1991 წელს დიაგნოსტიკურ ანალიზში წერდა –„ტეტრაპოდები არ მუშაობს, წყლიანი ინერტული მასალები კვლავაც ანგრევს ხიდის ბურჯების საძირკველს, საჭიროა ხიდის ბურჯების კლასიკური მეთოდით გამაგრება, დაუჯერეს მას და ხიდმა 2005 წლამდე იმუშავა.

ვარდების ხელისუფლების მოსვლისას მსოფლიო ბანკმა ცენტრ. ავტომაგისტრალების რეაბილიტაცია დააფინანსა, მაგრამ თანხები არამიზნობრივად გაიხარჯა. 27 აპრილს ჩანგრეული ხიდის გვერდით ინგლისიდან ჩამოტანილი 800 000 სტერლინგის ღირებულბის რკინის ხიდი დაამონტაჟეს. ასეთ ხიდს კი მაშინ აზერბაიჯანი გვჩუქნიდა, ხოლო უკრაინა 200 000 დოლარად გვაძლევდა.

დაზიანებულ ხიდს ყოველწლიურად (2005-2008 წლამდე), გზაფხულზე, წყალდიდობების უტარდებოდა ტეტრაპოდების გამოყენებით რეაბილიტაცია. ეს კი აკრძალული და მიუღებელია სპეციალისტთა აზრით.

ზუდიდის ჩანგრეულ გზას კი რაც შეეხება შ.პ.ს. „მოვლა-შენახვის“ ზუგდიდის საგზაო სამმართველოს უფროსი დემურ საჯაია ცენტრს გამუდმებით თხოვდა გეოლოგები გაეგზავნათ ნიადაგის შესასწავლად, რადგან გრუნტი მძიმდებოდა და სახიფათო ხდებოდა. ზემდგომები პასუხობდნენ –„2008 წლის არჩევნებია, გზა უნდა მუშაობდეს!“ გეოლოგმა ცეზარ ტოგონიძემ დადო დასკვნა „28 მაისს, გზის ჩანგრევის თავიდან აცილება შეიძლებოდა“. მალე ცეზარი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. აღნიშნულ გზაზე კი მეწყერ-საშიშროება დღესაც ამოსაძირკვია.

საკითხის საფუძვლიანი შესწავლით აღნიშნული ფაქტები შევაფასეთ, როგორც საბოტაჟი. დივერსიული განზრახვით ვიღაცას აწყობდა გორის ტრანზიტულ ქალაქად გადაქცევა, ვიღაცას აინტერესებდა თუ აფხაზეთიდან რუსების შემოტევა დაიწყებოდა, არ ყოფილიყო გზა მოსახლეობის ევაკუაციისთვის.

ფაქტები სახეზეა – ჩადენილია ორგანიზებული და უმძიმესი დანაშაული. ბრალს ვდებ ექს-პრემიერს ვლადიმერ გურგენიძეს, რომელმაც ამ საკითხის სახ. საგამომძიებლო კომისიაში თვით დანაშაულში უშუალოდ მონაწილენი შეიყვანა. რომან დალაქიშვილი (საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი) მისი მოადგილეები: გიორგი წერეთელი და ოთარ ლითანიშვილი, „ტრანსპორტის მფლობელი დალი ტალიაშვილი. კომისიის წევრებმა იმუშავეს ფორმულირებით –„ფორსმაჟორულ სიტუაციაში ხიდის ნგრევის მიზეზების შესწავლა“, რაც არასწორია. ყველაფერი ბუნებას გადააბრალეს და ხელი დაიბანეს. მე ბრალს ვდებ თითოეულ მათგანს, რადგან წლების მანძილზე შეგნებულად არ იმუშავეს, არ გაითვალისწინეს მეცნიერთა და სპეციალისტთა დასკვნები და არ დაიცვეს სახ. ინტერესები, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული გზები ომის დღეებში გამტარუნარიანი ყოფილიყო.

პროკურატურამ საქმე აღძრა სულ სხვა მუხლით, ვითომ მშენებელმა შ.პ.ს. „იბოლიამ“ გამოყოფილი თანხები არასწორად გამოიყენა. ამით პასუხისმგებლობა ააცილა დამკვეთ ორგანიზაციებს. წყალი კი სათავიდან იმღვრევა.

გამოძიება გრძელდება. ქვეყანაში სამართალი დაკარგულია. ვიცი, ობიექტურ განაჩენამდე მხოლოდ იმ ხიდის გამრთელება მიგვიყვანს, რომელსაც ილია „ხიდჩატეხილობას“ ეძახდა ზემდგომთა და ხალხს შორის.

**P.S. დროებითი ხიდი ლიახვზე მოიხსნა, რომელიც 5 მილიონ ლარზე მეტი დაჯდა. ხიდის რეაბილიტაცია დამთავრდა. კვლავ ტეტრაპოდების გამოყენება სურდათ. უძლიერესი ექსპერტის იური სლავინსკისა და ჩვენი ჩარევის შედეგად ეს პროექტი უარყვეს. ხიდის რეაბილიტაცია კი 15 მილიონზე მეტი დაჯდა. აი, რაში იხარჯება ბიუჯეტის მილიონები ჩადენილი დანაშაულებების დაფარვის გამო.**

**ლალი შაშიაშვილი**

# samegrelos soflebs amerikuli pepela Seesia

## mosaxleoba daxmarebas saxelmwifosgan iTxovs

საკურორტო ქალაქად გამოცხადებული ანაკლიის მიმდებარე სოფლებს ამერიკული პეპელა შეესია. მშველელი კი არსაიდან ჩანს. სურსათის უვნებლობის სამსახური პასუხისმგებლობას თავიდან იხსნის და პარაზიტებთან გამკლავებას მოსახლეობას საკუთარი ძალებით ურჩევს, რადგან საკარმიდამო ნაკვეთების მოსაწამლად სახელმწიფოს მხრიდან თანხები გამოყოფილი არ არის. რა მდგომარეობაა ამჟამად სოფლებში, რატომ გაუჭირდა სახელმწიფოს ამერიკულ პეპელასთან საბრძოლველად სახსრების გამოყოფა და რაში იხარჯება თანხა სამეგრელოში, ამაზე დაწვრილებით ქვემოთ მოგიყვებით.

სამეგრელოს სოფლებს: კახათს, დარჩელსა და თავად ქალაქ ზუგდიდს ამერიკული პეპელა შეესია. სურსათის უვნებლობის სამსახურში ყველაზე კარგად ამერიკული პეპლის განვითარების სტადია და მოსასპობად არსებული გზები იციან.

სახელმწიფო სახსრებით მოწამვლა მხოლოდ გზებსა და სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე ხდება, რაც საქმეს არ შველის. მოსახლეობას კი პარაზიტების მოსასპობად არც შესაბამისი ტექნიკა და არც წამალი გააჩნია.



„რომ ამბობენ, თქვენ თვითონ მოწამლეთო, ერთი ნახონ, რა ტერიტორიაზეა, როგორ შეესია მატლები სახლებსაც კი. ყველაფერი გაანადგურა. მომავალ წელს არანაირი შემოსავალი არ გვექნება. ნუთუ, ამას ვერავინ ხედავს? ამ პრობლემას ვინმემ რომ მიხედოს, არ შეიძლება? ნუთუ, ამ ქვეყანას პატრონი აღარ ჰყავს?! გვიჩვენონ, რა უნდა გაკეთდეს ასეთ პირობებში, როგორ შეიძლება საკუთარი ძალებით შეწამვლა. ერთი გვიჩვენონ, თავად როგორ შეძლებენ ხის კენწეროზე წამოსკუპებას და მოწამვლას,“ – აცხადებენ სოფლის მაცხოვრებლები.

სურსათის უვნებლობის სამსახურში იმასაც დასძენენ, რომ ამერიკული პეპელა ამჟამად განვითარების მესამე სტადიაშია. ამ სტადიაში მასზე საწამლავიც აღარ მოქმედებს, რადგან მას ბუსუსები აქვს გამოსული და წამალი კანის ქვეშ არ აღწევს. შესაბამისი ზომების მიღება უფრო ადრე, მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც პეპელა აბლაბუდებს იკეთებდა. სურსათის უვნებლობის სამსახურში განმარტავენ, რომ მათ ისღა დარჩენიათ, მოსახლეობას ამერიკული პეპლის მოსასპობად მხოლოდ რჩევები მისცენ. თუმცა ესეც ვერ შეძლეს, რადგან საინფორმაციო ბუკლეტები მოსახლეობას თვალით არ უნახავს. საბოლოოდ, რაოდენ სასაცილოდაც არ უნდა ჟღერდეს, არსებული ხელისუფლების გადამკიდე ადგილობრივებს მატლებთან დამოყვრება და მათთან ერთად დაძინება მოუწევთ. მომავალ წელს კი მოსახლეობა ერთადერთი შემოსავლის – თხილის გარეშე დარჩება, რადგან პარაზიტმა თხილის პლანტაცია გაანადგურა. საინტერესოა, რატომ არ აქვს ხელისუფლებას სახსრები გამოყოფილი მაშინ, როდესაც ეს პრობლემა ადგილობრივებს წლებია, აწუხებს, პარაზიტის ბუნება შესწავლილია და მისი მოსპობის წესებიც კარგად არის ცნობილი. თუმცა ხელისუფლებას ანაკლიაში ერთი დღის ზეიმის გამო ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი 540-მეტრიანი ხიდის აშენება და შემდეგ მისი დაშლისთვის სახსრები არ ენანება.

**თამარ კილაძე**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# Cai polo niumiT da saakaSvili da berezovski nebismieri megobrobas gemos gaufuWeben

**მოსკოვში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონის ვიზიტი გარღვევით არ დასრულებულა. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შესაძლოა ურთიერთობა ისეთ ფაზას დაუბრუნდეს, როგორიც არსებობდა ერაყამდე, „ფერად რევოლუციებამდე“ და რუსეთ-საქართველოს ომამდე, არ ყოფილა. ზოგიერთებს დაავიწყდათ, რომ კემერონი სააკაშვილის მხარდასაჭერად თბილისშიც ჩაფრინდა, მაგრამ ეს ამბავი პუტინს არ დავიწყებია – წერს მსოფლიო მასმედია. იყო სხვა მტკივნეული საკითხები – ლონდონში მცხოვრები კრემლის გალაღებული მტრები და რასაკვირველია, ლიტვინენკოს საქმე მისი „ეფესბესური ასპექტით“.**

The Guardian-ის მიმომხილველი კემერონის ვიზიტის შესახებ აქვეყნებს სტატიას სათაურით „ვლადიმირ პუტინისთვის დევიდ კემერონი სასარგებლო სულელია“. კემერონის მოწოდება რუსეთთან თანამშრომლობის საფუძველზე ახლებური მიდგომის შსახებ – ეს პრაგმატულობის გამოვლენაა, ვკითხულობთ წერილში. „რუსეთი – სტრატეგიული, გეოგრაფიული და ენერგეტიკული გიგანტია. ეს არ არის ლიბია, რომელსაც დასავლური გემოვნებით იძულებით გადააკეთებ.

პუტინი არ აპირებს, მადლობა უთხრას კემერონს პრაგმატულობისთვის; პირიქით, ამ ახალ მიდგომას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისუსტედ აფასებს, მიაჩნია მიმოხილველს. პუტინის შეფასებითვე, კემერონის ვიზიტი კიდევ



ერთხელ ამართლებს მკაცრ ტაქტიკას, რომელსაც რუსეთის ლიდერი ლიტვინენკოს მკვლელობის შემდეგ იყენებს.

პუტინისთვის კემერონი „თანამედროვე სულელია“, მით უმეტეს, რომ ბრიტანელმა პრემიერმა კორუფცია, სასამართლო თაღლითობები და ადამიანის უფლებები მიკიბულ-მოკიბულად ახსენა. „კემერონის მოგზაურობის შედეგად პუტინიზმის ფაქტობრივი ლეგიტიმიზაცია უკიდურესად არასასურველია“, – წერს ავტორი და ლიტვინენკოს საქმეს აისბერგის წვერს ადარებს. მიმოხილველი იხსენებს შარშანდელ დეკემბრის დარბეულ დემონსტარციებს, ÔÑÁ-ს უფლებების გაფართოებასა და ხოდორკოვსკის პროცესს.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსვლისას კემერონმა გაიხსენა 1985 წლის ზაფხული, როცა შავ ზღვაზე დასვენებისას, მის გადაბირებას, სავარაუდოდ, ÊÃÁ ცდილობდა. „საეჭვოა, პუტინს მოსწონებოდა ეს ამბავი, არადა, ორშაბათს კემერონი ისევ შეეჩეხა ÊÃÁ-ს პირისპირ – მოლაპარაკებები გამართა პუტინთან“, – ვკითხულობთ წერილში.

არც მოსკოვს და არც ლონდონს არ აქვს იმის ილუზია, რომ კემერონის ერთდღიანი ვიზიტი რამე განსაკუთრებულს მოიტანს. ურთიერთგულგრილობის მიზეზები ცნობილია: ბრიტანეთისთვის ეს არის ლიტვინენკოს საქმე, ხოლო რუსეთისთვის – იურიდიული ურთიერთობა და ექსტრადიცია. რუსეთ-ბრიტანული უთანხმოება დაიწყო 2003 წელს, როცა ბრიტანულმა სასამართლომ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა ბერეზოვსკის. „მაგრამ სწორედ ლიტვინენკოს საქმე აღმოჩნდა გადაულახავი წინააღმდეგობა. „ბრიტანეთის ოფიციალური პირები დარწმუნებული არიან, რომ ლიტვინენკოს მკვლელობა „ეფესბეს ასპექტი“ იყო, – წერს მიმომხილველი.

მოსკოვში ვიზიტისას კემერონი ისევ დაბეჯითებით მოითხოვდა ლიტვინენკოს სიკვდილის გამოძიებას, წერს Sueddeutsche Zeitung. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, ბრიტანეთის პრემიერის ვიზიტი ძირეულად ვერ შეცვლის მორღვეულ პოლიტიკურ ურთიერთობას. კემერონთან შეხვედრის შემდეგ მედვედევმა ლიტვინენკოს საქმის პოლიტიზების მცდელობას საფრთხილო უწოდა. მსგავსი საკითხები იურიდიულ სივრცეში უნდა გადაიჭრას, განაცხადა რუსეთის ლიდერმა და კიდევ ერთხელ აღნიშნა – კონსტიტუცია არ ითვალისწინებს რუსეთის მოქალაქეების უცხოური სახელმწიფოსთვის გადაცემას.

„ლონდონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა კარგა ხანია, უკიდურესად გამწვავებულია. კრიზისი მას შემდეგ დაიწყო, რაც დიდმა ბრიტანეთმა რუსეთელ ოლიგარქსა და ვლადიმირ პუტინის უპირველეს მტერს – ბორის ბერეზოვსკის თავშესაფარი მისცა. მოსკოვისთვის მოსაწონი არ აღმოჩნდა ის, რომ ლონდონში დასახლდა ჩეჩენი პოლიტიკოსი ახმედ ზაკაევი, რომელსაც მოსკოვი ტერორისტად მიიჩნევს“, – ვკითხულობთ გერმანულ გამოცემაში. ორმხრივ ურთიერთობას წყალს უყენებს ბრიტანული კომპანიის – BP-ის მოსკოვის ოფისში ჩატარებული ჩხრეკაც.

მიუხედავად ამისა, მედვედევი და კემერონი ურთიერთობის „გადატვირთვას“ ცდილობენ, უმთავრესად – ეკონომიკური თანამშრომლობის მეშვეობით.

**The Guardian**
**Sueddeutsche Zeitung**

# moskovi xmas miscems palestinis aRiarebas




„რუსეთი მხარს უჭერს პალესტინელთა ნებისმიერ მოქმედებას „გაეროს მოედანზე“, განაცხადა გაეროში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა. როგორც ცნობილია, პალესტინა აპირებს, გაეროს მიმართოს თხოვნით სახელმწიფოს აღიარების შესახებ.

„ჩვენ, რასაკვირველია, ხმას მივცემთ პალესტინელთა შემოთავაზებულ ნებისმიერ წინადადებას. ჩვენ მათ ვეუბნებით – რასაც თქვენ გადაწყვეტთ, ყველაფერში მხარს დაგიჭერთ. ეს არის თქვენი პოლიტიკური და დიპლომატიური სტრატეგიის საკითხი“, – აცხადებს რუსი დიპლომატი.

მისი აზრით, პალესტინელებისთვის ყველაზე იოლია, მიმართოს გაეროს აღიარების თხოვნით, რასაც ამ ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეკომენდაცია დასჭირდება. ჩურკინის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები არ მალავს, რომ ვეტოს უფლებას გამოიყენებს, ხოლო გაეროს უშიშროების საბჭოს სხვა ქვეყნებს შეუძლიათ, თავი შეიკავონ.

რუს დიპლომატს შესაძლებლად მიაჩნია, პალესტინელებს დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭონ: „ეს იქნება არა გაეროს წევრი-ქვეყანა, არამედ დამკვირვებელი ქვეყანა. მოვლენების ასეთი განვითარება სავსებით შესაძლებელია“, – აღნიშნავს იგი.

„ასეთი სტატუსის მიღებით პალესტინას შეეძლება გაერთიანდეს სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტში – მსოფლიო ბანკთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობა სხვა სიბრტყეზე განვითარდება. პალესტინას გაეროს შიგნითაც მიეცემა არაერთი საინტერესო შესაძლებლობა“, – აცხადებს ჩურკინი.

ასეთი სტატუსის მისაღებად პალესტინამ გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე 129 ხმა უნდა მიიღოს. დღესდღეობით, პალესტინის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა გაეროს 125-მა წევრმა აღიარა; ამიტომაც დიდია იმის ალბათობა, რომ პალესტინის მხარეს გაეროს არაწევრი ქვეყნის დამკვირვებლის სტატუსი მიეცემა.

**actualcomment.ru**

# libiaSi gamarjvebis Semdeg al-yaida kavkasiaSi gaCndeba

## saqarTvelo _ `Savi xvreli~ teroristTa gadasayvanad

**„რუსეთში ვითარების შესარყევად, ლიბიაში მებრძოლი ავღანელი და პაკისტანელი დაქირავებულები შესაძლოა, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკაში გადაისროლონ. ლიბიაში დღესდღეობით 4700-5000 გამოცდილი სამხედრო დაქირავებულია და მათი გადაბირება გრძელდება“ – ეს ინფორმაცია argumenti.ru-ს ჟურნალისტს რუსეთის ძალოვანი სტრუქტურის ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველმა მაღალჩინოსანმა მიაწოდა.**

მისი თქმით, „რუსეთის მეზობელ რესპუბლიკებში ასეთი ძალების გადასროლის მყარი „კორიდორები“ არსებობს. მაგალითად, თითქოს ჰაჯიდან დაბრუნების საბაბით, ხოლო იარაღით ადგილობრივად შეაიარაღებენ. არსებობს „შავი ხვრელიც“ – ეს არის საქართველო, რომლის გავლითაც, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით და ნატოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელი იქნება რამდენიმე ათასეული შეიარაღებულის გადაყვანა ყოველგვარი ზედმეტი შეკითხვის გარეშე. ამ აეროპორტს შეუძლია ნატოს სატრანსპორტო თვითმფრინავების მიღება“.

„შემდგომში დაქირავებულებს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში ინსტრუქტორების, დივერსიული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებად გამოიყენებენ“, – აცხადებს ოფიცერი.

მისი შეფასებით, „ეგრეთ წოდებული კადიროვის არმია, რომლის შემადგენლობაშიც არის: ჩეჩნეთის შსს არასაუწყებო დაცვის პოლკი (დაახლოებით 2 ათასი ადამიანი), რუსეთის შსს შინაგანი ჯარების 46-ე დივიზიის ორი ბატალიონი (დაახლოებით 2 ათასი), ჩეჩნეთის შსს სპეცდანიშნულების რაზმის პოლკი (დაახლოებით 1900), საპატრულო სამსახურის ორი პოლკი (დაახლოებით 3 ათასი) და სხვადასხვა ძალოვანი დანაყოფის კიდევ 3 ათასამდე ადამიანი „ბოევიკებს“ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს“.

„ამ არმიაში მეტისმეტად ბევრი ხალხია, რომლებიც კადიროვის პირად მეურვეობაში მართალია, ტყიდან მოხვდნენ, მაგრამ რადიკალურ ისლამისტებად დარჩნენ. როგორც კი ისინი ძალას იგრძნობენ, უკანვე დაბრუნდებიან“, – აღნიშნავს წყარო.

მისი რჩევაა, „რეგიონში სასწრაფოდ მოიმატოს ფედერალური დაქვემდებარების ძალოვანმა დაჯგუფებებმა“.

**news.argumenti.ru**



# მსოფლიო პრესის მიხედვით

**2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი მეგობრობის კრახიც აღმოჩნდა – ვაშინგტონელი მოკავშირეები არ ჩაერთვნენ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში და არ აღკვეთეს საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკარგვა. ამ საერთაშორისო დაპირისპირებიდან სამი წლის შემდეგ, პრეზიდენტ სააკაშვილს სურს, თავი ახალი მეგობრებით მოიწონოს, წერს Time. ესენი არიან მოზარდები – ეთნიკური ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, რომლებიც აფხაზეთის საზღვრიდან 5 კმ-ით დაშორებულ ანაკლიის ბანაკში ცხოვრობენ. მათთან შეხვედრისას სააკაშვილმა ამ ბანაკს „ოკუპაციის პასუხი“ უწოდა და განაცხადა: „ჩვენ ვქმნით ისტორიას“.**

# saqarTvelos emuqreba safrTxe, daemsgavsos klient-saxelmwifos, romelic mTlianad amerikazea damokidebuli

## usafrTxoeba turizmis meSveobiT _ pragmatuli idea Tu saakaSvilis morigi axireba piaris elementebiT



„სააკაშვილი ყოველთვის იოლად ქმნიდა ისტორიას“, – წერს ავტორი. იგი დესპოტთა რეგიონში დემოკრატის იმიჯით მოვიდა ხელისუფლებაში, აღიზიანებდა და აქეზებდა პუტინს და სამისოდ პოლიტიკური რეჟისურის დასავლურ მეთოდებს იყენებდა. „სააკაშვილმა ამერიკული ინტერესები დანერგა იმ ქვეყნის შუაგულში, რომლისთვისაც მეზობელი სახელმწიფოები, ჰეროდოტედან მოყოლებული, ერთმანეთს ეცილებიან. ესენი არიან სპარსელები, თურქები, რუსები“, – ვკითხულობთ წერილში. ახლა კი, როცა ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება, სააკაშვილის მომავალს მეზობელთა კეთილგანწყობა განსაზღვრავს. „მას სურს, მეზობლებმა საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობა დაამყარონ, მის კურორტებზე დაისვენონ და თუ კვლავ ომი გაჩაღდება, რუსეთს მხარს მაინც ნუ დაუჭერენ“, – ვარაუდობს მიმომხილველი. მეზობლებთან მეგობრობაზეა დამოკიდებული სააკაშვილის მემკვიდრეობის შენარჩუნებაც და შესაძლოა, ამ ქვეყნის ბედიც კი.

საქართველო თითქმის ყველა მეზობლისგან კავკასიის მთებით არის გამოყოფილი. ამ ადგილმდებარეობისთვის დამახასიათებელია უკიდურესად მტრულად განწყობილი ხალხებისა და ინტერესების სიჭრელე. ახლა კი სააკაშვილმა კავკასიაში მცხოვრებ ყველა ხალხთან დამეგობრება მოიწადინა. „თუმცა რუსები გამოცდილი ოსტატები არიან და იციან, როგორ წაჰკიდონ ისინი ერთმანეთს“, – ამტკიცებს ავტორი. ჩეჩნები საუკუნეებია ომობენ, მათ შორის ქართველებთანაც. „ახლა კი, განსაკუთრებით კადიროვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ჩეჩნეთი ისევ პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის“, – ესეც ავტორის მორიგი მტკიცებაა.

სააკაშვილი ცდილობს, მოეფეროს ჩეჩნეთისა და მეზობელი რეგიონების მცხოვრებთ: შარშანდელი ოქტომბრიდან მოყოლებული, რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა, საქართველოს საზღვარი ვიზის გარეშე გადაკვეთოს. „ამ ცალმხრივმა ნაბიჯმა მოსკოვი გააცოფა“, – წერს ავტორი. საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ეს ნაბიჯი უსაფრთხოების საწინდარია: თუკი ჩეჩნები დარწმუნდებიან, რომ საქართველოში მათ ყველა გულითადად უყურებს, ისინი იტყვიან: „ჩვენ იქ უკვე ვიყავით და შემდგომში აყალმაყალი და ძარცვა აღარ გვინდა“.

იდეა – „უსაფრთხოება ტურიზმის მეშვეობით“ – აზერბაიჯანთან და სომხეთთან ურთიერთობებსაც ეხება. კავკასიის ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფოს – საქართველოს განვითარებისთვის ამ ორ მეზობელთან სავაჭრო და ტურისტული კავშირის გაბმას სააკაშვილი „აბსოლუტურად საკვანძოს“ უწოდებს.

სააკაშვილს აბრალებდნენ ჩეჩენი ტოლვილების მიმართ მტრულ დამოკიდებულებას, თუმცა მოგვიანებით, როგორც ჩანს, მაინც მოახერხა მათი უმრავლესობის გულის მოგება – მოქალაქეობაც მიანიჭა და კანონის მიმართ თანაბარი უფლებებიც საქართველოში. ჯოჰარ დუდაევის ქვრივი ალა დუდაევაც კი ევროპიდან საქართველოში გადავიდა საცხოვრებლად. „ქართველები და ჩეჩნები ერთიანები ვართ“, – აცხადებს იგი ინტერვიუში. „ასეთ აზრს ავრცელებს სატელევიზიო არხი ÏÈÊ, რომელიც მთავრობის დაფინანსებული ამბიციური პროექტია. ეს არის ახალი ამბების დამოუკიდებელი წყაროს „ალ-ჯაზირას“ კავკასიური ვერსიის შექმნის მცდელობა“, – წერს ავტორი.

რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის პირობებში, „სააკაშვილი სამეგობრო ხელს უწვდის მეზობლებს და ეს არის არა მარტო თავდაცვა. იმის მტკიცებით, რომ ქართველები სხვა კავკასიელი ხალხების ძმები არიან, საქართველოს პრეზიდენტი იმაზე მიანიშნებს, რომ რუსები არ არიან მოკეთეები“, – აღნიშნავს ავტორი. იმავდროულად, საქართველოს ლიდერი, ბუნებრივია, უარყოფს, რომ რუსეთსა და კავკასიას შორის შუღლის გამძაფრებას ცდილობს.

ისე, ვინ ანაზღაურებს ანგარიშებს? – კითხულობს მიმომხილველი. „საქართველო უახლოეს მეზობლებთან დამეგობრებას ცდილობს და იმავდროულად და ძველებურადვე დიდად არის დამოკიდებული ვაშინგტონის გულუხვობაზე“, – განმარტავს იგი. თბილისი 2008 წლის ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილი ერთი მილიარდის ბოლო ტრანშს ხარჯავს. მთლიანი თანხა ძლიერი დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბებას არ მოხმარებია. „უჩვეულო შეთანხმების თანახმად, ამერიკული დახმარების მეოთხედი საბიუჯეტო ხარჯების დასაფარად გამოიყენეს. შედეგად, საქართველოს ემუქრება საფრთხე, დაემსგავსოს კლიენტ-სახელმწიფოს, რომელიც მთლიანად ამერიკაზეა დამოკიდებული“, – ვკითხულობთ წერილში. თუ საქართველო კიდევ ერთხელ ჩაებმება აფხაზეთთან ან სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტში, ანდა უფრო ავტორიტარული სისტემისკენ გადაიხრება, რუსეთიცა და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოც მიიჩნევს, რომ ამერიკა ამის უპირველესი ხელშემწყობი იყო.

„საქართველო ამაოდ ცდილობს, ამერიკული დახმარების გარეშე თავი გაართვას პრობლემებს. საამისოდ კი აუცილებელია რეგიონის საკვანძო ქვეყნის სტატუსის მოპოვება, აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია ვაჭრობის გააქტიურება, განსაკუთრებით – თურქეთთან და აზერბაიჯანთან. მეზობელი სახელმწიფოები საქართველოში ყიდულობენ ევროპიდან და აზიიდან შეტანილ მეორად ავტომანქანებს, რომელთა ყიდვა და რეგისტრაცია იაფიც არის და კორუფციული გარიგებებისგანაც თავისუფალია. „შეძლებს კი საქართველო, მსგავსი გამჭვირვალობა სახელმწიფოს სხვა სტრუქტურებშიც დანერგოს“, – კითხულობს ავტორი და იქვე განმარტავს: სააკაშვილის პირადი ძალაუფლება სხვა ოფიციალურ ინსტიტუტებზე უზენაესია, ხოლო მის პარტიას შესაბამისი ძალის ოპოზიცია არ გააჩნია. ავტორი იხსენებს სააკაშვილის პირადი ფოტოგრაფისა და სხვა ჟურნალისტების დაკავების ფაქტს ჯაშუშობის ბრალდებით. „ეს იყო ულამაზო და ტლანქი საქმე, მეტისმეტად დაშორებული იმ საქართველოსგან, რომლის აშენებასაც თითქოს სააკაშვილი ცდილობს“, – ვკითხულობთ სტატიაში.

თუ სააკაშვილს სურს, მეზობლები პატივს სცემდნენ, არ უნდა იყოს მათსავით ცინიკური და ავტორიტარული, მეტი გამჭვირვალობა და პროფესიონალიზმი მართებს, ასკვნის ავტორი.

**Time**

# sabWouri `patronaJis~ sistema soxumSi

## afxazeTis arCevnebi _ ruseTisadmi ndobis auqcioni

აფხაზეთის პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთში გამართული ვადამდელი არჩევნების შედეგები არავის გაჰკვირვებია. გაიმარჯვა ვიცეპრეზიდენტმა ალექსანდრ ანქვაბმა, რომელიც სამი თვის განმავლობაში სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობებს ასრულებდა. ანქვაბისა და მისი ორი მოწინააღმდეგის პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთს თითქმის ემთხვევა. როგორც თჰე ნეწ ყორკ თიმეს წერდა: „ვისაც არ უნდა გაემარჯვა არჩევნებში, იგი მოსკოვის წინაშე იქნებოდა ვალდებული“.

საქართველომ, რასაკვირველია, არ აღიარა არჩევნები, როგორც ოკუპაციის პირობებში თავისი სუვერენიტეტის დარღვევის გამოხატულება. იმავდროულად, აფხაზეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომელმაც აფხაზურ-ქართული ომის დროს იძულებით დატოვა საკუთარი სახლები, არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო.

სეპარატისტული რესპუბლიკის მესამე პრეზიდენტი იურისტია და რუსეთთან ახლო ურთიერთობის მომხრეა. იგი ებრძვის კორუფციას, მკაცრია და პრესასთან ურთიერთობა არ მოსწონს. 1992-1993 წლებში აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრობისას პოლკოვნიკი გახდა. ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, ერთხანს, მოსკოვში დასახლდა, სადაც ბიზნესმენობდა და აქტიურად ეხმარებოდა აფხაზურ კულტურას. სოხუმში დაბრუნებული სათავეში ჩაუდგა ოპოზიციურ მოძრაობა „აიტაირას“ („აღორძინება“), მიუხედავად ამისა, მაინც დათანხმდა შეთავაზებას და 2005-2009 წლებში ბაღაფშის მთავრობის წევრი იყო და პრემიერ-მინისტრადაც კი მუშაობდა. ხუთჯერ მოუწყვეს ტერაქტი, ორჯერ დაიჭრა; არც ერთი თავდასხმა არ გამოუძიებიათ და დამნაშავე არ გამოუვლენიათ.

ალექსანდრ ზოლოტინსკის ძე ანქვაბი – ეს უცნაური მამის სახელი რუსული წარმოშობის ინჟინერ ზოლოტინსკისგან ერგო მემკვიდრეობით, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში პირველი რეგიონული რკინიგზის მშენებლობას ხელმძღვანელობდა. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ თავის წინასაარჩევნო კამპანიისას თქვა: „რუსეთი იყო და კვლავაც დარჩება აფხაზეთის სტრატეგიულ პარტნიორად ყველა მიმართულებით“.

არჩევნების შემდგომ პირველ დღეებში გამარჯვებულს მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტმა მიულოცა, თუმცა მოსკოვი უფრო მეტად მხარს სერგეი შამბას უჭერდა (როგორც ჩანს, სიფრთხილეს იჩენდა და ანქვაბის მკაცრ და წინასწარგაუთვლელ ხასიათს ითვალისწინებდა), კონკურენტებს შორის დიდი განსხვავება არც ყოფილა.

ახლა აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოებით 250 ათასია. მისი დამოუკიდებლობა რამდენიმე ქვეყანამ აღიარა, მაგრამ აფხაზეთი მთლიანად მაინც რუსეთზეა დამოკიდებული. ამის გათვალისწინებით, მაინც ვერ ვიტყვით, რომ



ქვეყნის მთლიანი მოსახლეობა (რუსეთის მოქალაქეობის მქონენიც კი) მოსკოვის ხელდასმული ხელმძღვანელის მხარდამჭერია. თჰე ნეწ ყორკ თიმეს-ის შეფასებით, აფხაზები რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: ერთი მხრივ, მათ კარგი ურთიერთობა უნდა შეინარჩუნონ რუსეთთან და როგორმე თავი აარიდონ ანექსიას. ეს ვითარება საბჭოური „პატრონაჟის“ სისტემას ჰგავს: 2008 წლის ბოლოდან მოყოლებული, რუსეთი აკონტროლებს აფხაზეთის კავშირს დანარჩენ მსოფლიოსთან, ხოლო რუსები აფხაზეთის უძრავ ქონებას ყიდულობენ.

სოხუმი ჯერჯერობით არ აპირებს ცვლილება შეიტანოს კანონში, რომლის თანახმადაც, უცხოელებს (მათ შორის – რუსებსაც) არ აძლევენ უფლებას, მოახდინონ სტალინის, ხრუშჩოვისა და გორბაჩოვის ყოფილი სამთავრობო ვილების პრივატიზაცია. ამიტომაც მოსკოვი ითხოვს განმარტებას, სად დაიხარჯა აფხაზეთის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გამოყოფილი 362 მილიონი დოლარი.

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, ბოლო სამი წლის განმავლობაში თუ როგორ ზრდის რუსეთი თავის სამხედრო კონტინგენტსა და შეიარაღებას კვირის

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, ბოლო სამი წლის განმავლობაში თუ როგორ ზრდის რუსეთი თავის სამხედრო კონტინგენტსა და შეიარაღებას აფხაზეთის ტერიტორიაზე. ორიოდე კვირის წინ მედვედევმა სახელმწიფო სათათბიროს რატიფიკაციისთვის გაუგზავნა აფხაზეთთან დადებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მის ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას გაერთიანებული სამხედრო ბაზა (შესაბამის დოკუმენტს 2010 წლის 17 თებერვალს ხელი ორივე ქვეყნის პრეზიდენტმა მოაწერა). ამ ბაზის ოფიციალური გახსნა რუსეთელ სამხედროებს საშუალებას მისცემს, ლეგალურად გამოიყენონ უკვე არსებული სამხედრო ობიექტები და მათი მოდერნიზაციაც მოახდინონ. დღესდღეობით, რუსეთის დაჯგუფების შტაბი დისლოცირებულია გუდაუთაში და მათი რაოდენობა უკვე 1700 კაცია.

**geopolitika**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა გულბაათ ჭავჭავაძემ.**

**„ყოველი მართლმადიდებელი ქრისტეანისათვის, რომელიც გულისხმაჰყოფს რა ხდება მის გარშემო, ნათელია, რომ სოფელი აღსასრულს უახლოვდება. ნიშანნი ჟამთანი ეგზომ თვალსაჩინონი არიან, რომ შეიძლება ითქვას: სოფელი მოსწრაფებით ირღვევა.“**

*მღვდელმონაზონი*
*სერაფიმე როუზი, 1982 წ.*



# iveria mainc gabrwyindeba!!!

ლია ამანათაშვილი

თანამედროვე ტექნოლოგიურმა პროგრესმა საჯარო და ხელმისაწვდომი გახადა ისტორიისთვის ბევრი ისეთი რამ, რაც „გრიფით საიდუმლო“ ინახებოდა. დღეს უკვე საკმაო დოკუმენტური მასალა გამოაშკარავდა („სიონელ ბრძენთა ოქმები“; „სატანის ახალი აღთქმა“...) და დადასტურდა, რომ ნამდვილად არსებობს სატანის თაყვანისმცემელთა შეთქმულება, რომლის შემსრულებლებიც და ტაშის დამკვრელებიც აქამდე მასზე ხმამაღლა მოსაუბრეთ იქედნური ღიმილით შუასაუკუნეების ინკვიზიტორებს ადარებდნენ. „არა რაი არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“, ჩვენს აჩქარებულ დროში გამომჟღავნდა ის ნეგატივი, რასაც ორი ათასი წლის წინ წმინდა წერილმა „უსჯულოების საიდუმლო“ უწოდა. ეს დაცემული სულების შეთქმულებაა ადამის მოდგმის წინააღმდეგ, სარწმუნოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ. დღეს მისი საზოგადო სახელია მასონობა. „ჩვენ მასონები, - ამბობს ლოჟა „ლესინგის“ ალტმეისტერი ბროკლენი, - ლუციფერის მოდგმას მივეკუთვნებით...“ გამოაშკარავდა ისიც, რომ მასონობის მიზანია მსოფლიო იმპერიის, პოლიციური მონსტრის შექმნა და ანტიქრისტეს გამეფება, რომელიც მათ გაუფორმებს-დაუმტკიცებს რჩეულობას, ბატონობას სხვა ხალხებზე. ანტიქრისტე თავს ღმერთადაც გამოაცხადებს, მოახდენს რა ცრუ სასწაულებს, მოხიბლავს შემზადებულ, ტვინგამორეცხილ ადამიანებს და მოითხოვს აღიარება-თაყვანისცემას, რაც სინათლის ყოფილ მთავარანგელოზს — ლუციფერს ეწადა — დავიდგა ტახტი და თაყვანსმცემდნენ, როგორც შემოქმედსო. მასონობა თავის ღმერთს სამყაროს დიდ არქიტექტორს და შემოქმედს ეძახის, ლუციფერი, იგივე სატანა, ჯოჯოხეთის არქიტექტორი და შემოქმედია და მის თაყვანისმცემლებსაც იქ მისცემს „მიწებს“...

რატომ უნდა ერთ ადამიანს მეორის დამორჩილება, ან რატომ გაურბის სხვის სახლ-კარ-მიწაზე სიხარბით თვალი და თავისი წილხვედრილის სიკეთით ვერ კმაყოფილდება; ოდითგან რატომ დაიძვრებოდნენ-ხოლმე დედამიწაზე ერთნი მარცხნივ, მეორენი მარჯვნივ დასაპყრობად, წასაგლეჯად და საერთოდ, რატომ მოსდით ერთნაირი ბოროტი აზრები პოლარულად განსხვავებულ ადგილებში მცხოვრებ ადამიანებს - დღემდე ერთი სუფლიორი ჰყავთ — სატანა.

კაცობრიობის ისტორიის სრულად დანახვა სამგანზომილებიან დროში არც ისე ადვილია. გუშინდელი დღე-წარსული, სიშორის გამო დავიწროვებულია და როგორც ფიგურის გვერდხედი ისე ჩანს, დღევანდელი დღე წინხედის მოცულობით მეტის დანახვის საშუალებას იძლევა, მაგრამ ამ ორ განზომილებაში ვხედავთ მხოლოდ სიბრტყის კოორდინატებს, მოვლენას ზევიდან თუ არ დავხედავთ, სრულ სურათს ვერ წარმოვიდგენთ - სად, რომელ თხრილში თუ წუმპეში რატომ ჩავვარდით, სრულ ანალიზს ვერ გავაკეთებთ, და ვერც მომავალში წინმდებარე უფსკრულებს და ხევებს ვერ განვსაზღვრავთ და შთავცვივდებით. ზევიდან, მესამე განზომილებაში ხედვა მოვლენების არსის სულიერი თვალით ხედვაა. ზევით ასასვლელი კიბე გულიდან იწყება, სადაც უფალმა სასუფეველი ჩააპროგრამა-ჩაწერა, როგორც საწყის 0 წერტილში, გულში კი სინანულის გზა ჩადის. ჩვენი ღირსეული სინანულის შემდეგ უფალი სანაცვლოდ აუცილებლად გვაძლევს ნუგეშს - სულიერ თვალს გვიხელს და გვაჩვენებს გულის მინი სასუფევლიდან ცათა სასუფეველში ამავალ კიბეს, ეს არის ის მესამე ღერძი. ამ კიბეზე ასვლით შეიძლება გადმოხედვა და სრული სურათის დანახვა ერთდროულად მარცხნივ და მარჯვნივ, თუ კულისებში, ანუ დაფარულში. მხოლოდ მართლმადიდებლობის მსოფლმხედველობრივი „სათვალით“ შეიძლება სამივე განზომილებაში კაცობრიობის ისტორიის სერიალის ნახვა. რატომ მხოლოდ მართლმადიდებლობის სათვალით? სრულყოფილ ცოდნას სამყაროს შექმნიდან ვიდრე აღსასრულამდე სულიწმიდის მადლით მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას აძლევს და აღიარებს უფალი. ყოველ წელიწადს, აღდგომას, ღვთიური ცეცხლის მართლმადიდებელი პატრიარქისთვის მიცემით ყველა ხედავს უფლის მინიშნებას - „ამისი ისმინეთ“. ვინც თვალით უყურებს და „ვერ ხედავს“ მისი სულიერი თვალის პრობლემაა, ვინც ხედავს და არ აღიარებს — მისი არჩევანი.

წმინდა წერილიდან ვიცით, რომ ღვთის დაშვების გარეშე თმის ღერი არ ჩამოვარდება ადამიანს; ჩვენივე სანუგეშოდ წმ. გარდამოცემით ისიც ვიცით, რომ ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია და როგორც უფალი დაჰპირდა ყოვლადწმინდა დედას — „ერი ესე საზეპურო მომავალში გაბრწყინდების“. მაშინ რატომ ვართ ასეთ დღეში, რატომ დავდივართ ერთი და იგივე წრეზე ხან მარცხნივ და ხან — მარჯვნივ, თითქოს ჩვენს კუდს დავდევთ. სინანულის გზით თუ არ ავედით ზევით, სულიერ თვალთან, სრულ სურათს ვერ დავინახავთ — რა რისთვის და რატომ დაუშვა ჩვენს თავს უფალმა, სად განსაცდელია და სად სასჯელი, თუ ორივე ერთად. ისტორიაში ბევრი რამ მეორდება. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობაც ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლას ჰგავს. ულმერთობის 70 და რუსეთის 200 წლიანი მონობიდან გამოგვიყვანა უფალმა და აღთქმულ, „გაბრწყინებულ ივერიაში“ მივყავართ, მაგრამ ვინ მივა იქამდე და ვინ არა, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. სანამ გამოყოლილ კერპთაყვანისმცემლობის მენტალიტეტს არ მოვიშლით — აბა, ზვიად გვიშველე; არიქა, ედო გვიშველე; მიშააა გვიშველე და ეხლა კიდევ „ნატო“ გვიშველე და კატო გვიშველეს არ მოვეშვებით, ზევით არ ავიხედავთ და არ ვეტყვით — ღმერთო, გვიშველე — მანამდე გვატარებს უფალი ერთი და იგივე წრეზე, ვიდრე არ დარჩება ღვთის წყალობათა დამნახველი და დამფასებელი ხალხი. რაც დღეს საქართველოში ხდება, ამტკიცებს, რომ პოლიტიკა ნამდვილად ბინძური საქმეა — როცა მას ბინძური ადამიანები აკეთებენ. ისტორიული ფაქტია - ქართველები უკიდურესობამდე ნიჭიერები ვართ ყველაფერში, კარგშიც და ცუდშიც. მაშინ, როცა მსოფლიოში 26 საუკუნე ანტისემიტიზმი სდევნიდა ებრაელობას, საქართველოში რწმენაც და ეროვნებაც დაცული ჰქონდათ ქართველთა ღმრთივმომადლებული ტოლერანტობით, და მაშინაც, როცა მსოფლიოს არც ერთ, თუნდაც დამწერლობის მქონე - არა თუ „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელ ერს არ გაუკეთებია ის, რაც საკუთარ ხალხში საკუთარმა თავად-აზნაურობამ გააკეთა - საუკეთესო, ჯიშიან გოგო-ბიჭებს ჰპარავდა მშობლებს სტამბულის ბაზარზე გასაყიდად. მერე ეზიარებოდნენ კიდევაც და იმ ფულით ალბათ „ქველმოქმედებასაც“ ეწეოდნენ. ასეთი უკიდურესად ნიჭიერი მადლშიც და ცოდვაშიც, კარგშიც და ცუდშიც „განა არის სადმე ერი?“ რა თქმა უნდა, პოლიტიკის სიბინძურეც ნიჭიერად და გამომგონებლურადაც ავითვისეთ და ჩვენი ხასიათის კიდევ ერთ, „ბუნებრივ ნაკლს“ თუ გავითვალისწინებთ ცხონებული გურამ პატარაიას სიტყვებით, - „ქართველს თავის ტოლფასოვან მტრად მხოლოდ ქართველი მიაჩნია“, უკვე გასაგები გახდება რა შინაარსის სერიალი მიდის დღეს საქართველოს ისტორიაში.

დიდი ხანია ცხადია, რომ პოლიტიკა ის კი არ არის რასაც ლაპარაკობენ, არამედ ის, რასაც არ ლაპარაკობენ, ანუ რასაც ფიქრობენ, და რას ფიქრობენ ჩანს იმაში, თუ რას აკეთებენ — „ხე ნაყოფით გამოიცნობა“. იქიდან, რასაც დღეს საქართველოში აკეთებენ, ბრმა და ყრუ უნდა იყო, რომ ვერ დაინახო — საქართველოს „დალუქვა“ მასონთა გეგმებში წამყვანი საკითხია, რადგან ამ მიწას აქვს განსაკუთრებული ფუნქცია — მისია დედამიწაზე!.. ეს ტერიტორია დაჯავშნულია უფლის მიერ უპირველესად ილია წინასწარმეტყველის ხალენით, უმეტესად ღვთისმშობლის წილხვდომილობით და უპირატესად, უფლის კვართით. „კოსმოსურმა თანამგზავრმა დააფიქსირა დედამიწიდან ამავალი სინათლის ორი სვეტი, ერთი — იერუსალიმში უფლის საფლავიდან და მეორე — მცხეთის სვეტიცხოველში, უფლის კვართიდან. აქ დაფლული უფლის კვართი არის დედამიწის ჭიპლარი, აქედან გაედინება-გასხივდება მსოფლიოში სიყვარული (ამიტომ აქვს ნოსტალგია ამ მიწიდან წასულ ყველა ეროვნებას ერთნაირად — როგორც დიდ დოზას მიჩვეულს მცირე დოზები არ აკმაყოფილებს; გარეთ სიყვარულის უკმარისობის განცდა აწუხებთ იმათ, ვინც ეს აქ შეიგრძნო-შეისუნთქა, თორემ რამდენიც გინდა, აქ არის და ვერ გრძნობს). „საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს.



ჩვენს ერს მიცემული აქვს უდიდესი სიყვარულის ტალანტი და თუ ჩვენ ეს ძალა არ გამოვიყენეთ, როგორც იონა წინასწარმეტყველი ჩაყლაპა ბოროტმა, ისე შთაინთქმება ჩვენი ერიც“ - ხშირად იმეორებდაო მამა გაბრიელი. ამ წყაროს სათავის დალუქვას ესწრაფვიან მასონები, რადგან ანტიქრისტე ვერ შემოვა, მანამ მსოფლიოში სიყვარული იქნება, რადგან ესენი იცნობენ მის სიცრუეს-სიყალბეს (ნამდვილი თუ არ იცი, ყალბს ვერ შეიცნობ და ადვილად იყიდი „მეგრულს ინგლისურად“, როგორც იმ ციმბირელებმა იყიდეს); და „რა სიყვარული განხმეს“ ანტიქრისტეს შემაკავებელი ალარაფერი იქნება. ამ დამაბრკოლებელი ციხე-სიმაგრის აღება-დაბლოკვა დღევანდელი მასონობის სტრატეგიული ამოცანაა. ამისთვის დაიწყეს 2008 წლის აგვისტოს ომი, რომ აქედან აეგორებინათ ზვავივით მესამე მსოფლიო ომი და ეს წყაროც დალუქულიყო და ივერიის გაბრწყინებაც ჩაშლილიყო. მადლობა ღმერთს, რომ კაცნი კი გეგმავენ, მაგრამ უფალი განაგებს.აგვისტოს ომში გაიმარჯვეს ქართველმა წმინდანებმა! მათი ლოცვა შეიწირა უფალმა და ბოროტის ზრახვები ჩაშალა, და მასონებმა მესამე მსოფლიო ომის დაწყება საქართველოდან ვერ შეძლეს. მათ გამარჯვებასსაა რომ იჩემებს და იბრალებს ეს მასხარა. (სატანა უფლის მასხარაა. მას ნამდვილის შექმნა არ შეუძლია და იჩემებს სხვის შექმნილს, ან აკეთებს იმიტაციას. ასე არიან ეს სომხებიც, სულ ჩვენის მითვისება მოთხოვნილებად რომ ექცათ, მჟღავნდება, ვისი ჩამოსხმაც არიან). ჩვენი ისტორიის შემხედვარეთ დღემდე უკვირთ — როგორ ამაცხებდნენ ქართველები ასჯერ მეტ მოწინააღმდეგეს, უკვირთ წმ. გიორგის ხილული შემწეობა ქართველთა ჯარისთვის, დღესაც ასე უკვირთ - ამდენი ხილული თუ უხილავი „დაბომბვის“ შემდეგ კიდევ როგორ დგას ფეხზე საქართველო. კიდევ რითი ვუძლებთ თუ არა ღვთისმშობლის შემწეობით, ეს არის ის რაღაც, რაც უნდა იწამო, რომ დაინახო...

მაგრამ რაც ბოლო ოცი წელია ჩვენს თავს ხდება, არა მხოლოდ განსაცდელია, ჩვენივე ცოდვების სასჯელიცაა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ გამსახურდიამ მართლაც აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა მიიღო და ამით დაიმედებულმა მალევე გამოამჟღავნა, რომ 1979 წლის სატელევიზიო მონანიება იყო გათვლილი ნაბიჯი - მასონთა წინადადების მიღებით და მათი გამოყენება-ხელშეწყობით თავისი მიზნის მისაღწევად; ეს გავდა ქართველი მეფეების მცდელობას — ირანის ჩალმის ქვეშ ქართული საქმე ეკეთებინათ, მაგრამ ჩვენს დამოკლებულ სივრცესა და დაჩქარებულ დროში სწრაფად გამოაშკარავდა, რომ ის „ჩალმიანი“ პატრიოტი დარჩა და არც არასდროს გახდებოდა კოსმოპოლიტი და როგორც დასვეს, ისე გამოაცალეს ტახტი. ამისთვის წარმოებულმა სამოქალაქო ომმა და იმ ბზარმა ყველა ქართული ოჯახის გულზე გაიარა... სახარებაში უფალი ამბობს - „ვერვინ შემძლებელ არს მსახურებად მამონასა და უფლისა“ — იქ არ წერია ამ თუ იმ შემთხვევაში, ვერავინ ე.ი. ვერავის ვერ შეუძლია ემსახუროს უფალსაც და მამონასაც; თუ უფლისკენ არ მიდიხარ მის საწინააღმდეგოდ მიდიხარ, ერთდროულად მარჯვნივ და მარცხნივ სიარული შეუძლებელია. ამიტომ მოიხადა ის ჩალმა ვახტანგ VI-ემ და მარ?ლმადიდებლობას დაუბრუნდა, „რა სარგებელია ქვეყანა შეიძინო, სული კი წარიწყმიდო“... მერე ჩაგვისვეს თავიანთი გამოზრდილ-გამოცდილი კადრი შევარდნაძე. მასაც ეგონა, მისი „მელური გამჭრიახობის“ დამსახურება იყო რომ მასონებმა „საქართველო უქართველებოდ“, ვერ შეასრულეს და მისი ერთი ნაბიჯის - წინ საქართველოსთვის (და ორი უკან მასონებისთვის), ძალიან მადლობლები უნდა ვიყოთ თურმე. მაგრამ ნაყოფიდან ჩანს, რომ სწორედ მათი პროგრამა შეასრულა, როცა რუსთაველის პროსპექტით დაწყებული ქვეყანაში ყველაფერი მისაფუძვლადმდე დაანგრია.

მერე როგორც ნახმარი, „ჟღვინტლიანი პლატოკი,“ ისე მოისროლეს. „მე მიღალატა დასავლეთმაო“ - „გულდაწყვეტილმა“ მიაწერა თავისი შვილიშვილისთვის ნაჩუქარ წიგნზე (ე.ი. მე გადავყევი და იმათ კიდევ როგორ გამომაპანღურესო), ეს მამონას სტილია — გამოგიყენებს და დამცინავად ხელსაც გკრავს კლდეზე. შევარდნაძე შეგნებული მსახური იყო მამონასი და „ჯილდოც“ არ დაუგვიანეს... შევარდნაძის სააკაშვილით შეცვლა ფირნიშის შეცვლა იყო მხოლოდ. მის ხელდასხმულ სააკაშვილს ოპოზიციონერობა რომ არ გაეთამაშებინა ვინ გაბრიყვდებოდა. დასავლეთში ოხრადაა ინსტიტუტები, რომლებიც ჩვენზე კარგად სწავლობენ ერის ისტორიას, ხასიათს, მიმდინარე მდგომარეობას, ამის მიხედვით წერენ სცენარებს. მიშას ისიც კი გაწერილი აქვს სცენარში სად ჩაი დახვრიპოს და სად — ბორშჩი. რა ნაყოფიც დაისხეს ჩანს, რომ ეს ქილერები გამიზნულად ანგრევენ ყველაფერს ეროვნულს და ფესვიანს. თავიდან ნათელაშვილმა იყვირა — ჩემი ლოზუნგები მოიპარაო, მაგრამ იმათთვის სულ ერთია ნათელაშვილი იქნებოდა თუ ნათაძე, იმ პერიოდში ყველაზე მაღალი რეიტინგი ნათელაშვილს ჰქონდა, აიღეს და გადაქაჩეს მისი პოლიტმოგება. ბოროტი ხომ მხოლოდ ფალსიფიკატორია. დასაწყისში იქნებ ამასაც უნდოდა რამე კარგის გაკეთება („რევშოუს“ დროს წამოსცდა - მე მათ ვეუბნები, რომ ეს ხალხი არ არის ბრბო... ვის მათ? წმ. მამები ამბობენ, რომ ანტიქრისტე გამეფებით დაიკმაყოფილებს რა ამპარტავნებას, მოინდომებს რაღაც სიკეთის გაკეთებას, მაგრამ დამკვეთები მოთხოვენ სანაცვლოდ დაპირებულ მსახურებას). ისიც გახსოვთ ალბათ, ე.წ. ვარდების რევშოუს მერე თბილისში გავრცელდა ხმა — სააკაშვილს მოკვლას უპირებენო. ეს ისევ იმ ხელდამსხმელებისგან მოდიოდა — ბიჭო, შენ, არაფერი შეგეშალოს, მუსიკას ის უკვეთავს, ფულს ვინც იხდისო. მას მერე უკრავს მაგათ ნოტებზე და აცეკვებს თავის მიმდევრებს, მართლა ბრბოს.

გაფორმებისთანავე ეს ბანდა მგლებივით რომ დაერივნენ ყველაფერს და იტაცებდნენ, მალევე გამომჟღავნდა, რატომ ჩქარობდნენ ასე — სცენარით მათ მხოლოდ ერთი ვადა ჰქონდათ მიცემული, იქნებ უფრო ნაკლებიც, როგორც დროებით მთავრობას (გაიხსენეთ, მეც. კომ-ში —„რევოლუციის შემდეგ პროლეტარიატის დიქტატურა საჭირო იყო იმისთვის, რომ დაეცვა რევოლუციის მონაპოვარი“, იგივე გაგვიმხილა ბოკერიამ). სააკაშვილს დროებით მთავრობაში ჰქონდა დიქტატორის როლი, შემდეგი სერიის სცენარში ის მთავარ როლზე აღარ უნდა ყოფილიყო, „კალატოზები“ იმ იარაღს, რომლითაც ორმოს თხრიან, მაგ. წერაქვს, სულაც არ სვამენ ამ ორმოში. შემდეგ, შემდეგი სერიის მთავარი როლის შემსრულებელი, ე.წ. „ოპოზიციონერი“, გამოააშკარავებდა მის ალვირახსნილობას, ძალაუფლების გადაჭარბებას და სხვა ამისთ. დაემობდა და „გაიმარჯვებდა“ არჩევნებში (მაგ. მის დაკანონებულ ბუჩქებში გორაობას ის, მეორე გააკრიტიკებდა, გარყვნილებაშიც ამხელდა და ამ ახალ, ჯარიმებიან კანონს გამოუშვებდა „საზოგადოების ზნეობაზე მზრუნველი“. ახლა მიშა მეორეს უწევს მიშა პირველის გაფარჩაკება), მაგრამ იმის გამო, რომ მთავარ როლზე შესაფერისი კადრი ჯერ კიდევ არ ჰყავდათ შერჩეული, სცენარი გადააკეთეს მიშასთვის. რატომაც არა, ეს ხომ საქართველოა, აქ ყველაფერი უკიდურესობამდე მოსულა და 2007 წლის ნოემბერში, ამღვრეულ წყალში თევზიც დაიჭირეს — მეორე ვადა. როგორც ეხლა, მგონი, უფრო ჩვენი ოპოზიციისგან, ბიომეტრიული სიების მოთხოვნა მშვენივრად გამოიყენეს და ბიოპასპორტებით აგვისრულეს სასწრაფოდ. ეს კი გეგმავს 2013-მდე ვიქნები და ვიქნებიო, მაგრამ როგორც მოვიდა კარებზე წიხლისკვრით, ზუსტად ისე წავა, რამდენიც შევარდნაძეს „ჩამოაჭრა,“ მეტი თუ არა იმდენივე მაინც ჩამოეჭრება, რადგან უფლის დაწერილი კანონები ზუსტად სრულდება ყველასთვის ერთნაირად - „ვისაც ტყვედ მიჰყავდა, ტყვედ ჩავარდება, ვინც მახვილით კლავდა, მახვილით მოკვდება“. შემდეგი შემსრულებელი უკვე შეარჩიეს — ალასანია. მასაც რა თქმა უნდა ჰგონია, რომ ერთი იქ ჩაჯდეს და მერე „თვითონ იცის,“ მაგრამ არ იცის, რომ

როგორც კი მათი რელსებიდან გადავა, მტკაველსაც ვერ გაივლის, რადგან „ვერავინ შემძლებელ არს მსახურებად მამონასა და უფლისა," და წავალთ ისევ ახალ წრეზე...

ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ და ჩვენს თავს ხდება, და გვიკვირს — რატომ ვერ გამოვდივართ ამ მოჯადოებული წრიდან. ერთი მხრივ, ამ მიწის განსაკუთრებული მისიის გამო მძიმე განსაცდელები გვაქვს გარედან, მეორე მხრივ, შიდა ბრძოლები არ გვაკლია, ამათთან ერთად ჩვენი მოუნანიებელი ცოდვების სიმძიმეც ადვილი ტვირთი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ ერთი და იგივე გაკვეთილს რომ გვიტოვებს უფალი, ალბათ, რაღაც მთავარს ვერ ვსწავლობთ, - სინანულს. თუ არ გადავხედავთ ჩვენს განვლილ გზას და არ შევინანებთ ყველა შეცდომას - უფლისადმი უმადურობით დაწყებული (რაც ჩვენ განსაკუთრებით მოგვეკითხება და რატომ, ცოტა ქვემოთ) ერთმანეთის მიმართ ნასროლი ტყვიით ყოუ სიტყვით მოკლული ყველა გულისთვის, ვერ ამოვხსნით, რა რისთვის და რატომ დაუშვა უფალმა, რას გვაბრუნებს, რა ზნე გვჭირსა.

ისე, ერთიცაა — „დათა თუთაშხიაში" არის ეპიზოდი, როგორ გამოჰყავთ კაციჭამია ვირთხები ორი განსხვავებული მეთოდით - შიმშილობით და სიმაძღრით. საწინააღმდეგო მეთოდების მიუხედავად, შედეგი ერთი და იგივეა. მგონია, რომ განვითარებულ ქვეყნებს მასონები სიმაძღრის მეთოდით ამუშავებენ, განვითარებად ქვეყნებს კი შიმშილობის (რეალით შოუებში რომ კეტავენ ახალგაზრდებს და ერთმანეთს აჭმევინებ-არყვნევინებენ, ამისი მინი, ლაბორატორიული მოდელია). ჩვენი ხასიათის უკიდურესობებიდან გამომდინარე, სიმაძღრით გაზულუქებულნი რომ საერთოდ აღარ მივტრიალდებოდით ღვთისკენ, მეორე მეთოდი დაუშვა ჩვენზე. მაგრამ, მადლობა უფალს, რომ თვითონვე გვაძლიერებს კვართის მადლით და ქართველში სიყვარულის ჩაკვლა ჯერ მთლად ვერ მოახერხეს, თუმცა ბევრიც არ უკლია, და თუ უფალმა არ შეამოკლა დღენი ვინღა გადარჩება, რადგან შემდეგი შემსრულებლისთვის სცენარში აშკარად ეს ჩანაფიქრია — სიმაძღრის მეთოდზე გადაყვანა და საქართველოში ამერიკული „სულელთა სამოთხის" „აღშენებლობა." ვიღაცას გაუკვირდება — თუ ყველაფერი გაწერილია, რისი გაკეთება-შეცვლა შეგვიძლია? უკვე დაწერილი, ანუ ბედისწერა, არის ის რაღაც, რაც უჩვენოდ, ჩვენზე, ჩვენამდეა დაწერილი. ჩვენამდე ოცი საუკუნით ადრე დაიწერა, რომ ადამიანის ჭეშმარიტებისგან განდგომას და ცოდვებში ჩაფვლას მოჰყვება აპოკალიფსი. როგორც ჩვენ ვხედავთ, რა შეიძლება მოჰყვეს როცა ბავშვი ხელს გაგიშვებს და შუა ტრასაზე გაიქცევა, ისე ხედავს უფალი, რომ აქ მილიმეტრით გადაცდენა უფლის მცნებებისგან, დროში კილომეტრებით გვაშორებს უფალს. ეს ჩვენი, თითოეულის ქცევიდანაა გამოწვეული და დაწერილი და არა პირიქით. როგორც აუცილებელია მიხვიდე, დაიჭირო ბავშვი და ყურიც აუწიო, რომ თავისი საქციელი გააკონტროლოს და მანქანის ქვეშ არ აღმოჩნდეს, ისევე ჩვენს ცუდ ყოფა-ქცევას მოჰყვება უფლის მოსვლა, თხების დაჭერა და ცხვრებისგან გამორჩევა. ის, რომ დავიბადეთ ამა და ამ დროს, ამა და ამ ქვეყანაში, ამ ოჯახში, ამ სქესით, ამ სარწმუნოებით, ამ გარეგნობით ეს ჩვენგან დამოუკიდებლად განისაზღვრა, ეს არის ღვთის განგებულება — ბედისწერა, მაგრამ როგორ ვიცხოვრებთ — ცხვარივით თუ თხასავით, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. როგორც საკონტროლოზე მოდიოდახოლმე ორი ვარიანტი „ა" და „ბ", ჩვენგან დამოუკიდებლად შედგენილი მაგალითებით და ამოცანებით, მაგრამ როგორ ამოვხსნით ჩვენზეა დამოკიდებული. ამიტომ არაა დაწერილი მეორედ მოსვლის დრო და საათი, ის შეიძლება დავაჩქაროთ ჩვენი ქცევით და შეიძლება გავახანგრძლივოთ სინანულით, როგორც ნინევიელებმა. როცა ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ სინას მთაზე უფალმა მოსეს მოუწოდა, იქ მისცა თავისი ხელით დაწერილი ათი მცნება და ორმოცი დღის განმავლობაში ასწავლიდა როგორ მოეწყო უფლის კარავში წმიდათა წმიდა, მხოლოდ მეორმოცე დღეს უთხრა და ჩაახედა ქვემოთ — ნახე რას აკეთებს შენი ხალხი-ო. დაბლა ამ ხალხმა დაასკვნა, — რაკი მოსემ დაიგვიანა იქნებ ცოცხალიც აღარ არისო, და აიძულეს აარონი ოქროს ხბო ჩამოესხა მათთვის კერპად და იროკვიდნენ მის გარშემო; უფალი ეუბნება მოსეს — გამიშვი, რომ ამოვწყვიტო ეს თვითრჯული ერიო, — გამიკვირდა - როგორ შეეძლო მოსეს, ადამიანს, უფლის შეჩერება; წმ. მამები გვასწავლიან, რომ უფლის რისხვის შემაკავებელი არის ლოცვა, მოსე სთხოვდა ხალხის შეწყალებას. დაბლა ჩამოსულმა გამოაცხადა — ვინც ღვთისკენაა ჩემთან გადმოდითო და „გამოირჩა ძმა ძმისგან და ნათესავი ნათესავისგან და მოსწყვიტა უფალმა თვითრჯული კერპთაყვანისმცემლები". რატომ არ შეაჩერა უფალმა ეს ხალხი ჩანაფიქრშივე ან კერპის კეთების დროს, ან მერე გარშემო როკვისგან? ღმერთმა ადამიანი თავისუფალი ნებით ანუ არჩევანის უფლებით შექმნა. ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში, უფალი არაფერს გაძალებს, გაცლის ბოლომდე სანამ გადაწყვეტილად, ხმამაღლა არ დააფიქსირებ შენს არჩევანს, მოძალადე და მატყუარა ბოროტი სულია. უფალმა ადამიანს, თავის ხატს, თავისუფალი ნება მისცა თავის მსგავსად. სწორედ ამ ნების წართმევას, მოპარვას, წაგლეჯვისთვის გვებრძვის მთელი ცხოვრება ბოროტი სული შურის გამო, რადგან უფალმა დაცემული ანგელოზების ადგილი სასუფეველში ადამიანს აღუთქვა. ეს მისტიკაა დედამიწაზე ადამიანის გაჩენის დღიდან დღესაქამომდე.

რას ნიშნავს აპოკალიფსი, რა მოხდება უფალის მეორედ მოსვლის შემდეგ? „ეგრე ჰგონებთ, ვითარმედ მშვიდობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა? არა, გეტყვი თქუენ, არამედ განყოფად" (ლუკა 12.51) „...და შეკრბენ წინაშე მისა ყოველნი ნათესავნი, და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან..."(მათე 24.32) - მოვა უფალი, გაარჩევს თხებს ცხვრებისგან, თავის მომხრეებს კერპის მომხრეებისგან, დააყენებს რა ცხვრებს მარჯვნივ, სასუფეველში და თხებს გაუშვებს ჯოჯოხეთში. მაგრამ თხად და ცხვრად ჩამოყალიბება მიმდინარეობს მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში - ყოველდღიურ ყოფაში, არჩევანის გაკეთების დროს ღვთისკენ ვდგებით მისი მცნებების შესრულებით თუ კერპისკენ მივდრკებით ამ ცხოვრების მაამებლობით, ვიკავებთ-ვიჯავშნავთ ადგილს ღვთის მარცხნივ ან მარჯვნივ, თხებში ან ცხვრებში. თხას უყვარს, როცა ის უყვართ, ცხვარს უყვარს, როცა მას უყვარს, ამით გამოარჩევს თხებს ცხვრებისგან, უფალი ხომ თავად სიყვარულია და როგორც მაგნიტი, მიიზიდავს მას ვისაც ის უყვარს - „იქნებიან ორნი მინდორში, ერთს წარიტაცებს მეორე დარჩება". დღეს მიდის ზუსტად ეს ლუსტრაცია — ვინ ვინ არის, მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხი კი არის ლოდი თავკიდური, ვინც მასზე დაეცემა, დაიმსხვრევა, ვისაც ის დაეცემა — გასრესს. ეს არის ლაკმუსის ქაღალდი, რომელთან შეხებაზეც დაფარული, შინაგანი ბუნება მჟღავნდება. ე.წ. ოპოზიციაში ბევრნი ამ საკითხთან შეხებით გამომჟღავნდნენ, რომ პოზიციასთან ერთად ერთფუძიანები არიან. „მიეცით უფლისა უფალსა და კეისარს კეისრისა". დღეს უფლის წილს კეისარს რომ ვაძლევთ, კიდევ გვიკვირს, რატომ ვართ ამ დღეში. და განა შეუძლებელს გვთხოვს? კვირაში ექვსი დღე შენი იყოს და ერთი დღე მოდი ჩემთანო (ისიც ისევ შენთვის, რომ შემდეგი გზის საგზალი-მადლი გაგატანოო. ქართულად წირვას ჟამის წირვა ჰქვია, ანუ უფალი ჩვენგან მხოლოდ იმ რამდენიმე საათის შეწირვას, ყურადღებას მოითხოვს. ჩვენ ის ნახევარი დღეც გვეზარება თავის შეწუხება და იქით ვედავებით —ხომ ხედავ ფეხზე დოგმა მიჭირს, აქ მომიტანეო, რესტორნებში გვავიწყდება ავადმყოფობა და უდროობა; რომელ მშობელს მოსწონს უმადურობა, კიდევაც რამდენს გვითმენს უფალი...). წმ. წერილი გვეუბნება, რომ, როგორც ნოეს დღეებში ჭამდნენ, სვამდნენ, ქორწინდებოდნენ, და როცა წვიმა დაიწყო, არავის ეგონა, რომ ორმოცი დღე და ღამე აღარ გადაიღებდა, ბოლო ჟამსაც ასე იქნებაო. ვერც ახლა გულისხმაჰყოფენ, რომ აპოკალიფსისი აწვე აღესრულების. ადამიანი თავისი არჩევანით, თავისი ხმის მიცემით დღეს და აქ, თვითონვე ირჩევს თავის მომავალ ადგილს ღვთის მარცხნივ ან მარჯვნივ (ამიტომ დარბიანხოლმე დუჟმორეულები არჩევნებზე და ხარჯავენ ფულს, რომ ხმა მიგაცემინონ ძალით, მოტყუებით, დაშინებით, დაპირებით და ა.შ. მაშინ როცა ყველამ იცის, რომ მაინც იმას ჩაწერენ ოქმებში რაც უნდათ. მაშ რატომ ხარჯავენ



**რომი, 2005 წ. — მალტის ორდენის გროსმაისტერი ენდრიუ ბერტი იღებს აუდენციაზე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს**

ხალხში ამდენ ფულს? რაში სჭირდებათ ხმები? არჩევნები არის ერთი-ერთი ხერხი თქვენივე ნებით ხმის მიცემით, თქვენი ხელმოწერის საფუძველზე, თქვენზე უფლება მოიპოვონ და ადგილიც დაგაკარგინონ სასუფეველში). წმ. მამები განმარტავენ, რომ ბოლო ჟამის ნოეს კიდობანი ქრისტეს ეკლესიაა. ნოე დადიოდა და ხალხს ეხვეწებოდა, შესულიყვნენ კიდობანში რომ გადარჩენილიყვნენ, ხალხი კი დასცინოდა. ეკლესია მოგვიწოდებს გამოვფხიზლდეთ, „ახლა ბევრად უფრო გვიანია ვიდრე თქვენ გგონიათ", ჩვენ კი გასართობად და კერპის გარშემო როკვისკენ მივიჩქარით რესტორნებში (მადლობა ღმერთს, უარესად რომ არა ვართ). ვინც რას უკეთებს ეკლესიას, თავის თავს უკეთებს. მართლმადიდებლობის დაცვით ვიცავთ აქ ჩვენს თავს და ჩვენს წილ საქართველოს, და იქ, ჩვენს ადგილს სასუფეველში, თორემ კლდეზე დაფუძნებულ ქრისტეს ეკლესიას „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მორევიან" და ვერც მოერევიან უკუნისამდე; უჩვენოდ მოვიდა დღემდე ეკლესია და არც გაგრძელება გაუჭირდება უჩვენოდ; ჭეშმარიტებას ჩვენი დაცვა არ სჭირდება, ეს ჩვენ გვჭირდება მისი აღიარება, რომ აქეთ დაგვიცვას. პეტრე მოციქულმა სამჯერ უარყო ქრისტე დაუფიქრებელად, მაგრამ გულწრფელი სინანულით შენდობა მიიღო. იუდა დღეების და თვეების განმავლობაში გეგმავდა ღალატს, უფლის წინააღმდეგ დაგეგმილი ღალატი საკუთარი ნებით სატანის თაყვანისცემის არჩევანია და ძნელად მოსანანიებელ-მისატევებელია. ნნურც იმ ინდიელებს დავემსგავსებით, სარკის ნამტვრევებში ოქროს ზოდებს რომ უცვლიდნენ გაქნილ და მზაკვარ ადამიანებს. მართლმადიდებლობის ოქროს ზოდებს ნუ გავცვლით რაღაცის „ნამსხვრევ სექტებში."

ალბათ, არ არის შემთხვევითი რომ ღვთივრჩეულები ებრაელები იყვნენ და სატანის რჩეულებიც, მასონობის ავანგარდი, ებრაელები არიან. არც ის არის შემთხვევითი რომ საქართველოში ანტისემიტიზმი არ ყოფილა არასდროს. ალბათ, არც ის, რომ „ენითა ამითა" - ქართულით, უნდა ამხილოს უფალმა ანტიქრისტე იერუსალიმში; ანუ ქართველი ენუქი ამხელს ებრაელ ანტიქრისტეს და იქადაგებს და მოაქცევს ღვთივრჩეულებს აბრაა მის შვილთაგან. ჩემს მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ებრაელები კაი ხანი მეგონა ჩვენი ერთი, რომელიღაც კუთხის ხალხი, როგორც კახელები, აჭარლები და სხვ. და არ მესმოდა რას ერჩოდენ. იმის მერეც, რაც მასონებზე წავიკითხე, მაინც ვერ ვბრაზდები ნ. დუმბაძის მოშიაზე, უმეტეს მახსენდება მცხეთელი ელიოზი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმაზე დასასწრებად გაწვეული, როგორ გააფრთხილა დედამ - იმ მართლის სისხლში ხელი არ გაესვარა. კურთხევის აღსრულებით არ აიღო თავზე და არც თავის შთამომავლობაზე, ის უმძიმესი ცოდვა. მგონია, რომ ის იყო ღვთივრჩეული ერის, აბრაამის შთამომავალი, იმიტომ მიეცა ღვთისგან უდიდესი სიწმინდე — უფლის კვართი. ჩვენთან მცხოვრები ებრაელები ის ღვთივრჩეული შტო მგონია, რომლებზეც ბუნებრივად მქონდა ჩემიანის, თვისტომის განცდა. სატანის ყველა თაყვანისმცემელი, განურჩევლად ერისა, ფერისა, რასისა თუ სქესისა — როგორც სახარება მოიხსენიებს - იქედნეს შთამომავალია ერთი ზოგადი, დღევანდელი სახელით — მასონები, სულერთია ლოჟიდანაა თუ პარტერიდან. იქედნე გველის ისეთი ჯიში ყოფილა, დაბადებისას დედას მუცელს რომ უფატრავენ და ისე გამოდიან და ეს დედა კიდევ მათ ჭამს. სატანა იყო სინათლის მთავარანგელოზი და ამპარტავნული, თვთითკმაყოფილური აზრით — რომ ის იყო გამორჩეული, ლამაზი, ჭკვიანი — მოინდომა თავისი შემოქმედის კუთვნილი პატივის და თაყვანისცემის მიღება სხვა ქმნილებათაგან, ისიც დაკარგა რაც მიცემული ჰქონდა, გადმოგდებულ იქნა ციდან და დაეცა ქვესკნელში (ამ ერთი სიტყვით - დავეცი, ადამიანები თავს იწყევლიან და არც ეს არის შემთხვევით მოდაში შემოსულ-შემოგდებული). ყველანაირი გამორჩეულობის ფიქრი — თუ დაივიწყე რისთვის მოგცა ეს გამორჩეული მადლი შემოქმედმა, არის თვითნებობა-თვითრჯულობა, ანუ ამპარტავნულ—სატანური; ბიბლიიდან ვხედავთ რას ნიშნავს გამორჩეულობა — უფალი გამოარჩევს პიროვნებას ან ერს - „მე გამოგირჩიეთ თქვენ და არა თქვენ", და აძლევს დავალებას — რაღაცის შენახვას, დაცვას ან აგზავნის ვენახის დასამუშავებლად და თან საზღაურსაც წინასწარ უხდის, მადლს აძლევს. როცა ეს ადამიანი ფიქრობს — აი, მე მაქვს მადლი, ე.ი. მე ვარ გამორჩეული და სხვებზე უკეთესი, და მთავარს — უფლის დავალებას ივიწყებს, როგორც წმ. მამები ამბობენ, იმ ვირზე უარესია, რომლითაც უფალი იერუსალიმში ავიდა. მასაც კი არ უფიქრიაო, რომ ეს პალმის რტოები მე მეკუთვნის ისეთი კარგი და განსხვავებული ვარო. ებრაელობა გამოარჩია ნიშნავს მისცა დავალება, — შეენახათ ერთი ჭეშმარიტი ღმერთის რწმენა, ერთგულებისთვის ჯილდოც აღუთქვა — თქვენს შორის დავბადებ იმ ერთადერთს, მესიას, ადამიანისთვის სასუფევლის ჩაკეტილი კარის გამღებელს და მეუფების დამბრუნებელსო. ამათ უფლის დავალება დაივიწყეს და გამორჩეულობა დამსახურებად მიითვალეს, და მიაჩნიათ, რომ ეკუთვნით სხვა ხალხებზე მეფობა-ბატონობა რაკი უფალი დაჰპირდა აბრაამს, მაგრამ თვითონ როგორ ასრულებენ უფლის დავალებას და როგორ პატივს სცემენ ვენახის პატრონს, თალმუდში ჩანს - „შვილო ჩემო, ნათქვამია თალმუდში, - უფრო მეტის ყურადღებით მოეკიდე რაბინთა სიტყვებს, ვიდრე აღთქმის სიტყვებს." ამ რჩეულობის თვითრჯულმა გაგებამ აქცია ის ნაწილი თვითკმაყოფილ სატანისრჩეულებად.

ასევე ჩვენც - დიახ, საქართველო და ქართველები გამორჩეული ერი ვართ, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ გვაქვს გარკვეული დავალება. საქართველოს ტერიტორია გამორჩეულია უფლის მიერ, ეს მიწაა დაჯავშნული ჯერ ხალენით, შემდეგ უფლის კვართით და ღვთისმშობლისთვის წილისყრაში შეხვედრით დაბეჭდილი. რისთვის — იმისთვის, რომ ბოლო ჟამს ამ ტერიტორიას, როგორც ფარეხს, ისე შემოღობავს კეთილი მწყემსი და შემოკრებს ცხვარს. ამ დაცულ ტერიტორიაზე ფეხს ვერ დაადგამს ანტიქრისტე. თუ გნებავთ — ეს ვენახი შემოსაზღვრა უფალმა და ჩააბარა ქართველებს. „ერი ესე საზეპურო" მოწოდებულია მართლმადიდებლობის, ანუ ქრისტეს განუყოფელი კვართის, იგივე განუყოფელი მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვაში სამუშაოდ, ამიტომ იგივდება და უდრის ქართველობა და მართლმადიდებლობა ერთმანეთს. ქართველებს რომ დაცვის თანამშრომლისთვის საჭირო ნიჭებიდან უმაღლესი პარამეტრები გვაქვს, ჩვენით არა გვაქვს, არამედ მოცემული უფლის მიერ — „უფალმან შემქმნა ჩვენ და არა ჩვენ" (რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ... ღვთისგან მოცემული ტალანტებით - სილამაზით, გვარიშვილობით, მემკვიდრეობით და ა.შ. როცა ვქედმაღლობთ და სხვას თავს ვამეტებთ, ე.ი. სწორად ვერ ვაფასებთ, რომ ეს მოცემულობაა ღვთის მიერ ბედისწერით და არა ჩვენი დამსახურებისთის, როგორ მოვუვლით — გავფლანგავთ თუ გავამრავლებთ, ის ირიცხება ჩვენს პირად ანგარიშზე).აამიტომ ეს სატრაბახოზე მეტად საპასუხისმგებლოა — ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეკითხება. თუ არ მოვუვლით ჩაბარებულ ვენახს და სამოციქულო ეკლესიას, თუ არ აღვემართებით მიმღებელნი უმაღლესი ტალანტებისა და ღირსებით არ ვმადლობთ და ვადიდებთ უფალსა და არ გავამრავლებთ მათ — წაგვერთმევა, როგორც იმ ზარმაც მონას. „გამოცხადებაში" ფილადელფიის ეკლესიას გვაფრთხილებს უფალი — „იპყარ, რომელი ეგე გაქუს, რაითა არავინ მოგიღოს გვირგვინი შენი". ეს მიწაა ნაკურთხი, ამ მიწაზე მოუყრის თავს უფალი მართლად მადიდებელ ადამიანებს, იმის იმედი, რომ აქ დაბადებულ-გაზრდილი ხარ, ვერ გიშველის თუ მასონებს ჩაეხუტები-აითქვიფები. თუ არჩევანს კერპისკენ გააკეთებ, უფალი ძალით არ წაგიყვანს თავისთან, ძალადობა და ტყუილი ეშმაკის სტილია. ეკლესია გვასწავლის ვიაროთ სამეუფო გზით, ანუ ვიცხოვროთ ზომიერებით ჩვენს სურვილებსა და მოთხოვნილებებში, მაგრამ არა არჩევანში, არა არჩევანის გაკეთების დროს. არჩევანის გაკეთებისას საშუალო არ არსებობს. ეს ლიბერალობა ის ნელ-თბილობაა, რომელსაც უფალი აღმოფურთხვას დაჰპირდა. არჩევანის დროს გარკვევით უნდა დაასახელო, ვისკენ ხარ — ღვთისკენ თუ კერპისკენ, ცხელი ხარ თუ ცივი, ღმერთსა და სატანას შორის საშუალო არ არსებობს. დღეს საქართველოში ბოროტი ყველა მხრიდან გვანგრევს და გვარყევს, ფსიქოტრონული იარაღების დასხივებით გვიდამბლავებს გონებას, რომ დაღლილ-დაბანგულებმა ვერ გავაკეთოთ სწორი არჩევანი ღვთისკენ და აქ, ეს ტერიტორია დაცვის გარეშე, უქართველებოდ დარჩეთ მათ და ჩვენც იქ, სასუფეველი დაგვაკარგინონ. ეს მიწა ღვთის კვართის მადლით — სიყვარულით არის გაჟღენთილი (ჩვენი დარიშხანიც კი უმაღლესი ხარისხისა ყოფილა მთელ დედამიწაზე), აქედან გაიწოვება მსოფლიოში ანტიქრისტეს შემაკავებელი სიყვარული, ამიტომ მიდის გააფთრებული ბრძოლა ჟანგბადის ამ ლუქის დახურვაზე, მაგრამ ივერიის გაბრწყინება მაინც მოხდება არა ჩვენი დამსახურების გამო, არამედ იმიტომ, რომ ასეთია ღვთის განგება. მაგრამ რას ნიშნავს ივერიის გაბრწყინება?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## გონებაჩლუნგ თ. კიტოვანს, სამშობლოს დამაქცევარ თ. სიგუას, ცბიერ, მოღალატე, სამშობლოს გამყიდველ ე. შევარდნაძეს, ქურდ, ავაზაკ, ბარბაროს, აწ გარდაცვლილ ჯაბა იოსელიანს და მის ბანდას, წითელ ინტელიგენციას, რომელსაც სამშობლო და ერი არასოდეს აინტერესებდათ თავიანთი პრივილეგიების გარდა. მასონ მ. საკიანს და მის ბანდას

თქვენი ყოველი ცდა და მოქმედება ბატონ ზვიად გამსახურდიას საქმისა და იდეის შერყვნას, მისი ოჯახის დამცირებას, შეურაცხყოფას ეძღვნება. დიდი ზვიადის მტრობა და სიძულვილი, მემკვიდრეობით გადმოგცათ აღმზრდელმა და მასწავლებელმა. იმდენი ჭკუაც არ გყოფნით, რომ მიხვდეთ, რამდენჯერაც დიდი ზვიადის დაპატარავება განიცადეთ, იმდენჯერ თვითონ დაკნინდით და დაპატარავდით!

საქართველო იყო და არის უპირველესი ხატი და სალოცავი ბ. ზვიად გამსახურდიასი!!!

სამშობლოს ყველა გამყიდველის და მოღალატის გასაგონად, სანამ საქართველო და ქართული გენი იარსებებს, მანამდე ინათებს ბატონი ზვიად გამსახურდია. როდის დატეულა დიდი, ვაჟკაცი კაცების სული პატარა კაცების სხეულში?! ზვიად გამსახურდია ილიას იდეური და სულიერი შთამომავალია, თქვენ კი - შევარდნაძის იდეური და სულიერი შვილები ხართ.

ზ.გამსახურდია ყოველთვის ცდილობდა იმას, რომ საქართველო მსოფლიოზე ბატონობის წყურვილით შეპყრობილ იმპერიათა სათარეშო ველად არ ქცეულიყო, რომ, ქართველი ერი სხვისი ხელის შემყურე, გამათხოვრებული არ გამხდარიყო.

ბატონი ზვიად გამსახურდია აშენებდა ქართულ ეროვნულ სახელმწიფოს. წმინდათაწმინდა იდეალებითა და განსაკუთრებული საერთაშორისო ფუნქციითა და მნიშვნელობით. სწორედ ამიტომ გამოუტანეთ ქართველი ერის სისხლისმწოველებო, ქართულ სახელმწიფოს სასტიკი განაჩენი,.თქვენ მოღალატეებო, რუსის ჩექმას და ტანკებს გადაათელინეთ სამშობლო,რომელიც ის-ის იყო ფეხზე დგებოდა და ფრთებს ისხამდა, გადააჯიშეთ, გადააგვარეთ ქართველი ერი, გააჩუქეთ, გაყიდეთ ქართული მიწა-წყალი, დაანგრიეთ ქართული სულიერება, ამოწყვიტეთ ქართული გენოფონდი და ასეთი უქართველებო საქართველო გინდათ ჩააბაროთ თქვენს პატრონებს.

მოღალატეებო! ვერაგულად მოგიფიქრებიათ ცილისწამება მთელი თავისი ცხოვრება რუსეთის იმპერიასთან მებრძოლ ზვიად გამსახურდიასთვის.

სანამ ქართულ მიწაზე დიდი ზვიადის გვარის, მისი სულისკვეთების კაცი დადის საქართველოში, თქვენ საწადელის მიღწევა არ გიწერიათ! ამიტომაც არის, რომ ესროლეთ ტალახი დიდი ზვიადის და ჩვენი სამშობლოს ერთგული კაცების გაკეთებულ საქმეებს.

სამშობლოს მოღალატეებო! თქვენზე კარგად ვინ იცის საქართველოს სასიქადულო შვილის, რაინდი - მერაბ კოსტავას სიკვდილის მიზეზი. მერაბის მოკვლის მიზანი იყო იმ მრავალწლიანი ოპერაციის ჩატარება, რომელსაც ჰქვია - ეროვნული მოძრაობის დემორალიზაცია. მისი დაშლა და წითელი გადატრიალების მოწყობა, რაც მოახდინეთ 1991-92 წლებში. ეს სცენარი ხომ თქვენი დაწერილი იყო! ამით ბატონ ზვიადს მარჯვენა მკლავი მოსჭერით. ვინაიდან საქართველო დაპყრობილი აქვთ კრიმინალურ ბანდებს, შევარდნაძის და სააკიანის ხელმძღვანელობით. სანამ კრიმინალური ბანდები არ აილაგმება, სანამ საქართველოს მოღალატეები - შევარდნაძე და სააკიანია სათავეში, საქართველოს არაფერი არ ეშველება, ვინაიდან, დამნაშავეთა სამყაროს მიერაა ჩამოყვანილი და დამნაშავეთა სამყაროა მათი ერთადერთი დასაყრდენი.

დღეს, კი ხელახლა ისევ უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება, დამოუკიდებლობაც და კეთილდღეობაც! ბრძოლის გარეშე ვერავინ ვერაფერს ვერ მოიპოვებს, ქართველებო! არის მოსაზრება ეროვნული მოძრაობის , მაგრამ დიდი დაქსაქსულობაა, ძალიან ვწუხვართ. რომ ზოგიერთი პატივსაცემი პიროვნება ეროვნულ მოძრაობაში ვერ პოულობს საერთო ენას თავის თანამოძმეებთან, ისინი აუცილებლად უნდა გაერთიანდნენ. მრგვალი მაგიდა არის სიმბოლო ჩვენი ერთიანობის და ერთიანი ბრძოლისა! მრგვალი მაგიდა უნდა აღდგეს! დამფუძნებელ-პოლიტიკური ორგანიზაციები და ახალი ორგანიზაციებიც, რომლებიც შეიქმნა, თუ ისინი ნამდვილი ორგანიზაციებია უნდა გააქტიურდნენ . ყველა ჭეშმარიტად პოლიტიკურად ეროვნული ორგანიზაცია უნდა გაერთიანდეს მრგვალ მაგიდაში. მრგვალი მაგიდის სპიკერობიდან არ გადამდგარა ზვიად გამსახურდია.

მივმართავთ საქართველოს მოსახლეობას: - გფარავდეთ ღმერთი თქვენ და სრულიად საქართველოს! მალე გვეხილოს აღდგენილი, კანონიერი ხელისუფლება! ჩვენი მთავარი მიზანია საქართველოს ხსნა! გვჯერა, რომ უფალი იხსნის საქართველოს და საქართველოს იხსნიან მისი საუკეთესო და თავგანწირული შვილები!

საქართველოს იხსნის მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა!

გფარავდეთ უფალი, ამინ!

### საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლნი

**აშშ**

**ოჰაიოს შტატი**

**(კონსპირაციულად მცხოვრებნი)**

1.
2. გიორგი ჯაყელი
3. დავით გიგაური

**ტეხასის შტატი**

4. სანდრო ივერიელი

**(კონპირაციულად მცხოვრები)**

**კოლორადო**

5. მარიამ კორინთელი
6. გიორგი ციხისთავი
7. ბერდია ლუდუშაური
8. გეგა ყაზბეგი
9. გიორგი ამაღლობელი
10. მამუკა ახვლედიანი
11. უჩა მეტრეველი
12. დავით მეგრელიშვილი
13. ეკა პატარკაციშვილი
14. ნოდარ ჯავახიძე
15. ნანა თავართქილაძე
16. ნიკა ცერცვაძე
17. გიგა არაბული
18. ვანო კასრაძე
19. ლექსო სულუკაური
20. ნელი ენუქიძე
21. ნონა ამაშუკელი
22. არჩილ გოგიჩაიშვილი
23. ნუგზარ რეხვიაშვილი

**ნიუ-იორკი**

24. დათო აბაშიძე
25. ნანა ტატიაშვილი
26. მზია ბეკურიშვილი
27. მერი ხორბალაძე
28. თეა კანდელაკი
29. მანანა დარცმელიძე
30. ლევან გამყრელიძე
31. ნათელა მაზანაშვილი
32. ეკატერინე ქაფიანიძე
33. ლელა ჭინჭარაული
34. ნაილი ხომერიკი

**კალიფორნიის შტატი**

35. ზაზა ჟორდანია
36. რამაზ თოდრია
37. ლევან ზაალიშვილი
38. ანზორ ანჩაბაძე
39. გეგა მწითური
40. გიორგი ჯანდიერი
41. ლექსო ყამარაული
42. ვანო გომელაური
43. დავით ყაჭიური
44. გურამ გელაშვილი
45. ლადო გურგენიძე
46. კაკო გელანტია
47. უშანგი მამარდაშვილი
48. თამაზ ლომიძე
49. სერგო რაზმაძე
50. გივი ლორთქიფანიძე

**ჩიკაგო**

51. ბერდია შერმადინი
52. სპარტაკ როსტიაშვილი
53. ვახტანგ საძაგლიშვილი
54. ნუგზარ ობგაიძე
55. გელა ბურდული
56. გაგა წითლაური
57. დურმიშხან ამაღლობელი
58. ნანა ემხვარი
59. ნანა ინაური
60. ლიანა გიგაური

**ფლორიდა**

61. ევა კაიშაური
62. ეკატერინე სავანელი
63. გურამ მელთაური
64. კახა კრიხელი
65. თამაზ ჩხარტიშვილი
66. გიორგი გალდავა
67. სოსო კობერიძე
68. ნანა ოქრუაშვილი
69. შორენა გოგოლაძე
70. გელა ბურდული
71. სირა პაპაშვილი
72. ილია ბალახაძე
73. რევაზ ელიზბარაშვილი
74. ლაშა ნოდია

**ჩრდილოეთ კაროლინა**

***(საზღვარგარეთ მცხოვრები ბ. ზვიად გამსახურდიას ერთგული ოსი ეროვნების პატრიოტები)***

75. დიანა სააკაშვილი
76. ეთერ ყარაშვილი
77. ირაკლი მელაძე
78. ვენერა ზადიშვილი
79. ლიანა ავლოხაშვილი
80. აზა კაჩმაზოვა
81. მარინა (დარო) ხაჩირაშვილი
82. ლიზა გუჩმაზოვა
83. რამაზ თიგიშვილი
84. ნუგზარ კუდუხაშვილი
85. ლერი გაგლოევა
86. ზურაბ ბედოშვილი
87. აზა ხაჩიროვა
88. ჯემალ მარგიევი
89. გივი ჩოჩიევი
90. ნოდარ ქეთიშვილი

**არაბეთი**

91. დავით ხორბალაძე
92. სანდრო მარიამიძე
93. მიშა მარიამიძე
94. გიგა ინაური
95. ზაქრო ქორიძე
96. ლადო ხომასურიძე
97. თამარ დაუშვილი
98. თინა შერმადინი
99. ვახტანგ გოცირიძე
100. ელენე ალექსიშვილი
101. რუსლან გოცირიძე
102. გოგი ცინცაძე

**ინგლისი**

103. მალხაზ მახარობლიშვილი
104. სალომე მწითური
105. მამუკა კოლელიშვილი
106. გელა წიკლაური
107. ეთერ კვერნაძე
108. ლადო ბოკუჩავა
109. ნანა თოფურიძე
110. გოჩა გომართელი
111. ლევან კორინთელი
112. გიორგი ჩოლოყაშვილი
113. თემურ ლეკვეიშვილი

**ავსტრალია**

114. ბერდია არაბული
115. სანდრო გველესიანი
116. ნინო კორინთელი
117. ირაკლი მელთაური
118. ავთანდილ მგელაძე
119. მანანა დავითაია
120. ჯემალ ბედოშვილი
121. ამბროსი ქარდავა
122. გერონტი გუგუნავა
123. გურამ ამაღლობელი
124. ნოდარ ჩხეიძე
125. გურამ ხარშილაძე
126. დავით სიდამონიძე
127. ვაჟა ჯავახიშვილი

**საფრანგეთი**

128. ნონა ჩერქეზიშვილი
129. ელენე ბეკურიშვილი
130. ლელა ობგაიძე
131. გელა გიგაური
132. ლუკა ჯაველიძე
133. ლაშა გამსახურდია
134. ნანა ჭელიძე
135. ვახტანგ ჯავახიშვილი
136. მერი გეგენავა
137. მიშა წულუკიძე
138. ავთანდილ გამყრელიძე

**შვედეთი**

139. მურად აბაშიძე
140. თამარ დემეტრაშვილი
141. ემზარ ჯაველიძე
142. მამუკა გოგლიჩიძე
143. დიტო ჯაიანი
144. თამთა უტიაშვილი
145. ელა მჟავანაძე
146. ლაშა ხაჭაპურიძე
147. დიტო შერმადინი
148. ნიკო საკარული
149. ჯაბა ყარანაული
150. ლუკა ემხვარი

**ავსტრია**

151. დავით კაკუბერი
152. ნიკა გერგედავა
153. გიორგი მჭედლური
154. ლელა ფავლენიშვილი
155. ვაჟა გახელაძე
156. ცარო აფციაური
157. თამარ რაჭველიშვილი
158. ვანო გაბიცინაშვილი
159. ბექა გოგოლაური
160. ვაჟა კარბელაშვილი
161. დათო მჭედლური
162. მამუკა ქევხიშვილი
163. ლექსო ტურაშვილი

**ლატვია**

164. ნუგზარ გამეზარდაშვილი
165. ზაზა ხვედელიძე
166. ავთანდილ ყველაშვილი
167. შორენა ქურხული
168. მართა სავანელი
169. ლევან გამყრელიძე
170. ბექა საკარული
171. ჯაბა ინაური
172. ნუნუ ყიფშიძე
173. მერი თარგამაძე
174. ზვიად ყამარაული
175. ნინა გომელაური
176. ჯემალ ხაბელოვი
177. ნოდარ კარბელაშვილი

**ეგვიპტე**

178. სანდრო არტოდელი ***(კონსპირაციულად მცხოვრები),*** 1000 მებრძოლის ხელმძღვანელი.

საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას 1000 კონსპირაციულად მცხოვრები მებრძოლი

რუსეთი - 324 კაცი

უკრაინა - 218 კაცი

ბელორუსია - 98 კაცი

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## samSoblos yvela moRalates, qarTvels Tuaraqartvels

***ნაირა გელაშვილს თავისი „განთქმული“ ოსის ქალებით.***

საქართველოს ერთადერთ და კანონიერ პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას ბრალს სდებთ სამხრეთ ოსეთის გაუქმებასა და ოსებთან ეთნიკურ კონფლიქტში. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გაუქმდა ს.ო. ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილებით 1990 წლის 20 სექტემბერს. ( ზვიად გამსახურდია ჯერ არ გახლდათ ხელისუფლებაში) და გამოცხადდა დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად.

საქართველოს რესპუბლიკის არაერთი მიმართვისა და გაფრთხილების შემდეგ - გაეუქმებინათ 20 სექტემბრის დადგენილება, 1990 წლის 11 დეკემბერს, მიღებულ იქნა კანონი „ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. რაც შეეხება ეთნიკურ კონფლიქტებს, დღეს უკვე აშკარაა, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები წარმოადგენს არა ეთნიკურ, არამედ პოლიტიკურ კონფლიქტებს. ერთის მხრივ, რუსეთში მოქმედ ძალებთან, რომელთაც საბჭოთა ბოროტების იმპერიის აღდგენა სურდათ და მეორე მხრივ, დასავლეთში მოქმედ მასონურ ძალებთან, რომლებიც გლობალიზაციის მოტივით ანადგურებენ კაცობრიობის ქრისტიანულ ღირებულებებს.

ზვიად გამსახურდია, როგორც ხალხის ჭეშმარიტი რჩეული და მისი ნების აღმსრულებელი 1991 წლის 31 მარტს ატარებს რეფერენდუმს კითხვით — „ხართ თუ არა თანახმა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“. რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩეველთა 89,3% კითხვას დადებითად პასუხობს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეროვნული უმცირესობები არ იჩაგრებოდნენ. (ეთნიკურ ქართველთა რაოდენობა მაშინ 67 % შეადგენდა). იმავე დღეს 31 მარტს საქართველოში ტარდება პირველი ადგილობრივი არჩევნები. 1991 წლის 9 აპრილს კი რეფერენდუმის საფუძველზე საქართველოს უზენაესი საბჭო იღებს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“. იმავე წლის 26 მაისს ტარდება პრეზიდენტის სახალხო არჩევნები, რომელშიც 87% იმარჯვებს ბატონი ზვიად გამსახურდია და ხდება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

დღესაც საქართველოს რესპუბლიკის ერთადერთი და კანონიერი პრეზიდენტი არის ბატონი ზვიად გამსახურდია. ბატონ ზვიადს უფლებამოსილება არავისთვის გადაუცია.

მასონი, სამშობლოს გამყიდველი ე. შევარდნაძე არის ხუნტა, მისი სამართალ-მემკვიდრე კი ავაზაკი, ბარბაროსი მიხეილ სააკიანი.

საქართველოში მაცხოვრები მოღალატე ქართველის თუ არაქართველის საყურადღებოდ! საქართველოს ტერიტორიაზე არავითარი სამხრეთ ოსეთი არ არსებობს. ეს არის წმინდა ქართული მიწა - სამაჩაბლო.

საქართველო ქართველების ერთადერთი სამშობლოა, რომლისთვისაც მილიონობით ქართველს სიცოცხლე აქვთ შეწირული. ღვთის რისხვა სასტიკი იქნება მოღალატე ქართველებისთვის, აფხაზებისთვის, ოსებისთვის, სომხებისთვის, ურჩობის, განდგომის, ღვთისგან ბოძებული გზის უარყოფისთვის. ქართველები მაინც გაიმარჯვებენ ამ უმძიმეს ომში. ყველა ქართველს და საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს გვევალება დროზე ადრე გავაცნობიეროთ ჩვენი პირადი მისია, დავდგეთ პირად ინტერესებზე მაღლა, აღვადგინოთ კანონიერი ხელისუფლება და ერთად ვიბრძოლოთ საქართველოს გადასარჩენად.

ჩვენ, ოსი ეროვნების წარმომადგენლები ბედნიერად ვთლით თავს, რომ დავიბადეთ საქართველოში, პირადად გვქონდა ურთიერთობა დიდ ზვიად გამსახურდიასთან. იგი ხომ იმ მცირერიცხოვან ადამიანთა წარმომადგენელია კაცობრიობის ისტორიაში, რომლებიც რაც უფრო გვშორდებიან, მით უფრო დიდები ჩნდებიან!

გფარავდეთ ღმერთი. ამინ!

**1991-92 წლებში მოღალატე ქართველების მიერ საქართველოდან გაძევებული საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგული ოსი ეროვნების მებრძოლნი:**

დიანა სააკაშვილი
ეთერ ყარაშვილი
ირაკლი მელაძე
ვენერა ზადიშვილი
ლიანა ავლოხაშვილი
აზა კაჩმაზოვა
მარინა (დარო) ხაჩირაშვილი
გივი ჩოჩიევი
ლიზა გუჩმაზოვა
რამაზ თიგიშვილი
ნუგზარ კუდუხაშვილი
ლერი გაგლოევა
ზურა ბედოშვილი
აზა ხაჩიროვა
ჯემალ მარგიევი
ნოდარ ქეთიშვილი

**აშშ**

**ჩრდილოეთ კაროლინა**

**09/05/2011**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**— გთხოვთ გვიპასუხოთ, როგორია ხანდაზმულობის ვადები სამოქალაქო სამართალში?**

— სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

— ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება:

ა) ზეპირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო;

— ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

— სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს (მაგალითად, სესხის ხელშეკრულების).

— უძრავ ნივთებთან (შენობა, მიწის ნაკვეთი) დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს.

— სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს.

— ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებლად ვალდებულებებიდან, სამი წელია.

— ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად, საქორწინო-საოჯახო სამართალში, მემკვიდრეობით სამართალში და სხვა) კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

* * *

**— რა არის ნარდობის ხელშეკრულება?**

— ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

* * *

**— ბიძაჩემი მიწის ნაკვეთის ჩუქებას შემპირდა. აღმოჩნდა, რომ მას ეს მიწის ნაკვეთი გაუყიდია. შემიძლია თუ არა, სამართლებრივად რამის გაკეთება?**

— ბიძათქვენი, როგორც გავიგე, საჩუქარს დაგპირდათ. საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი სანოტარო წესითაა დადასტურებული.

* * *

**— რა შემთხვევაში შეიძლება გამჩუქებელმა გაჩუქებული ნივთი უკან დაიბრუნოს?**

— თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავი ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს, დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. ეს შეიძლება მოხდეს ჩუქებიდან სამი წლის ვადაში.

— გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

— ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს. მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. ეს შეიძლება მოხდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

* * *

**— რამდენიმე წლის წინ სამუშაოდან უკანონოდ გამათავისუფლეს. სასამართლოში შევიტანე განცხადება სამუშაოზე აღდგენის შესახებ. სასამართლომ ჩემი მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ ხელმძღვანელობამ დღემდე სამსახურში არ აღმადგინა. როგორ მოვიქცე?**

— თქვენ უკვე გაქვთ სასამართლო გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენის შესახებ. თქვენი სამსახურის ხელმძღვანელობა ვალდებულია აღგადგინოთ იმავე ან სხვა ტოლფას თანამდებობაზე.

თუ ხელმძღვანელობა არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ პროკურატურას ხელმძღვანელობის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის.

თქვენს უფლებას ამ კუთხით იცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლი, რომლის შინაარსი ასეთია:

მუხლი 169. შრომის კანონმდებლობის დარღვევა.

— სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევა.

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთის ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.



* * *

**— ვინ აცხადებს ამნისტიას და რა შეიძლება განხორციელდეს ამნისტიის აქტით?**

— ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

— ამნისტიის აქტით ბრალდებული შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

— სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლეობა.

* * *

**— შეიძლება თუ არა ბრალდებული სრულიად გათავისუფლდეს სასჯელისაგან საპროცესო შეთანხების შესაბამისად?**

— შეიძლება.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გაირკვა თანამდებობის პირის ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები, საქართველოს მთავარ პროკურორს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სასჯელისაგან სრულიად გათავისუფლების თაობაზე. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრალდებული სრულად თავისუფლდება სასჯელისაგან, თუმცა იგი ითვლება ნასამართლევად.

ბრალდებულის სასჯელისაგან სრულიად გათავისუფლება დაუშვებელია საქართველოს სს კოდექსის 144-ე (წამება), 144 მეორე, (წამების მუქარა) და 144-ე (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე.

* * *

**— რომელი დანაშაულების ჩადენისათვის ისჯება 12 წლის ასაკს მიღწეული პირი?**

— 12 წლის ასაკს მიღწეული პირი საქართველოს სს კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით ისჯება შემდეგი დანაშაულების ჩადენისათვის.

1. მუხლი – 108 (განზრახ მკვლელობა)
2. მუხლი – 109 (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში);
3. მუხლი 117 (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება);
4. მუხლი 137 (გაუპატიურება);
5. მუხლი 178. II და III ნაწილი (ძარცვა) (გარდა I ნაწილისა).
6. მუხლი 179 (ყაჩაღობა).
7. მუხლი 238 (21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება).

* * *

**— ჩემმა ახლობელმა შეიძინა მოპარული კომპიუტერი. დაისჯება თუ არა ის?**

— თუ თქვენმა ახლობელმა იცოდა, რომ იძენდა მოპარულ ნივთს, დაისჯება სისხლის სამართლებრივი წესით სსკ-ის 186-ე მუხლის მიხედვით (წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა).

* * *

**— დღეს ბევრი უდანაშულო ადამიანი ისჯება. ითვალისწინებს თუ არა სისხლის სამართლის კოდექსი იმ პროკურორის პასუხისმგებლობას, რომელმაც უდანაშულო პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა? პრაქტიკულად ხდება თუ არა ასეთი პროკურორების დასჯა?**

— სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დასჯას იმ თანამდებობის პირებისას, რომლებმაც განახორციელეს სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა. კერძოდ:

მუხლი 146. უდანაშულო პირის განზრახ მიცემა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში.

I ნაწილი. უდანაშაულო პირის გაზრახ მიცემა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამოთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

II ნაწილი: იგივე ქმედება. თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

პრაქტიკულად ხდება თუ არა ასეთი პირების დასჯა, ამის შესახებ მე ვერაფერს მოგახსენებთ.

* * *

**— გთხოვთ განგვიმარტოთ, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით რა არის ხულიგნობა?**

— მუხლი 239.

ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქმედება რომ ხულიგნობად დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია, ერთდროულად არსებობდეს სამი ნიშანი: 1) საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა; 2) საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა და 3) ძალადობა ან ძალადობის მუქარა.

* * *

**— ჩემი ახლობელი დანის ტარებისთვის გაასამართლეს. რამდენად კანონიერია ეს?**

— თუ თქვენი ახლობელი არის ან 21 წელს მიუღწეველი, ან ნასამართლობის მქონე ანდა ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი და სამართლებრივი სანქცია, სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის მიხედვით, არის კანონიერი.

* * *

**— რა არის დანაშაულის მცდელობა და დასჯადია თუ არა ის?**

— დანაშულის მცდელობად სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მიხედვით, ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

დანაშაულის მცდელობა დასჯადია სისხლის სამართლებრივი წესით.

---

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფილოლოგი და ფოლკლორისტი

**მიხა არაბული**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა ხუთშაბათს

მის.: თბილისი, ზემო ვეძისის 33.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ისტორიკოსის, პროფესორ

**დურმიშხან ცინცაძის**

გარდაცვალების გამო.

---

## nana niazaSvilis xsovnas

ჩვენო საყვარელო ნანა, მეორე კვირაა, რაც რედაქციაში აღარ შემოსულხარ და აღარ გიკითხავს შენთვის დამახასათებელი მხიარული სახით – ოთახი ხომ არ დაგილაგოთო?!

დაუღალავად შრომობდი, ფუსფუსებდი, ცდილობდი, მცირეწლოვანი შვილებისთვის უმამობა არ გეგრძნობინებინა. მიუხედავად მცირე ასაკისა, იმ 27 წლის განმავლობაში, რაც ამ ქვეყნად გაატარე, იმდენი რამ გადაიტანე, ზოგს 127 წელი რომ ეყოფოდა. იყავი კეთილი, ალალი და გული სიყვარულით გქონდა განათებული.

დღეს შენს ნათელ ოცნებებს მიწა ფარავს. ნათელი დაადგეს შენს მშვენიერ სულს და სამარადისო სასუფეველი დაგიმკვიდროს ყოვლადმოწყალე ღმერთმა...

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია**

# რომელია ყველაზე მდიდარი ხილი



იაპონელმა მეცნიერებმა კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს და დაასახელეს ისეთი ხილი, რომელშიც ანტიოქსიდანტების ყველაზე მეტი შემადგენლობაა.

მაგრამ რა საჭიროა ანტიოქსიდანტები? ისინი ებრძვიან ავადმყოფობას, რომელიც ორგანიზმის მომწამვლელი პროცესების შედეგად ჩნდება. ათეროსკლეროზი, გულის უკმარისობა, ალცჰაიმერის დაავადება, კიბო და პარკინსონის დაავადება სწორედ მომწამვლელი პროცესების შედეგია.

აღმოჩნდა, რომ ანტიოქსიდანტებით სავსე პროდუქტთა შორის პოლიფენოლების სიჭარბით ყვითელი კივი გამოირჩევა. მას მოჰყვება ფორთოხალი, გრეიფრუტი, მანდარინი და ვაშლი, საინტერესოა, რომ მწვანე კივი არ მოხვდა ამ „ყვითელკანიანთა" ჩამონათვალში.

სამი ცალი ყვითელი კივი დღეში და დაავადებისგან აბსოლუტურად დაცული ხართ, ცხადია, თუ ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევთ – არ ეწევით, არ სვამთ და ვარჯიშზეც არ ამბობთ უარს.

აღსანიშნავია, რომ უფრო სასარგებლოა ყვითელი კივის კანი, ვიდრე შიგთავსი. ასე რომ, ყველაზე საუკეთესო ვარიანტია – დააქუცმაცეთ ხილი ბლენდერში და მიირთვით. საერთოდაც, ხილისა და ბოსტნეულის კანი მეტად სასარგებლოა, ვიდრე ის, რაც ამ კანქვეშაა.

# მან კიბო დაამარცხა



ლიდია პეშკოვას საშინელი დიაგნოზი 48 წლის წინ დაუსვეს, მაგრამ მან გადაწყვიტა ამის შემდეგ მინიმუმ ნახევარი საუკუნე უნდა ვიცოცხლოო.

ენა არავის მოუბრუნდება ამ სიცოცხლისმოყვარე ქალს ბებია უწოდოს. არადა, წარმოუდგენელია, რა ჯოჯოხეთი გაიარა მან. 18 წლის იყო, როცა გესტაპოს ჯურღმულებში მოხვდა. 1942 წელს იგი გერმანიაში გაამგზავრეს სამუშაოდ. გამოიქცა. თითქმის შიშველტიტველმა, ტყეში იმდენი იარა, რომ რუსული ფრონტის ხაზს მიაგნო. შემდეგ უმძიმესი წლები გამოიარა ალკოჰოლის ზედმეტად მოყვარული ქმრისგან. შედეგად დაავადებული გული და ღვიძლის კიბო მიიღო. მეტასტაზები მრავლად ჰქონდა განფენილი, მაგრამ ლიდია პეშკოვამ გადაწყვიტა დაემარცხებინა კიბო.

ოპერაციის შემდეგ ლიდია სანატორიუმში გააზავნეს შავი ზღვის მახლობლად. მოხუცმა პროფესორმა, რომელსაც ლიდია შეეკითხა – რამდენ ხანს ვიცოცხლებო, მომაკვდავ ავადმყოფს სხვათაშორის ურჩია, ორგანიზმი გაიკაჟეო. შემდეგ ლიდია პეშკოვა იხსენებდა, წამლები იმიტომაც არ დამინიშნა, ფიქრობდა, მაინც უნდა მოკვდეს, აბა, ამას რაღა გადაარჩენსო. ერთ დილას ჩავედი გაყინულ ზღვაში – ვიფიქრე, რაც იქნება-იქნება-მეთქი. იმავე საღამოს ვიგრძენი თავი უკეთესად,– ამბობს ლიდია პეშკოვა.

ასე გახდა ერთ დროს უიმედო ავადმყოფი ყინვაგამძლე.

იგი ქალაქიდან სოფლად გადავიდა საცხოვრებლად, იქვეა მდინარე.

– დილით ადრე ვდგები, ვლოცულობ, ორი საათის განმავლობაში ვვარჯიშობ. ზამთარში ქუჩაშიც კი ფეხშიშველი დავდივარ. ჩემს სახლში ზამთარში ყოველთვის გრილა, საერთოდ, ძილის დროს სიცივე უნდა იყოს. მე გავაკეთე ჩემთვის საწოლი იატაკზე, ბალიშის მაგივრად ქვა მიდევს – ჰყვება ლიდია პეშკოვა.

სპირტიან სასმელებს იგი მხოლოდ დღესასწაულებზე მიირთმევს. სვამს წყაროს წყალს და გეახლებათ მხოლოდ ბალახეულ საკვებს. დილით კი ერთ ჭიქა თხის რძეს.

გაზაფხულზე თვითონვე მიდის სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად.

მას ასე ეძახიან – ჯანმრთელი ცხოვრების წესის წარმომადგენელი, რადგან ლიდია დარბის, დადის ველოსიპედით, ცურავს.

მასზე დაკვირვებით მედიკოსებმა შეიმუშავეს წესები, რომელთა დაცვაც კიბოს განვითარების რისკს ამცირებს.

სწორი კვება – მიიღეთ კომბოსტო, ტომატი, ნიორი, ხილი, თევზი, ქათამი, მწვანე ჩაი, ეკოლოგიურად სუფთა პური.

გამორიცხეთ ცხიმიანი, ცხარე, მწარე საკვები.

დაკავდით სპორტით, განსაკუთრებით თქვენ, ვისაც მკერდის და ნაწლავის კიბოს რისკები დაგიდგინეს.

ხშირად მიმართეთ ექიმს, რადგან თითქმის ყოველი დაავადება საწყის სტადიაში განკურნებადია.

გაიძლიერეთ იმუნიტეტი.

ჩაიტარეთ ვირუსული ინფექციების პროფილაქტიკა. ერიდეთ პაპილომა ვირუსს, რომელიც სქესობრივი გზით გადაეცემა.

დაავადების რისკს ზრდის:

თამბაქოს მოხმარება.

შთამომავლობითი მიდრეკილება კიბოს მიმართ.

წონაში მომატება. რაც ხშირად იწვევს ნაწლავის, მკერდის და მუცლის ღრუს ორგანოების სიმსივნურ დაავადებებს.

ალკოჰოლის ჭარბი ხმარება.

ულტრაიისფერი გამოსხივების ჭარბი დოზა.

# ცელულიტის „მტერი"



მეცნიერებმა ცელულიტის საწინააღმდეგო უნიკალურ საშუალებას მიაგნეს. საუბარია ნამდვილ მელისაზე. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ იგი არაჩვეულებრივი საშუალებაა კანის ქსოვილის სასარგებლოდ.

ექსპერიმენტის მონაწილე 146 ქალს, რომელთა ასაკი 20-დან 36 წლამდე იყო, ორი თვის განმავლობაში ცელულიტის საწინააღმდეგო ბალზამს აძლევდნენ და მელისას ნაყენს სამჯერ დღეში სუფრის კოვზით. უკეთებდნენ ამ შემადგენლობის ნიღბებსაც. ექსპერიმენტის დასასრულს აღმოჩნდა, რომ ყველა მონაწილის კანი უკეთესი გახდა, 72 პროცენტს კი ნაოჭები გაუქრა, ისინი შეუმჩნეველი გახდა.

მეცნიერები ქალბატონებს ასეთ რეცეპტს სთავაზობენ: 1-2 ჩაის კოვზ გამხმარ მელისას ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. შეფუთეთ და გააჩერეთ 5-10 წუთი. ამის შემდეგ ნაყენი დასალევად მზად იქნება. იგი სპობს ზედმეტ ცელულიტებს და აჯანსაღებს მოშვებულ კანს.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**




გამოვიდა ჟურნალ „**ცისკრის**" მეშვიდე-მერვე ნომერი, რომელიც ჩვეულ ტრადიციას აგრძელებს და ამჯერადაც თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

რუბრიკა „ასი ლექსი, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ქართველმა" ამ ნომერში შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნიდან" გთავაზობთ „ლოცვა ავთანდილისას".

რუბრიკაში „უჯრაში ჩაკეტილი ლექსები" მკითხველი ლადო ასათიანის ლექსს –„დედას" გაეცნობა, რომელიც არცერთ ჭეშმარიტ ქართველს გულგრილს არ დატოვებს.

ჟურნალში საპატიო ადგილს იკავებს ვაჟაფშაველას ლექსი „კაი ყმა".

რუბრიკა „პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი" ვახტანგ ჯავახაძის და მანანა ჩიტიშვილის შესანიშნავ პოეზიას მასპინძლობს.

ჟურნალი „ცისკარი" თითოეული ქართველის გულში ღრმად ჩაბუდებულ სატკივარსაც არ ივიწყებს და რუბრიკაში „გვახსოვდეს აფხაზეთი!" ლევან მალაზონიას დოკუმენტურ მოთხრობას –„სოხუმთან ახლოს, მაშინ..." გთავაზობთ.

რუბრიკა „უჯრაში ჩაკეტილი რომანი" ამჯერად ჟურნალის ფურცლებს ავთანდილ კვასხვაძის „სიკვდილ-სიცოცხლის როკვას" უთმობს.

რუბრიკა „რუსი მწერალი ქართველების შესახებ" ვასილ ველიჩკოს –„ძმები ქართველებს" შესთავაზებს მკითხველს.

„ცისკარი" ამ ნომერში ახალ რუბრიკას – „ახალგაზრდა „ვერტერის" ახალი ვნებანი"-ს გთავაზობთ, სადაც გაეცნობით ზაზა ბურჭულაძის, სოფია კენჭიაშვილის, მირიან ტორონჯაძის და ეკა ქევანიშვილის „შემოქმედებიდან" ფრაგმენტებს. აქვე, რუბრკაში „უხამსი მწერლობის გამო" ლევან ბრეგაძისა და ბესიკ ხარანაულის შეფავსებებს იხილავთ.

ჟურნალში ბეჭდავს ზაირა არსენიშვილის, რევაზ მიშველაძის, ლალი ბრეგვაძე-კახიანის და ვანო შატბერაშვილის პროზას.

რუბრიკაში „ასი სამარცხვინო ლექსი", კი მკითხველი კალე ბობოხიძის ლექსს „ბოლშევიკურ განთიადს" გაეცნობა. ეჭვგარეშეა „ცისკრის" (რედაქტორ-გამომცემელი სერგი კაკალაშვილი, სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი) ახალ ნომერს მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა.

## ასტროლოგიური პროგნოზი



**ვერძი** – თავშეკავება გმართებთ, თორემ დაპირისპირება გარდაუვალია. მოთმინება მალე სასურველ ნაყოფს გამოიღებს.



**კურო** – უჩვეულო სიახლეებმა არ შეგაშფოთოთ. ეს კვირა მეტად დაძაბული, მრავალფეროვანი და ემოციური უნდა იყოს. გულს ნუ გაიტეხთ ყოველდღიურობაზე ფიქრით, ცუდი არაფერი გელით.



**ტყუპები** – ამ კვირაში ერთ-ერთი ახლობელი დაგიკავშირდებათ და შესაძლებელია, რაიმე საქმეში თანამონაწილეობა შემოგთავაზოთ. ფრთხილად იყავით, ბრმად არ ენდოთ, თორემ ინანებთ.



**კირჩხიბი** – უხეში გამონათქვამებისგან თავი შეიკავეთ. უპირატესობა მიანიჭეთ იმ მოსაზრებებს, რომლებიც კომპრომისებზეა აგებული.



**ლომი** – მოულოდნელად საინტერესო ატმოსფეროში მოხვდებით და იმხიარულებთ, ოღონდ, გახსოვდეთ ერთი რამ – ღირსეულად მოიქეცით, თორემ ჭორები არ აგცდებათ.



**ქალწული** – სახლში ნაკლები პრობლემები შეგექმნებათ. ნუ იქნებით ზედმეტად თვითდაჯერებული. გირჩევნიათ, ზოგიერთ მომენტს ეჭვით შეხედოთ.



**სასწორი** – ერთ-ერთი ახლობლის ინიციატივას მხარს თუ აუბამთ და პროცესებში ჩაერთვებით, საკუთარ შესაძლებლობებში იოლად დარწმუნდებით. ამ კვირაში პირადი პრობლემების მოსაგვარებლად ნაკლები დრო დაგრჩებათ.



**მორიელი** – ადვილი შესაძლებელია, ქალაქიდან გაემგზავროთ. გექნებათ საქმიანი მოლაპარაკებები და შეხვედრები. თქვენი მომავალი პროგრესით წირიმართება. გელით სიხარული. ამიტომ შეგიძლიათ თავს უფლება მისცეთ და პირადი საქმეები მოაგვაროთ.



**მშვილდოსანი** – კვირის პირველ ნახევარში სერიოზულ დაბრკოლებებს წააწყდებით, მაგრამ ოთხშაბათიდან ყველაფერი მოგვარდება. ახლობლებს და თანამშრომლებს თავაზიანად მოეპყარით.



**თხის რქა** – ინტერესების ახალი სფერო გაგიჩნდებათ, შესაძლოა, რამდენიმე დღეში გამგზავრება მოგიწიოთ. საკუთარი საქციელით კმაყოფილი დარჩებით. მოთმინება იქონიეთ. ოჯახსა და სამსახურში ახალი საზრუნავი და თავსატეხი გაგიჩნდებათ.



**მერწყული** – თანდაყოლილი შინაგანი შარმი და მომხიბვლელობა პარტნიორულ ურთიერთობებში ახალ-ახალ წარმატებებს მოგიტანთ. ადვილი შესაძლებელია, მომავალ კვირას მნიშვნელოვანი პრობლემების ნაწილი დაძლიოთ.



**თევზები** – სერიოზული და მეტად მნიშვნელოვანი არჩევნის წინაშე აღმოჩნდებით. გარკვეული პიროვნებები საკუთარი პოზიციების გასამყარებლად თქვენ დაგეყრდნობიან, შემდეგ მოვლენები თქვენს სასიკეთოდ წარიმართება.